# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 29 ივნისი | № 26 (2754) | გამოცემის 58-ე წელი, 1990 | ფასი 20 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომერი მიეძღვნება ქუთაისის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას



## იმერული ნანინა

გაპუტულო გლეხის შვილო, შენ პაწაწინაო!
აგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო!
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო...
დაიძინე, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!..
დედა ეტყვის: „გენაცვალოს შენი მშობელიო,
ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო!
შენს ვაჟკაცობას მომასწრებს მე ღვთისმშობელიო!
მამიშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო:
შენი ვარსკვლავი სხვა არის — ბედმა გიცინაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!..
ღმერთს შენი ბედნიერება წინეთ უსახავსო,
შენც მის ნაცვლად ემსახურე, ნურას იზამ ავსო,
დედას თმას ნუ მაწეწინებ, ნუ ჩამაცმევ შავსო!
სხვებ რა გიჭირს: ხომ შეიტყვე, ბატონი არ გყავსო!
რისთვის შეჰკრთი? მართალია! რამ შეგაშინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!..
გაიზრდები, გენაცვალე თავისუფალიო;
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერ გაგტეხს ვალიო;
შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო:
ჭირისა და ავ თვალისგან გიხსნის უფალიო!
ხომ გიამა, გენაცვალე! მან გაგაცინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!..
. . . . . . . . . . . . . .
პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო,
დღეს ხომ კარგად გაიგონე ჩემი ნანინაო?
და, თუ კარგად გაიგონე, ხომ მოგეწონაო?
მაშ ნუ გძინავს! გაიღვიძე! იცან ქვეყანაო!
შენც შეიტყვე ამა სოფლის ცრუ გამოცანაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!..

აკაკი

**საუბარი ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან თემურ შაშიაშვილთან.**

# ქუთაისში კენჭიც კი მიყვარს

●

— ბატონო თემურ, პრესაში ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადებები ქალაქის ცენტრისა და მისი ცალკეული უბნებისათვის სათანადო შინაარსის მიცემის შესახებ.

ყველაფერი კარგია და მისაღები, მაგრამ მრავალი პროექტი და ე. წ. ქალაქის განაშენიანების გეგმა გვინახავს თვალსაჩინოდ გამოფენილიც, მაგრამ შეიცვლებოდა ხელმძღვანელობა და პროექტებსა და გეგმარებში დახარჯულ თანხებთან ერთად მოქალაქეთა რწმენაც წყალს მიჰქონდა.

ამიტომ ძალიან ბევრი ხომ არ არის ყველა ის ჩამონათვალი, რაც პროექტშია. აქვს კი ქალაქს მათი რეალური გადაწყვეტის შესაძლებლობა, სახსარი? ანდა, რა პერიოდით ფიქრობს მუნიციპალიტეტი ამ სასურველ ჩარჩოებში ჩასმას?

**— უპირველესად, უდიდეს პატივად მივიჩნევ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ დაინტერესებას ჩვენი საქმიანობით, პოზიციით, მრწამსით საერთოდ, ულრმესი მადლობა რედაქციას ქუთაისში უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული მხარდაჭერისათვის, თუმცა, ყველაფერი ეს, გულახდილად უნდა ვთქვა, კანონზომიერიც გახლავთ, რადგან ყოველი ეროვნული საქმის წამოწყება სწორედ „ლიტერატურულმა საქართველომ“ უნდა გააცნოს მთელ ერს და სწორედ მან უნდა გაგვხადოს „იძულებული“, სხვა გზა აღარ გვქონდეს, ეროვნულ საქმეთა კეთების გარდა. რაც შეეხება კითხვას — რეალურია თუ არა ის, რასაც ხმამაღლა ვფიქრობთ, რასაც ქუთაისელებთან დათათბირებით გვსურს მივაღწიოთ და რაშიც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და მინისტრთა საბჭო აბსოლუტურად გვიჭერს მხარს, რა თქმა უნდა, რეალურია.**

**განა რამე არარეალურია იმაში, რომ ქალაქის ცენტრს დავუბრუნოთ კულტურული ცენტრის ფუნქცია? განა არარეალურია სურვილი, რომ ქალაქი 7 საათზე არ კვდებოდეს? არარეალურია, რომ გაცოცხლდეს საფიჩხია, ჰომა თუ ბალახვანი და ბულვარმა ძველებური ფუნქციონალური დატვირთვა მიიღოს? რომ ყველას — სტუმარს თუ მასპინძელს შეეძლოს ქალაქის ცენტრიდან წიგნის რიგის, ერთი ნოველის თეატრის — ერთის მხრივ და — ეროვნული მუზეუმის, სამხატვრო სალონის გალერეის გავლით — მეორეს მხრივ — გალაკტიონის ძეგლამდე მისვლა, ჯაჭვისა და წითელი ხიდის მიდამოების, რიონის სანაპიროს ისე წარმოჩენა, რისი საუკეთესო მაგალითიც ამჟამად უკვე გვაქვს ძველი თბილისის უბნების სახით — ძველისა და ახლის სასიკეთო შერწყმას ვგულისხმობ.**

**მხატვრული ტანვარჯიშის სკოლისათვის, რომელიც თეთრ ხიდთანაა, ჩვენ სხვა ადგილი გამოვძებნეთ და მისი ხელმძღვანელობის თანხმობით გვინდა ეს რიონზე გადამდგარი ტრადიციული შენობა ჟურნალ „განთიადს“ გადავცეთ, აქვე იქნება „ცისფერყანწელთა“ ბარი, აღდგება ის ჰარმონია, რაც საუკუნის პირველ წლებში ჰქონდა ამ უბანს.**

— და ეს ქუჩაც, ეხლა რომ ლიბკნეხტის სახელს ატარებს...

**— „ცისფერყანწელთა“ ქუჩა იქნება.**

— წიგნის რიგი ახსენეთ ზემოთ.

**— დიახ, იქ, სადაც იწყება ფალიაშვილის ქუჩა, წიგნის რიგი უნდა გაკეთდეს: წიგნის მაღაზიებით, წიგნის მოყვარულთა საზოგადოებითა [illegible] ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებით, იქვეა საჯარო ბიბლიოთეკა, წიგნის რიგი დაბოლოვდება ერთი ნოველის თეატრით, რომელიც დღევანდელი „ბავშვთა სამყაროს“ სარდაფში მოთავსდება, ეს იდეა ბატონ ოტია იოსელიანს ეკუთვნის და შესრულებასაც თვითონვე კისრულობს. რაც შეეხება სავაჭრო ორგანიზაციებს — ისინი ქალაქის ცენტრიდან უნდა გავიდნენ. მოგვიხდება ბაზრის გადატანაც, ადგილზე დარჩება მხოლოდ ის, რაც „მწვანე ბაზრის“ ფუნქციას შეასრულებს. რა თქმა უნდა, წინააღმდეგობები გვაქვს, ბევრს არ აქვს სურვილი შეჩვეული ადგილების დატოვების, მაგრამ... ვაჭრობის წარმომადგენელთა შორის პროგრესულად მოაზროვნე საკმაო ძალაა, რომელიც ხვალინდელ ქუთაისს პერსპექტივაში ხედავს, ამიტომ ყოველივე, რაც ვთქვით, რეალურზე რეალურია.**

ანდა, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო ავიღოთ. აუცილებელია იგი ქალაქის ცენტრისათვის?

— თუ მოვლენებს წინ არ ვუსწრებთ და სწორად ვართ ინფორმირებული, ქალაქის ცენტრიდან გადიან არა მარტო სავაჭრო ორგანიზაციები, არამედ თვით პარტიის საქალაქო და აღმასრულებელი კომიტეტები.

**— უცნაური ხალხი ხართ ჟურნალისტები, გაფიქრებული არა გვაქვს რაიმე, რომ თქვენ უკვე იცით, ამჯერადაც სწორია თქვენი ინფორმაცია. ჩვენ ვფიქრობთ, ეს შენობა მთლიანად ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს დავუთმოთ. ამის შესახებ გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება. დღეს ამ საკითხს განიხილავენ სპეციალისტები, ჩვენი საზოგადოება. თუკი ისინი მხარს დაგვიჭერენ, საკითხი მოგვარდება. სხვათაშორის, ეს მუზეუმი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევიდა და ეს ყოველმხრივ იგრძნობა. ჩვენ ამის შესახებ საუბარი გვქონდა ბატონ გივი გუმბარიძესთან და არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი დიდი მხარდაჭერა აღნიშნულ საკითხში. რაც შეგვეხება ჩვენ, ლენინის რაიკომისა და აღმასკომის ყოფილ შენობაში გადავალთ. ხოლო ავტოქარხნის რაიკომისა და აღმასკომის შენობა საზოგადოებასთან, სპეციალისტებთან შეთანხმებით, ვფიქრობთ, მეცნიერებათა აკადემიას გადავცეთ.**

**რაც შეეხება სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს, მიგვაჩნია, რომ ყველაზე სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება ამ შენობას დავუბრუნოთ ტრადიციული „სამართლის სახლის“ სახელი.**

— ბატონო თემურ, შეიძლება მოულოდნელი არ იყო, მაგრამ მაინც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქალაქის მართვის გენერალური ჯეგმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველმა აქციამ — საქალაქო და რაიონული რგოლების გამთლიანებამ. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ თავის დროზეც არ იყო საჭირო მათი დანაწევრება. განა ისეთი რა დიდი ქალაქი იყო ქუთაისი, რომ ამდენი მმართველობითი რგოლი ყოფილიყო აუცილებელი.

**— პასუხს თავს არ ვარიდებ, მაგრამ წარსულის კრიტიკით ავტორიტეტის მოპოვებაც არ მიმაჩნია გამართლებულად. ჩავთვალოთ, რომ რაიონულმა რგოლებმა ჩვენს ქალაქში თავიანთი ფუნქცია ამოწურეს. სწორედ ამიტომ დადგა დღის წესრიგში მათი გაუქმების საკითხი, მაგრამ ქალაქის მართვის გენერალური სქემის რეალიზება ამ რგოლების გაუქმებით კი არ დამთავრდება, პირიქით — მთავარი პრინციპი თვითმმართველობაზე ეტაპობრივი გადასვლა და ძირეული რგოლების დამოუკიდებლობაა, რაც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და, საერთოდ, ხვალინდელი ყოფისათვის — ჩვენ ხომ ნაბიჯ-ნაბიჯ, ყველა გზითა და ბილიკით არა მარტო უნდა მივიდეთ თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველომდე, კიდეც უნდა შევინარჩუნოთ იგი. და, სხვათა შორის, გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქად ქუთაისის გამოცხადების 1000 წლისთავის აღნიშვნაც, 1995 წლისთვის რომ ვფიქრობთ, იქნება არა ზეიმი, როგორც ზოგს მიაჩნია, არამედ სულითა და ხორცით გაერთიანებული საქართველოს სიმბოლური აღნიშვნა.**

— რა როლს მიანიჭებდით ქუთაისს სუვერენულ საქართველოში. აქამდე ხომ მას მეორე კულტურულ, ინდუსტრიულ ცენტრს უწოდებდნენ.

**— პირადად მე ყოველგვარი დანომვრის წინააღმდეგი ვარ.**

**ქუთაისი, ისევე, როგორც ნებისმიერი ქალაქი თუ სოფელი, არ შეიძლება იყოს მეორე, ან, რომელიც გნებავთ, რიგითი ნომერი. ქუთაისი არის ქუთაისი და ვფიქრობ, მან თავისი ისტორიული ფუნქცია უნდა დაიბრუნოს ისეთ საქართველოში, როგორსაც ვესწრაფვით. როგორც იცით, მალე ის საუნივერსიტეტო ქალაქად იქცევა პროფილური გიმნაზიით, დახელოვნების ინსტიტუტით, ასპირანტურით. ეთნოგრაფიული მუზეუმი, როგორც ვთქვით, უკვე მეცნიერებათა აკადემიის სისტემაშია და ამაში მცირე ღვაწლი როდი მიუძღვის აკადემიის პრეზიდიუმს — ბატონ ალბერტ თავხელიძეს და ბატონ როინ მეტრეველს. აღდგა კონსერვატორიის ფილიალის დაუსწრებელი განყოფილება და გაიხსნა დღის განყოფილება, ქალაქში გამოდის ჟურნალი „განთიადი“ და თვით ის ფაქტი, რომ რეზო ჭეიშვილი, ვიტალი კაკაბაძე და არჩილ კოსტავა დაუბრუნდნენ ქუთაისს, ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. მათი მეცნიერული თუ პიროვნული ავტორიტეტი აშკარად სჭირდება ქალაქს. სასახელოა ახალი ლიტერატურული გაზეთის „უქიმერიონის“ გამოსვლაც, დაარსდა ლიტერატურული თეატრი და ეს ყველაფერი მწერალთა კავშირის განყოფილების ხელმძღვანელობამ ქუთაისში მცხოვრებ მწერლებთან, მსახიობებთან და მხატვრებთან ერთად შესძლო. ანდა, რად ღირს, რომ ქალაქს ტელეფილმების სტუდია შეემატა. (ხელმძღვანელი რეზო ნაჭყებია).**

**ქუთაისი მეგობრულ ურთიერთობებს ამყარებს საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებთან. ამისათვის აღმასკომში შევქმენით ახალი განყოფილება საზღვარგარეთთან ურთიერთობისა.**

— რაც შეეხება „ინდუსტრიულს“, ეს სახელი ხომ ქუთაისს საავტომობილო ქარხნის გამო დაემატა. ქარხნისა, რომელმაც ქალაქის არა მარტო მთელი აქამომდელი ბიუჯეტი გადაყლაპა, არამედ უდიდესი ეკოლოგიური თუ ინტელექტუალური დისონანსიც გამოიწვია — დაუკარგა მას თავისი ისტორიული სახე. როგორ ფიქრობთ, სჭირდება ქუთაისს 14 ათასკაციანი ქარხანა, თანაც ასეთი?

**— ახალი საწარმოო სიმძლავრეები რომ ქუთაისში აღარ უნდა აშენდეს, ამ საკითხში რესპუბლიკის ხელმძღვანელობიდან მხარდაჭერა გვაქვს. ვიცი, ბევრი ფანტაზიორად ჩამთვლის, მაგრამ მაინც ვამბობ, რომ რეალობიდან გამომდინარე ვხედავ ისეთ საავტომობილო ქარხანას, რომელსაც შეუძლია საბაზრო ეკონომიკის პირობებში არა მარტო ფართო მოხმარების საგნების მწვავე დეფიციტი მოხსნას, არამედ მსუბუქი მანქანების გამოშვებაც შესძლოს, ამის საფუძველს ქარხანას იაპონური ფირმა „მიცუბისი“ მისცემს. მე მჯერა ავტოქარხნელების, იმ ხალხის, რომელთაც სულიერად აწუხებთ ხარისხის საკითხი, რომელთაც არ ახვენებთ საკუთარი ხელით შექმნილის ბედი, დახარჯული დროის, მასალებისა თუ ენერგიის აშკარად უარყოფითი უკუგება. რაც არ უნდა მოგვწონდეს და ბევრ თავსატეხს გვიჩენდეს, ავტოქარხნის დასახლება არსებობს და ეს 60 ათასამდე კაცი სასიკეთო ხვალინდელ დღეს ელოდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, არ ვაღიაროთ, რომ ქარხნის დღევანდელი პროდუქცია ხარისხით ვერავითარ კონკურენციას ვერ გაუძლებს; რომ ქარხანაში 4-5 ათასი კაცი ზედმეტია და მათი გამოყვანა ქარხნიდან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისთვისაც აუცილებელია; რომ ეს ხალხი ჩვენ სოფელს უნდა დავუბრუნოთ. დღეს ქალაქში 20-30 ათასი კაცი ან არ მუშაობს, ან ჩაუწერავად ცხოვრობს — სოფელსაც აკლდება და ქალაქსაც. ძლიერი სოფლის გარეშე ხვალინდელი საქართველოს არსებობა წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ ვაყენებდით იმერეთის სათათბიროს შექმნის იდეას. მასში გაერთიანდებოდა ქუთაისის და მისი მიმდებარე რაიონების ხელმძღვანელები. ეს იქნებოდა მთელი იმერეთის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილის, შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებისა და თითოეული ჩვენთაგანის ადგილის განსაზღვრისათვის საჭირო. ვფიქრობ, ეს გზა უფრო ოპტიმალური და სასიკეთოა, ვიდრე ქარხნების დახურვა — სხვა რომ არაფერი, არავისი ბედის ანაბარა დატოვების უფლება არა გვაქვს**

— ხომ არ ფიქრობთ, ზოგჯერ მაინც, რომ მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, ქალაქის მერი, არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ უნდა ეკუთვნოდეს, განსაკუთრებით ჩვენთან, სადაც იმდენი სოციალური საკითხია მოსაგვარებელი, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილის შეხედულებებს სწორედ ისინი განსაზღვრავენ და არა ნებისმიერი პარტიის იდეოლოგია.

**— მიმაჩნია, რომ აღმასკომის თავმჯდომარე, უპირველესად თავის ქალაქს, თავის ხალხს და თავის ქვეყანას ემსახურება, თუ ძალიან ხმამაღალი ნათქვამი არ გამომდის.**

ყველა პარტია ეკუთვნის ქართველებს და საქართველოს და თუ, რომელიც გნებავთ პარტიის საფუძვლებში ჩადებულია ეროვნული სული, მე მათ შორის წყალგამყოფს ვერ ვხედავ.

სადაც კი ვყოფილვარ, საზღვარგარეთის ქვეყნებში, ქალაქის მერი თუ, სხვა ლიდერი, რომელიმე პარტიის წევრია. ქალაქ ნიკეას მერი, მაგალითად, კომუნისტია. გარკვეულმა ძალებმა ამ ცოტა ხნის წინათ გადაყენებაც მოუნდომეს, მაგრამ მის მხარდასაჭერად აღდგა მთელი ქალაქი. ისე, რომ თავი და თავი ის კი არ არის, რომელი პარტიის წევრი ხარ, არამედ — რა პიროვნებას წარმოადგენ და რამდენად ეროვნულია შენი საქმიანობა, თუ პარტია, რომელსაც მე ვეკუთვნი, ეროვნულ ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოვა, მე მისი წევრი არ ვიქნები, არ შეიძლება ვიყო. იმასაც ვფიქრობ, რომ მომავალ არჩევნებში საქართველოს კომპარტიამ, მიუხედავად იმისა, რომ ის დამოუკიდებელი იქნება, მონაწილეობა არ მიიღოს. ეს პირადად ჩემი პოზიციაა და შევეცდები დავასაბუთო კიდეც; ხალხმა ხომ იცის მისი საქმიანობის შედეგი. ნახოს სხვა პარტიების მმართველობაც. არჩევანის გაკეთება მას სხვანაირად არ შეუძლია — სხვაა ლაპარაკი და თეორია და სულ სხვა — რეალური მოქმედება სასურველი შედეგისათვის...

— ჩემს ბავშვობაში, მეზობლად ერთი ფოტოგრაფი ცხოვრობდა — პავლიკა ზგონიკოვი. ისეთი დეკორაცია ჰქონდა — შეყოფდი თუ არა თავს — ან მფრინავი ხლებოდი, ან — თეთრ რაშზე ამხედრებული კავალერისტი. ტარიელ ჰანტურიასთან წავიკითხე მსგავსი რამ ამას წინათ. ხომ არ ფიქრობთ ხანდახან, რომ ბევრი თანამდებობის პირი თქვენსა და ჩვენს გვერდით ამ დეკორაციაში თავშეყოფილ კაცს ჰგავს.

ხშირად მომისმენია თქვენგან — ქალაქში ნიჭის ძალაუფლება უნდა იყოსო. რას უნდა ველოდოთ ხვალისათვის?

**— გეთანხმებით, ზოგიერთს თანამდებობა უფრო ამაღლებს, ვიდრე თავად თანამდებობას. მაგრამ ხომ ყველაფერი იცხრილება მაინც და ქვიშა ქვიშად რჩება. ხალხს უტყუარი ალღო აქვსო, ვამბობთ ხოლმე, მაგრამ ხალხის შეცდომაში შეყვანა ძალიან იოლია. დღეს ვისაც თანამდებობის კაცისა შურს, იმას ქრისტიანული გაგების შეცოდების უნარი საერთოდ არ ჰქონია. მოდის ჩემთან კაცი და მეუბნება, თუ დირექტორად არ გამიშვებ, ფანჯრიდან გადავხტებიო, გჯერათ? გარკვეულ კატეგორიაში გამომუშავდა რწმენა, რომ ხელმძღვანელი ხელმძღვანელად უნდა მოკვდეს, ყველას დაგვავიწყდა, რომ რიგითები ვართ, და ყველაზე დიდი საქმე ჩვენი პირადი კეთილდღეობა კი არა, საქვეყნო საქმეა. ამიტომ მგონია, რომ ახალგაზრდობის მოსვლა ხელმძღვანელ თანამდებობებზე დროის მოთხოვნითაც და ზნეობრივადაც გამართლებულია.**

— საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სწრაფად ცვალებადმა მოვლენებმა აშკარად გამოკვეთა საზოგადოების ორი დაპირისპირებული ფენა. ე. წ. „საქმიანი ხალხი“, საქმოსნებს რომ ვეძახდით ამდენხანს და, მაინც ვფიქრობ, ეს ის ხალხია, გონების სიზანტეს რომ ვერ ეგუებოდნენ ვერასოდეს, არც ვინმეს იმედი ჰქონიათ ოდესმე და ყოველნაირად ცდილობდნენ სოციალისტური ეკონომიკის „ხელშეუხებელ“ და მკვდარ ჩარჩოებს როგორმე გამიჯნოდნენ, მათი საქმიანობაც ზღვრულიდან თავდაღწევის ერთადერთი გზა იყო, ალბათ იმ გაგებით. რომ ნებისმიერი ბიზნესი სპეკულაცია არ არის, დღეს მითუმეტეს კარგად არიან ისინი, დღეს და ხვალ მათი ამინდი იქნება.

მეორე კატეგორია, ის — ე. წ. „პატიოსანი ხალხია“, რომელთაც ყოველთვის სჯეროდათ, რომ საზოგადოება, როცა იქნებოდა, მიაღწევდა თავისი განვითარების იმ სასურველ დონეს, რასაც ესწრაფვოდა და დამსახურებულად მიიღებდა იმას, რაც ეკუთვნოდა, არ გიფიქრიათ იმ ხალხზე, რომელთაც არც ხელი გაქცევიათ და არც თვალი სახელმწიფო ქონებისაკენ, მიუხედავად მათი მდგომარეობისა და არც [illegible] გაუხდიათ იძულებული მათთვის „ძლევნი უბადრუკი“ მიეგოთ იმ ენერგიისა თუ სიტყვის სანაცვლოდ, რაც მათ, მორალურს რომ თავი დავანებოთ, სამსახურებრივადაც ევალებოდათ? რომ ეს ადამიანები უკვე ზედმეტნი არიან ხვალინდელი ქვეყნისათვის, თუ ისევ სხვის იმედზე ჰრჩიეს ყოფნა? არადა, შეძლებენ კი ისინი საკუთარი თავის ღალატს? ხომ არ ფიქრობთ, რომ პატიოსნება მათი გაგებით სისულელე იყო მხოლოდ და მეტი არაფერი?

**— მე ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი აზრს — პატიოსანია და იმიტომ არის ძლიერიო. მიმაჩნია, რომ ჯერ ძლიერი ხარ და მერე სხვა დანარჩენი. განა პიროვნული სიძლიერე არ არის საკუთარი სულის გადარჩენა? ამიტომ ვერ ვხედავ მე პატიოსნების საპირისპირო ძალას. მე მგონია, რომ დღევანდელი ლიდერისათვის პროგრესული კაცის მიგნებაა მთავარი. მე მირჩევნია ათასებსა და ათიათასებში ორი-სამი კაცი მივიღო და დავმარცხდე, ვიდრე ათასებს გავყვე და გავიმარჯვო. ის დამარცხება ჩემთვის გამარჯვება იქნება და პირიქით. ამიტომ გითხარით წელან, ნიჭის ძალაუფლებას ვესწრაფვით-მეთქი. ეს სწრაფვა თავისთავად არის პროგრესი. შეიძლება ეს პროგრესული ძალა დღეს ყველაზე ჩუმა[illegible] არის, მაგრამ მას ერთი და ორი კაცი კი არ უნდა იცავდეს, არამედ მთელი ხალხი. სწორედ ეს პროგრესული ძალა მიმაჩნია მე დასაყრდენად და როცა მეუბნებიან, ზედმეტად გაბედული ხარო, სწორედ ამ ადამიანებზე დაყრდნობა მაძლევს ამ გაბედულებას და**

(დასასრული მე5 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თეიმურაზ ლანჩავა

საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი

# მიზანი: უკეთესობისაკენ სწრაფვა



საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების არსებობა ათეულობით წლებს ითვლის. დაინტერესებულ მეისტორიეს გარკვეული შთაბეჭდილება შეექმნება, თუ გულდასმით შეისწავლის საქართველოს უძველეს ქალაქში მოქმედ ამ ორგანიზაციის წარსულს და დღევანდელობას.

იყო დრო, მხოლოდ საქალაქო გაზეთი ითვლებოდა ქუთაისში მცხოვრებ მწერალთა „დიდ ასპარეზად". შემდეგ წლებში ალმანახ „რიონის" რამდენიმე ნომერიც წამოეშველა ლიტერატურულ ცხოვრებას, მაგრამ ყოველივე ეს ზღვაში წვეთი იყო და ლიტერატორებს მუდამ დედაქალაქისკენ გაურბოდათ თვალი. რომ არა ალმანახი „განთიადი". რომ არა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" ფილიალი, ალბათ. მიგრაციის პროცესი კვლავ უმოწყალოდ გაგრძელდებოდა. არსებულ პირობებში ცხოვრება ვერა და ვერ დააკმაყოფილებდა გემოვნებაგაზრდილ ლიტერატურულ ახალგაზრდობას.

წლები და ნერვების წყვეტა დასჭირდა იმ პირობების შექმნას, რაც დღეს ქალაქში მცხოვრებ მწერლებს აქვთ.

ახლა თამამად შეიძლება მოვიხსენიოთ ქუთაისში მოღვაწე რამდენიმე მწერლის სახელი, რომელთა საქმიანობა ავსებს და ალამაზებს რესპუბლიკის ლიტერატურულ ცხოვრებას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სამწერლო ორგანიზაცია დღითიდღე იზრდება, ჩვენს რიგებს შემოემატა ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობა, მათი ლექსები, მოთხრობები თუ ლიტერატურული წერილები ხშირად იბეჭდება რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში და მოწონებით სარგებლობს.

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისში მცხოვრები მწერლები განებივრებულნი არ არიან რესპუბლიკური საინფორმაციო საშუალებების ყურადღებით, თავისი ნიჭის წყალობით მაინც ახერხებენ ფართო მკითხველამდე მისვლას.

ამას წინათ, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე დიდ გულისტკივილს გამოთქვამდნენ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მწერლები იმასთან დაკავშირებით, რომ უცხო ენებზე ითარგმნება მხოლოდ დედაქალაქში მცხოვრებ მწერალთა ნაწარმოებები, ჩვენი სატკივარიც მათი პირით ითქვა.

ბოლო წლებში ადგილობრივი და რესპუბლიკური ხელმძღვანელობა მეტად დაინტერესდა ჩვენი ბედით, — შედეგიც უკეთესია.

სულ ახლახან ალმანახი „განთიადი" ყოველთვიურ ჟურნალად გადაკეთდა, დავაარსეთ ლიტერატურული გაზეთი „უქიმერიონი".

მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს მწერალთა ორგანიზაციასთან ლიტერატურული თეატრის შექმნა და ჩამოყალიბება. მან პოპულარიზაცია უნდა გაუწიოს, როგორც ქართულ კლასიკურ მემკვიდრეობას, ასევე თანამედროვე მწერლების შემოქმედებას, მისი სცენა უნდა იქცეს ეროვნული სატკივარის გამოხატვის ტრიბუნად. თეატრმა უკვე მაყურებელს უჩვენა პლატონ იოსელიანის „გიორგი მეათცამეტე", რომლის სცენური ვარიანტი ახალგაზრდა მწერალს თ. წოწონავას ეკუთვნის.

მეორე სპექტაკლი აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნება და მის პრემიერას ოქტომბრის თვეში ვაპირებთ.

გაზეთ „უქიმერიონისა" და ლიტერატურული თეატრის მაღალ პროფესიონალიზმზე გარკვევით ითქვა ქალაქის ინტელიგენციასთან ბატონ გივი გუმბარიძის შეხვედრის დროს.

ამას წინათ, მწერალთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, განვიხილეთ აკაკი წერეთლის საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ბევრ საინტერესო მხარეს მოიცავს. გათვალისწინებული გვაქვს გამოვცეთ ერთდროული გაზეთი „აკაკი — 150".

გაზეთ „უქიმერიონის" ერთი ნომერი მთლიანად მიეძღვნება პოეტის საიუბილეო თარიღს.

მემორიალური დაფა გაუკეთდება იმ სახლს, სადაც თავისი ცხოვრების გარკვეული წლები გაატარა მგოსანმა.. ლიტერატურული საღამოები გაიმართება ქალაქის მსხვილ საწარმოო-დაწესებულებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ქალაქის ინტელიგენციის დიდი გულისტკივილი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის მიერ მთლიანად უგულვებელყოფილია აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების ქუთაისთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები.

ნოემბრის თვეში, ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა ისრაელის დელეგაცია ქართველ ებრაელთა მსოფლიო ასოციაციის თავმჯდომარის დოქტორ იცხაკ დავიდის ხელმძღვანელობით. გადაწყდა ორივე მხარის წარმომადგენლებმა, ითანამშრომლონ და ფართო პროპაგანდა გაუწიონ ქართველი და ებრაელი მწერლების ნაწარმოებებს.

მაისში სტუმრად გვეწვია დაძმობილებული ქალაქ ნიუ-პორტის დელგაცია დიდი ბრიტანეთიდან — გაზეთ „უელსის არგოს" რედაქტორი ბატონი სტივ ჰოუზლიცი და ამავე გაზეთის თანამშრომელი, ჟურნალისტი და მწერალი მაიკ ბუკინგემი.

შევთანხმდით, რომ ფართო შემოქმედებითი პოპულარიზაცია გავუწიოთ დაძმობილებულ ქალაქში მცხოვრებ მწერალთა ნაწარმოებებს, ითარგმნოს და ინგლისურ ენაზე დაიბეჭდოს ქუთაისში მცხოვრებ მწერალთა შემოქმედება. ბატონი სტივ ჰოუზლიცი დაგვპირდა, რომ მისი გაზეთი მზადაა, მხარი დაუჭიროს ამ წინადადებას. რაც შეეხება გაზეთ „უქიმერიონს", უკვე მის ფურცლებზე გამოვაქვეყნეთ რამდენიმე ინგლისელი მწერლის ლექსი თუ ნოველა.

ამ დღეებში მოვიწვიეთ და ჩვენს ქალაქში სტუმრობდნენ აჭარაში მცხოვრები მწერლები. აჭარის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფ. ხალვაში, ალმანახ „ჭოროხის" რედაქტორი, მწერალი ა. სამსონია, მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, პოეტი ჯ. ქათამაძე, საოლქო გაზეთ „აჭარის" კულტურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე, პოეტი შ. ზოიძე. მეგობრული ურთიერთობა ამ ორ სამწერლო ორგანიზაციას შორის დიდი ხანია არსებობს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა იმასაც, რომ ამგვარ ურთიერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისას.

ბატონ ფ. ხალვაშთან ერთად მოთათბირების შემდეგ, გაჩნდა სურვილი იმისა, რომ მწერალთა ჯგუფი, 12 კაცის შემადგენლობით, ესტუმროს მაღალმთიან რაიონებს, სადაც გაიმართება ლიტერატურული საღამოები და ცოცხალი დიალოგი ადგილობრივ მოსახლეობასთან.

საინტერესო ერთობლივი შეხვედრა ჰქონდათ ქუთაისელ და აჭარაში მცხოვრებ მწერლებს ხონში. ამ რაიონში, სტიქიისაგან დაზარალებულ აჭარელთა 800-მდე ოჯახია ჩამოსახლებული. პარტიის ხონის რაიკომის პირველმა მდივანმა, რაიონული სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბატონმა მიხეილ ჩხენკელმა და ხონის ჩაის მეურნეობის დირექტორმა ზაურ სალარეიშვილმა გაგვაცნეს სადღეისო ვითარება და ილაპარაკეს იმ პრობლემებზე, რაც აჭარიდან ჩამოსახლებულ მოსახლეობას აწუხებს. ლია ცის ქვეშ გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელსაც ცრემლთან ერთად ბევრი სიხარული და ღიმილიც ახლდა.

დეკემბრის თვეში გვეწვივნენ „ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტები დიდი ბრიტანეთიდან სარა მიულერი და ჩარლზ კოლვილი, საუბარი მიეძღვნა თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს და მომავალ ურთიერთობებს.

სისტემატურია და არ წყდება კონტაქტი მუშათა კლასთან. ქალაქის ავეჯის კომბინატის მშრომელებთან შეხვედრამ და საქმიანმა სჯა-ბაასმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, ჩვენი ურთიერთობების აუცილებლობაში.

მწერალთა სახლში ეწყობა ახალგაზრდა და დამწყებ ავტორთა ნაწარმოებების კითხვა-განხილვა. მწერალთა მონაწილეობით ჩატარდა ღია გაკვეთილები სკოლებში.

ახლახან ფართოდ აღვნიშნეთ ჩვენი ორგანიზაციის ღვაწლმოსილი წევრის ბატონ დავით კვიცარიძის 70 წლისთავი. ასევე ფართოდ აღინიშნა პოეტ ზაალ ებანოიძის 50 წელი.

მართალია, რესპუბლიკაში შექმნილი დრამატული სიტუაცია იუბილეებისა და ზარ-ზეიმების გაწყობას არ განაპირობებს, მაგრამ ერთმანეთისათვის მართალი სიტყვის თქმა და მოფერება სწორედაც უპრიანია.

განზრახული გვაქვს მწერალთა, მხატვართა, მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებასთან და შვეიცარია-საბჭოთა კავშირის ერთობლივი საწარმო „არგოსთან" ერთად შევქმნათ საქმიანი, საერთაშორისო თანამშრომლობის საქველმოქმედო ასოციაცია, რომლის მიზანია მწერლობის, კულტურის, მეცნიერული მიღწევების აქტიური პროპაგანდა საერთაშორისო არენაზე, ახალგაზრდა შემოქმედთა ხელშეწყობა და მატერიალური დახმარება.

წინადადება წამოვაყენეთ და ქალაქის ხელმძღვანელობამ აღგვითქვა, რესპუბლიკურ დარგობრივ უწყებებთან შეთანხმებით, გადაწყდეს ქუთაისში დამოუკიდებელი გამომცემლობის დაარსება.

ბოლო წლებში, არსებითი, სახიკეთო ძვრები შეინიშნება ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. ყოველივე ეს კი ასახვას უნდა პოულობდეს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" ფურცლებზე. ამიტომ, სასურველია, ისე, როგორც სხვა რესპუბლიკურ გაზეთებს, „ლიტერატურულ საქართველოსაც" ჰყავდეს თავისი საკუთარი კორესპონდენტი დასავლეთის ზონაში.

ჩვენ მხოლოდ სამწერლო ორგანიზაციის ბოლო ხანებში ჩატარებულ საქმიანობაზე გავამახვილეთ ყურადღება და არ გვისაუბრია ორგანიზაციაში გაერთიანებულ მწერალთა შემოქმედებაზე.

ყოველივე ამას გვერდი შეგნებულად ავუარეთ, რადგან ქუთაისში მცხოვრებ მწერალთა ბოლო წლების შემოქმედებითი მიღწევები უფრო მეტ განსჯასა და ყურადღებას მოითხოვს. რომანები, მოთხრობები, ნოველები თუ პოემები, ბოლო წლებში რომ დაიწერა, სერიოზული მსჯელობის საგანია.

ეს პატარა წერილი, სადაც ჩვენი სამწერლო ორგანიზაციის ბოლო ერთი წლის ცხოვრება ავსახეთ, მოკლებულია პრეტენზიას. მაგრამ იმედია, იმ მკითხველს, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი ცხოვრებითა და შემოქმედებითი მიღწევებით, ზედაპირულ წარმოდგენას მაინც შეუქმნის და განსჯის საშუალებას მისცემს.

# მოლოდინი მეორე ეროვნული უნივერსიტეტისა

## გადავაქციოთ ქუთაისი საუნივერსიტეტო ქალაქად

დღეს საქართველოში ეროვნული მოძრაობის გადამწყვეტი ეტაპი დადგა. მასზე, თუ როგორ განვითარდება იგი, მთლიანადაა დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს მომავალი. დრო აღარ ითმენს. მოვლენები გასაოცარი სისწრაფით ვითარდებიან.

„თბილის-იქეთა“ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებმა გაამჟღავნა და უფრო თვალსაჩინოდ წარმოაჩინა ზოგიერთი ისეთი საშიში მოვლენა, რომლებიც შეიძლება მოულოდნელი შედეგებით დამთავრდეს. გაუთვალისწინებელი მასშტაბით თავი იჩინა კუთხურმა პარტიკულარიზმმა, სეპარატიზმმა, ქართველთმოძულეობამ, აშკარაა ქართველი ერისათვის თავსმოხვეული რეჟიმის მიერ გამოწვეული სულიერი და ზნეობრივი დეფორმაციები.

მთელი სერიოზულობით შეგვიძლია განვაცხადოთ: დასავლეთ საქართველოს ვრცელ რეგიონში (და, არა მარტო აქ) ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ქუთაისის ისტორიულად და ბუნებრივად კუთვნილი ადგილის, როლისა და ფუნქციის მოშლაცაა... „დიდმა გადმოსახლებამ“ (ს. კლდიაშვილი) განუზომლად შეარყია ქუთაისის პოტენციალი. თანდათანობით მოიშალა ქალაქის ტრადიციული „ადმინისტრაციული ძალმოსილებაც“. ქართული ურბანისტული ცივილიზაციის აკვანი. დასავლეთ საქართველოში ერთადერთი „სამეუფო ქალაქი“, დღეს, — საქართველოს სსრ 80-მდე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ „თანავარსკვლავედში“, — ერთადერთია, რომელიც სამ მხრივ საჭირო „ზრუნვისა“ და „სასიცოცხლო სივრცისაგან“ განძარცულია!

ქუთაისის „კულტურულ-ადმინისტრაციული“ დარბევის სანაცვლოდ, 30-40-იანი წლებიდან დაიწყო ქალაქის გაუაზრებელი „ინდუსტრიალიზაცია“, რამაც საბოლოოდ მოუღო ბოლო ქუთაისის ძველ-ისტორიულ ფუნქციას, მის კოლორიტულ იერსახეს.

მართალია, ქუთაისი, უმთავრესი პარამეტრების მიხედვით, ახლაც რჩება საქართველოში მეორე ქალაქად, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისი კარგა ხანია აღარ არის საქართველოს მეორე ცენტრი, მისი „პირველხარისხოვანი მეორე“ ქალაქი! და, ეს მაშინ, როცა ჩვენი ეროვნული ისტორია სრულიად საწინააღმდეგოს გვასწავლის...

•

ქუთაისის ისტორიულ-ეროვნული ადგილის, როლისა და ფუნქციის აღორძინებისათვის, გადაუდებლად საჭიროა:

— შეწყდეს ქალაქის შემდგომი „ინდუსტრიალიზაცია“...

— აღდგენილ იქნას ქუთაისის, როგორც რესპუბლიკის ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცენტრის ფუნქციები.

— დაარსდეს და გაძლიერდეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილება, — ცენტრით ქუთაისში. ცხადია, იგი უნდა გამოირჩეოდეს თავისი მძლავრი ჰუმანიტარულ-ქართველოლოგიური მიმართულებით.

— ქუთაისი გადაიქცეს საუნივერსიტეტო ქალაქად. აღნიშნული მიმართულებებით, ბოლო დროს გარკვეული დადებითი ძვრები დაიწყო.

ამჯერად ვისაუბრებთ მხოლოდ ბოლო პრობლემაზე, პირველ რიგში, — ქუთაისში ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე და უნივერსიტეტისათვის „ბრძოლის“ ისტორიაზე.

•

როგორც ცნობილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელმა, დიდმა ივანე ჯავახიშვილმა, უნივერსიტეტის გახსნის დამამთავრებელ ეტაპზე, სამი დიდი სხდომა გამართა: პირველი პეტროგრადში — 1917 წლის 1 მარტს, მეორე თბილისში — იმავე წლის 12 მაისს, ხოლო მესამე, ზუსტად 5 დღის შემდეგ, 17 მაისს, ქუთაისში. სამივე სხდომის დღის წესრიგი აბსოლუტურად ერთი და იგივე იყო — ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება. სამივე სხდომის ინიციატორი, ორგანიზატორი და მომხსენებელიც ერთი და იგივე პიროვნება — თავად ივანე ჯავახიშვილი ბრძანდებოდა.

ცხადია, პეტროგრადში, — რუსეთის ყოფილი იმპერიის დედაქალაქში, ქართველოლოგიის მაშინდელ ცენტრში, სადაც თბილისის უნივერსიტეტის შექმნის იდეა ჩაისახა და თბილისში, — საქართველოს ეროვნულ დედაქალაქში, სადაც თვით ქართული უნივერსიტეტი უნდა დაფუძნებულიყო, ასეთი სხდომების ჩატარება კანონზომიერებას წარმოადგენდა. ხოლო, ქუთაისში ასეთივე სხდომის ჩატარება, ერთი შეხედვით მაინც, უცნაურად გამოიყურება! მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით: მაშინდელი ინტელექტუალური ქუთაისის „დასტურის“, მისი დიდი ეროვნული ინტელიგენციის მონაწილეობის გარეშე თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება შეუძლებელი იქნებოდა! და, ეს მშვენივრად იცოდა დიდმა მამულიშვილმა ივანე ჯავახიშვილმა.

ქუთაისმა აღუზარდა საქართველოს მისი უნივერსიტეტის დამფუძნებელთა ძირითადი ბირთვი. გავიხსენოთ, რომ აქაურ სასწავლებლებში ჰქონდათ მიღებული საშუალო განათლება ექვთიმე თაყაიშვილს, დიმიტრი უზნაძეს, გიორგი ახვლედიანს, შალვა ნუცუბიძეს, აკაკი შანიძეს, კორნელი კეკელიძეს, ანდრია რაზმაძეს, ალექსანდრე ჯანელიძეს...

სწორედ ეს იყო ქუთაისის ბუნებრივი როლი და დანიშნულება, მისი ჭეშმარიტი ფუნქცია, მისი „საერთო-ქართული პასუხისმგებლობა“, თუნდაც, — მისი ისტორიული მისია და ბედისწერაც!

სიმბოლურია ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაბადების დღე (ძველი სტილით 26 იანვარი) დაკავშირებულია გაერთიანებული საქართველოს პირველი უმაღლესი სასწავლებლის — გელათის აკადემიის დამაარსებლის დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღესთან. ეროვნული უნივერსიტეტის დამფუძნებელი მოძღვართ-მოძღვარის ივანე ჯავახიშვილის რკინისებური ლოგიკის ნებით ეს დღე გადაიქცა ქართული უმაღლესი განათლების კვლავ აღორძინების, მისი ჭეშმარიტად უწყვეტობის მკაფიო დემონსტრაციად. ამ დღეს ყოველწლიურად საზეიმოდ აღნიშნავენ საქართველოში.

•

როგორც ცნობილია, პირველი უმაღლესი სასწავლებელი ქუთაისში გაიხსნა 1933 წლის თებერვალში. არსებითად, აქ საქმე ეხებოდა არა ახალი უმაღლესი სასწავლებლის წარმოქმნას საქართველოში, არამედ 1930 წლიდან თბილისში უკვე არსებული სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (რომელიც მაშინ დროებით გაუქმებული უნივერსიტეტის ფუნქციას ასრულებდა!) რეორგანიზაციას. მის (თავისი პროფესურისა და სტუდენტური კონტინგენტის უდიდესი ნაწილით) ქალაქ ქუთაისში გადმოყვანას. ზუსტად ასეა იურიდიულად დაფიქსირებული მის პირველ ოფიციალურ დოკუმენტში, — სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 8 იანვრის დადგენილებაში (სწორედ ამავე დღეს აღდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც!).

ე. ი. 1933 წლის დასაწყისში, თბილისის უნივერსიტეტის აღდგენასთან ერთად, მისი განუყოფელი ნაწილი და პირდაპირი მემკვიდრე, თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი, არსებითად ქუთაისში იქნა გადმოყვანილი!

დაახლოებით ანალოგიურია (ოღონდ, ზემოთ მოხსენიებული ქალაქების პირუკუ მონაცვლეობით) მეორე დიდი „კულტურული აქტი“: კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისში ჩამოყალიბება და შემდეგ დედაქალაქში გადანაცვლება. ამ თეატრის სახელოვან ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი მისი არსებობის პირველი ორი „ქუთათური წელი“ (1928-1930).

ასე რომ, ძველ საქართველოში უმაღლესი განათლების ცენტრების დასავლეთიდან (გელათის აკადემია) აღმოსავლეთისაკენ (იყალთოს აკადემია) განვრცობა, ახალ პერიოდში, ძირითადად, პირიქით, აღმოსავლეთიდან (თბილისის უნივერსიტეტი) დასავლეთისაკენ (ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტები და სხვ.) განვრცობა-გამრავლებამ შეცვალა. ცხადია, ამ „შიდა მიგრაციამ“ ქართულ კულტურას საჭირო „სასიცოცხლო სივრცე“, ერთიანობა-განუყოფლობის და მაღალი მეცნიერული დონის საიმედო საფუძველი შესძინა და მეტი შინაგანი სიმტკიცე მიანიჭა.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი შედეგია ქართული მეცნიერული ინტელიგენციის გმირობისა ამ საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში. უძველესი ქალაქის უმაღლესი სასწავლებლის აკვანთან იდგა თბილისის უნივერსიტეტის პირველი პროფესურის უდიდესი ნაწილი. ამან იმთავითვე ის მტკიცე საფუძველი შექმნა, რომელზედაც ინსტიტუტის სახელოვანი ტრადიციები აღმოცენდა. უნივერსიტეტი არც შემდეგ აკლებდა მას მზრუნველ ხელს.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სათავეებთან იდგნენ და მის ტრადიციებს ქმნიდნენ საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერები და მამულიშვილები: გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, ივანე ბერიტაშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ანდრია ბენაშვილი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, სარგის კაკაბაძე, იასონ მოსეშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, მოსე გოგიბერიძე, კონსტანტინე ბაქრაძე, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ანგია ბოჭორიშვილი, ნიკოლოზ კეცხოველი, ლევან გოკიელი, არჩილ ხარაძე, მათე მირიანაშვილი, მიხეილ საბაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, გრიგოლ ნათაძე, ალექსანდრე წერეთელი, ალექსანდრე ნამორაძე, მიხეილ ზანდუკელი, გიორგი ძოწენიძე, გიორგი ჯიბლაძე, ალექსანდრე ფრანგიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, შოთა ძიძიგური, ვასილ ჩანტლაძე, გიორგი თავზიშვილი, შალვა სიხარულიძე, თეიმურაზ ჰუმბურიძე, დავით ჩხეიძე, ლუკა ჭელიძე, კონსტანტინე მეძველია...

ასე იღბლიანად დაიწყო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის არსებობა. იგი დიდი ეროვნული მნიშვნელობის მოვლენად აღინუსხა არამარტო ქუთაისისა და მისი რეგიონის, არამედ მთელი საქართველოს განათლებისა და კულტურის ისტორიაში. ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა იმთავითვე მტკიცე ფუძეზე დადგა და ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება (უფრო დაწვრილებით: გ. გაბუნია, დ. გურეშიძე, პ. ვაჭრიძე, გ. მჭედლიძე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, თბ., 1985).

•

ნიშანდობლივია, რომ ახლადაღორძინებული თბილისის უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ლ. აღნიაშვილი, 1933 წლის თებერვალში გამოგზავნილ მილოცვაში გამოთქვამს სურვილს, რომ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის „საფუძველზე მომავალში წარმოიშვას **მეორე უნივერსიტეტი** საქართველოში“.

სულ მალე, ახლადგახსნილი ინსტიტუტი ისე მოღონიერდა, რომ უკვე 1936 წელს, პროფ. **კ. კეკელიძე** წერს: „მხოლოდ სამი წლის ისტორია აქვს ამ ინსტიტუტს. მიუხედავად ამისა, ის უკვე იმდენად მომაგრდა, რომ თამამად შეიძლება ჩვენში ის **მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტად** ჩაითვალოს“... (ხაზი ყველგან ჩვენია — **გ. გ., გ. მ.**). და ეს სრულიადაც არ იყო სახელოვანი მეცნიერის მხოლოდ სურვილისმიერი განცხადება. დიდმა მეცნიერ-დამფუძნებლებმაც სწორედ ასე „დაანათლეს“ მას დაარსების ჟამს. თანაც, ზოგიერთი ნიშნის მიხედვით (საუნივერსიტეტო სპეციალობანი, მაღალკვალიფიციური პროფესურა და სხვ.) იგი, ნაწილობრივ, უკვე მაშინ ასრულებდა უნივერსიტეტის ფუნქციასაც...

პედაგოგიური ინსტიტუტი განუყოფელია ქალაქ ქუთაისისა და მისი რეგიონის ისტორიისაგან. მან ყველა ეტაპზე, თავისი გადამწყვეტი სიტყვა თქვა მისი კულტურული დაწინაურების საქმეში, და, მასთან ერთად, არაერთ განსაცდელსაც გაუძლო.

მეორე მსოფლიო ომმა შეაფერხა და დროებით გადადო პრაქტიკულად უკვე დაწყებული ქუთაისის ინსტიტუტის შემდგომი წინსვლის გეგმების რეალიზაცია.

40-იანი წლების მეორე ნახევარში ქუთაისში უნივერსიტეტის დაარსებისათვის ზრუნვა განახლდა და მან უფრო რეალური ხასიათი მიიღო. 1948-1949 წლებში, საინიციატივო ჯგუფმა ქუთაისში, პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე უნივერსიტეტის დაარსების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტი მოამზადა. იგი შეთანხმებულ და მოწონებულ იქნა საქალაქო და რესპუბლიკურ ხელმძღვანელობასთან. მისი განხორციელების გულმხურვალე მომხრე იყო სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მაშინდელი მინისტრი ს. კაფტანოვიც. მაგრამ სამწუხაროდ, ეს თითქმის გადაწყვეტილი საშვილიშვილო საქმე ჩაიშალა!..

დრო და დრო, შემდეგშიაც (60-იან და 70-იან წლებში) გრძელდებოდა ცალკეული, უშედეგო, ცდები ამ მიმართულებით.

•

ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევისათვის მოძრაობის ისტორია ცხადყოფს, რომ მეორე ეროვნული უნივერსიტეტის დაფუძნებას ხელს უშლიდა სახალხო განათლების სისტემის მეტისმეტი ცენტრალიზაცია, რის გამოც რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ცენტრის დაუკითხავად უმაღლესი სასწავლებლის დაარსება კი არა, ცალკეულ სპეციალობაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის საკითხის გადაჭრაც არ შეეძლო.

ასეთ პირობებში ახალი უნივერსიტეტის დაარსება მხოლოდ ოცნებად რჩებოდა.

ახლა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით ცენტრსა და რესპუბლიკებს შორის სუბორდინაციის ბორკილები შესუსტდა. საქართველოს მთავრობამ რესპუბლიკის შიდა პრობლემების გადაწყვეტის უფლება მიიღო. ვითარება თანდათან კეთილსასურველი მიმართულებით იცვლება. საკავშირო მთავრობა უხალისოდ, მაგრამ მაინც თმობს თავის ზოგიერთ პრიორიტეტს. რეალური სუვერენიტეტის ჰორიზონტზე მნიშვნელოვანი ნიშანსვეტები გამოჩნდა.

უმაღლესი განათლების სფეროში თავისუფლების პირველი მერცხალი იყო, გასულ წელს, აფხაზეთის უნივერსიტეტიდან გამოყოფილი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. ამ აქტის გამო მრავალგვარი კომისიების მისვლა-მოსვლა და დიდი დავა ატყდა, მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა და სოხუმის ფილიალი ცალკე სასწავლო დაწესებულებად დარჩა.

შემდეგ, შედარებით უმტკივნეულოდ გადაწყდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნიკურ უნივერსიტეტად გარდაქმნის საკითხიც. რეალურად ისახება და ალბათ მალე გამოცხადდება თბილისის უნივერსიტეტის სრული ავტონომია. რესპუბლიკის მთავრობა უფლებამოსილი გახდა უმაღლესი სასწავლებლების დაფუძნების, მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისა და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების ადგილზე გადაწყვეტის საქმეში.

მოვლენების ასე სასიკეთოდ განვითარების ფონზე, ქუთაისელთა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, ქალაქის ხელმძღვანელობამ ხელახლა წამოაყენა მეორე ეროვნული უნივერსიტეტის ქუთაისში დაფუძნების საკითხი. ამის თაობაზე ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ და საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. შაშიაშვილმა ოფიციალურად განაცხადა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მაღალი ტრიბუნიდან. ხოლო შემდეგ პრინციპული თანხმობისათვის რამდენიმეჯერ იყო მსჯელობა საქართველოს მთავრობაში ჩატარებული თათბირებისა და საუბრების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოველით, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი ეროვნული პრობლემა ახლო ხანში დადებითად გადაწყდება და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი უნივერსიტეტად გარდაიქმნება.

●

მომავალი უნივერსიტეტი უნდა იქნეს ავტონომიური უმაღლესი სასწავლებელი. ეს უნდა გამოიკვეთოს არამარტო საუნივერსიტეტო თვითმმართველობის საყოველთაოდ აღიარებული ფუნქციების მისთვის მინიჭებაში, არამედ სრულ დამოუკიდებლობაში სახალხო განათლების სამინისტროსაგან. რაც უპირველეს ყოვლისა აისახება მისი ხარჯთაღრიცხვის, როგორც რესპუბლიკის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილის, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებით.

ცხადია, უნივერსიტეტის დაარსების ყველა მოსალოდნელი სიკეთის დეტალური გასიგრძეგანება დღევანდელი გადასახედიდან შეუძლებელია. მაგრამ ზოგიერთი ვარაუდი ასე წარმოგვიდგება:

— უკეთესი პირობები შეიქმნება პედაგოგიური განათლების შემდგომი უნივერსალიზაციისათვის. რაც ხელს შეუწყობს პედაგოგიური კადრების მომზადების ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას. კვალიფიცირებული პედაგოგის გარეშე შეუძლებელია დღევანდელი ჩვენი საშუალო სკოლის ფეხზე დაყენება. ვერავითარი რეფორმა, რა გენიალურადაც არ უნდა იყოს დამუშავებული მისი საკანონმდებლო აქტი, განათლების სფეროში არსებულ ნაკლოვანებებს ვერ გამოასწორებს, თუ ეს საქმე ღირსეულ მასწავლებელს არ მიენდო. მასწავლებელთა აღზრდა, სკოლაში მომუშავე ახალგაზრდა კადრებისათვის ნამდვილი ინტელექტუალურ-პედაგოგიური ატმოსფეროს შექმნა მთელ საზოგადოებასთან, მთელ ერთან ერთად, ახალ საუნივერსიტეტო ცენტრს უნდა მიენდოს. იქ უნდა აღიზარდოს თავისუფალი საქართველოს ეროვნული საზოგადო მოღვაწე-პედაგოგები.

— ერთპროფილიანი სპეციალობების გახსნის გზით დაიწყება მეცნიერმკვლევარებისა და პედაგოგმეთოდისტების მომზადება. ერთიან კომპლექსად ჩამოყალიბდება სპეციალისტების გამოშვებისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. შეიქმნება ახალი დარგობრივი სამეცნიერო ლაბორატორიები და კვლევითი ინსტიტუტები. რეგიონის საშუალო სკოლებთან მჭიდრო კონტაქტების გზით შეიქმნება მტკიცე ბაზა პედაგოგიური პრაქტიკის უკეთ ორგანიზაციისათვის. შესაბამისი პროფილებისათვის განისაზღვრება სწავლების ვადის ხანგრძლივობა, ჩატარდება საჭირო სამუშაოები სკოლების მართვისა და პედაგოგთა კადრებით მათი დაკომპლექტებისათვის, მომზადდება ყველა პირობა ექსპერიმენტული სკოლა-გიმნაზიების, გიმნაზიების, სხვა ფორმის ეროვნული სკოლების გახსნა-ფუნქციონირებისათვის.

— ასეთივე დიდი ამოცანა, რომელიც უნივერსიტეტმა უნდა გადაჭრას და რომლის გარეშეც მომავალი საზოგადოება სიძნელეებიდან ვერ გამოვა, ესაა მსოფლიოში მიმდინარე ჰუმანიტარიზაციის საერთო ფერხულში ჩართვა. სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელსაც ტექნიკის არნახული განვითარება მოჰყვა ბუნებრივად წარმოშვა ტექნოკრატიის ბაცილა. იგი განსაკუთრებით საშიშია ვიწრო ტექნიკური სპეციალისტის ხელში, ვინაიდან ასეთის აზროვნება მკაცრ ჩარჩოებშია ჩაკეტილი. მას მანქანა ჰყავს გაფეტიშებული, ხოლო ადამიანი მის დანამატადაა ქცეული. ტექნოკრატიამ სულიერი ცხოვრების თვალსაჩინო დეფორმაცია გამოიწვია. მას, მარქსიზმის გავლენით, დაემატა ადამიანურობის ხარჯზე, სოციალურზე ყურადღების გადატანა, საბოლოოდ კი ეკონომიკურიც, სოციალურიც, სულიერიც და ზნეობრივიც წაგებული აღმოჩნდა. ახლა ამას ყველა აღიარებს. მაგრამ აღიარება არ კმარა. ხსნის გზაა მოსაძებნი. ხსნა კი ადამიანურობის, კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის დამკვიდრებაშია. ამ საქმის მოვლა მხოლოდ სკოლასა და განათლებას შეუძლია. ოღონდაც, ისინი თვით უნდა იყვნენ ჰუმანიზებულნი. ჰუმანისტური განათლების კერები კი ყოველთვის უნივერსიტეტები იყვნენ და არიან.

— ცხოვრებამ მოიტანა და ქართულ პრესაში სულ უფრო დამაჯერებლად გაისმის მოთხოვნა საუნივერსიტეტო მეცნიერების აღორძინების აუცილებლობის შესახებ. ვინც საკითხს ასე სვამს, მათ არ ავიწყდებათ, რომ მეცნიერების განვითარება ისტორიულად უნივერსიტეტებში დაიწყო და მისგან წარმოიშვა შემდეგში აკადემიური მეცნიერება. ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, უპირატესად დაწინაურებულ სამეცნიერო ცენტრებს ახლაც უნივერსიტეტები წარმოადგენენ. ამიტომ მათი აზრით, უპრიანია აკადემიებიდან მეცნიერებამ კვლავ „მშობლიურ კერაში" — უნივესრიტეტებში გადაინაცვლოს. ჩვენ აშკარად ვდგევართ საუნივერსიტეტო მეცნიერების უპირატესი განვითარების პოზიციაზე და რამდენადაც დასავლეთ საქართველოში მძლავრი აკადემიური სამეცნიერო ცენტრი ჯერჯერობით არ არსებობს. ვფიქრობთ, ამ ამოცანის შესრულება ნაწილობრივ ქუთაისის უნივერსიტეტს უნდა დაეკისროს. შეიძლება ასეთი რთული ამოცანის გადასაწყვეტად იგი ამჟამად მეცნიერების ზოგიერთ დარგში მზად არ აღმოჩნდეს, მაგრამ ყველა პირობა არსებობს, რომ ეს ამოცანა მომავალში წარმატებით გადაიჭრას. მით უფრო თუ წარმოქმნილ პრობლემათა დაძლევაში მას მხარში ამოუდგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამ მიზნით, საჭირო გახდება მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინებში, ორი უმაღლესი სასწავლებლის ფაკულტეტებსა და კათედრებს შორის გაფორმდეს გრძელვადიანი ხელშეკრულებები, რომლებიც ორმხრივ თანამშრომლობას გათვალისწინებენ სამეცნიერო კადრების აღზრდის, სასწავლო პროცესების დონის ამაღლების, საგამომცემლო საქმის გაუმჯობესებისა და სხვ. მიმართულებებით.

— სადღეისოდ ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა დედაქალაქის განტვირთვა მოჭარბებული მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებებისაგან. ამ უკანასკნელში იგულისხმება უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც. პრესაში გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილის ავტორი (რ. ჩხარტიშვილი) უმაღლესი სასწავლებლების ისეთ ადგილებში გადატანის წინადადებასაც კი აყენებდა, სადაც ახლა ამ მხრივ არავითარი პირობები არ არსებობს. თბილისის უმაღლესი სკოლების ამ ხელგაშლილ ჩამორიგებაში, ქუთაისისათვის არაფერი არ იქნა გამეტებული. ამას იმიტომ არ შევნიშნავთ, რომ გულდაწყვეტილნი ვართ „უყურადღებობით", არამედ გვინდა ვაჩვენოთ ზოგიერთი კალმოსანი, როგორ იოლად წყვეტს უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებულ ურთულეს პრობლემებს. სინამდვილეში კი თუ დედაქალაქის განტვირთვა ამ მხრივ აუცილებელია (სხვა თუ არა, იქ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო ფართობის სიმცირისა და მართვის სიძნელეები ხომ მაინცაა შექმნილი), ამ ტვირთის მიღება ძირითადად სწორედ ქუთაისმა უნდა იკისროს. და, ეს იმიტომ კი არა, რომ ასეთია ვილაცის ახირებული სურვილი, არამედ იმის გამო, რომ ასეთის ძალა, დედაქალაქის შემდეგ, მხოლოდ მას შესწევს. თავის მხრივ კი მოსალოდნელი „მიგრაცია", კიდევ უფრო განამტკიცებს ქუთაისის ახალგაზრდა უნივერსიტეტს.

●

მოლოდინი და ოცნება ტყუპისცალები არიან. ოცნება კი ხშირად უფრო გაბედულია, ვიდრე სინამდვილე. ამიტომ მკითხველმა ამ წერილში წარმოდგენილი ზოგიერთი მოსაზრება შეიძლება რომანტიკულ წიაღსვლად ჩაგვითვალოს. მაგრამ, ვიმედოვნებთ. ერთში ყველა დაგვეთანხმება — მეორე ეროვნული უნივერსიტეტის შექმნა დიდი ხნის მომწიფებული და სავსებით დროული რეალობაა. დეტალებზე კი შეიძლება ყოველთვის ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ. ჭეშმარიტება ხომ აზრთა პლურალიზმსა და დისკუსიაში იბადება.

**გურამ გაგუნია**
**გიორგი მჭედლიძე.**

# ქუთაისში კენჭიც კი მიყვარს

(დასასრული)

სრულებითაც არ მიმაჩნია შემთხვევითად ჩვენი სახიქადული მამულიშვილის, ბატონ რეზო თაბუკაშვილის მიერ შემოთავაზებული ეროვნული მადლიერების ინსტიტუტის დამკვიდრება. ჩვენ არა მარტო სხვა ერისა და ტომის კეთილისმყოფელთა და კეთილისმოსურნეთა მადლიერება გვმართებს — ერთმანეთისაც, მიტინგებზე ხმისჩახლეჩამდე ყვირილისა და დროშის ფრიალის დრო, აქტიური მოქმედების დრომ უნდა შეცვალოს. ეს ისეთივე კანონზომიერებაა, როგორც მიზანი, ყოველ ჭეშმარიტ ქართველს რომ აღელვებს.

—პირადი ცხოვრება თუ გაქვთ?

— პირადი ცხოვრება? რა გითხრათ! დილის 8 საათიდან ღამის პირველ საათამდე სახლში ვერ შევდივარ. განა იმიტომ, რაიმე განსაკუთრებულს ვაკეთებ. მოხვენებით რომ ცხოვრობდე და, რასაც თქვენ გულისხმობთ, პირადი ცხოვრება გქონდეს, გამორიცხულია, როცა ამდენი პრობლემაა ქალაქში. ხელმძღვანელისათვის მაინც ძალიან ბევრს ნიშნავს ოჯახი, ურთიერთგაგება. ქალაქის თავმჯდომარის ოჯახი რიგითი ქუთაისელის ოჯახის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს.

საერთოდ, მე და ჩემს კოლეგებს კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ქალაქს ბევრი პრობლემა აქვს. ისიც ვიცით, რომ ამ პრობლემების მოგვარება ჩვენი მოვალეობაა და ამ საქმეში ქუთაისელების თანადგომის დიდი იმედი გვაქვს, უამისოდ გაგვიჭირდება.

ვიცი რას ვემსახურები და ვის ვემსახურები. ქუთაისში კენჭიც კი მიყვარს, ამიტომ ვპოულობ ძალას თავს მოვერიო და ყოველივე წვრილმანზე მაღლა დავდგე.

ბატონო თემურ, შარშანწინ ესპანეთში ვიყავი. ვიტორიაში არსებობდა თურმე ასეთი ტრადიცია — ეკლესიის წინ, სპეციალურ შემაღლებულ ადგილზე იდოს ქვის ფილა, რომელზეც ქალაქის ყოველი მერი არჩევისას ამოაკვეთინებდა თავის პროგრამას — პირობას დებდა საზეიმოდ.

საარჩევნო ვადის გასვლის შემდეგ თუ ამ პირობის რომელიმე მუხლი არ შესრულდებოდა, მერს ნაჯახით კვეთდნენ თავს. სხვათაშორის, ნაჯახიც გვაჩვენეს.

თქვენ თუ ისურვებდით ასეთ წესს ქუთაისის სინამდვილეში, ანუ — შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა თქვენი მიზნების განხორციელება ასეთი სისტემის პირობებში.

— პირობის მეორე ნაწილს, ბუნებრივია, ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის კანონი თავისთავად გამორიცხავს. თუმცა პირობის შეუსრულებლობა ჩვენი გაგებითაც თავის მოჭრას ნიშნავს. რაც შეეხება პირველ ნაწილს — ვეთანხმები მას. სადაც ისეთი ადამიანები გიდგებიან გვერდში, ეროვნული რომ მიაჩნიათ უმთავრესად, სადაც ნებისმიერი სამინისტრო და სახელმწიფო კომიტეტი გიწვდის დახმარების ხელს, თუ დასაბუთებულად და ეროვნული პოზიციებიდან სთხოვ, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალო, თუკი სასურველ შედეგს ვერ მიაღწევ.

ესაუბრა **ცირა შალაშვილი**

# სად და როდის დაიწერა „აღმართ—აღმართ"?

1971 წლის 6 აგვისტოს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (№ 32) დაიბეჭდა გიორგი პაპუაშვილის მოგონება. იგი გვამცნობს გიორგი ლეონიძის ყოფნას ლენინგორის რაიონში (ქსნის ხეობაში) და მის გამოუქვეყნებელ ექსპრომტსაც. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია გიორგი ლეონიძის ბიოგრაფიისათვის.

მოგონება ასე იწყება: როცა ავტომანქანიდან გადმოვედით და ერისთავის სასახლეს მივუახლოვდით, გიორგი ლეონიძე დაწინაურდა, სერზე შედგა, მარჯვენა ხელი ასწია და წარმოთქვა პირველი სტრიქონი ლექსიდან „აღმართ-აღმართ".

მასპინძლებმა და პოეტის თანამგზავრებმა, ცოტა არ იყოს. გავიკვირვეთ, გიორგი ლეონიძემ აქ აკაკის ლექსი რომ გაიხსენა. მან ეს შეგვატყო და ღიმილით გვითხრა:

„აღმართ-აღმართ" აკაკიმ აქ, მაშინდელ ახალგორში დაწერა 1871 წელს, ერისთავებთან სტუმრად ყოფნის დროს.

ორიგინალური, მაგრამ დასამტკიცებელი მოსაზრებაა.

გიორგი ლეონიძე შესანიშნავი მკვლევარი იყო და, ცხადია, კარგად იცნობდა აკაკი წერეთლის პოეზიასაც. პოეტი-აკადემიკოსი უსაბუთოდ და ჭელაღებით არ გამოიტანდა ასეთ დასკვნას. ალბათ, რომელიღაც წერილობით ცნობას მიენდო.

მაგრამ ლექსის დაწერის თარიღი (1871 წ.) არასწორია და სოფელი ახალგორი ლექსის დაწერის ადგილადაც შეცდომით არის მიჩნეული.

„აღმართ-აღმართ" პირველად დაიბეჭდა 1876 წელს (გაზეთ „დროება". № 2). აკაკის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში (ტ. I. 1950 წ. გ. აბზიანიძის რედაქციით) ლექსს ქვეშ მიწერილი აქვს: 1876 წლის 1 იანვარი. ს. ახალგორი (რედაქტორის „შენიშვნებს" ქვემოთ შევეხები).

აკაკის რჩეულ ლექსთა სხვა გამოცემებში (1948 წ. რედაქტორი გ. ქიქოძე; 1960 წ., რედაქტორი ს. ჩიქოვანი) კი აღნიშნულია: 1875 წლის 7 სექტემბერი. ქუთაისი.

რომელია სწორი?

ლექსი უთუოდ დაიწერა ქუთაისში, 1875 წლის 7 სექტემბერს, 1876 წელს კი დაიბეჭდა. გამოქვეყნებამდე. ალბათ, ის სოფელ ახალგორში გადაუწერია ავტორს.

ეს ფაქტი სხვანაირად ვერ აიხსნება. არსებობს სანდო დოკუმენტი იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნა „აღმართ-აღმართ".

1908 წელს ჟურნალ „ფასკუნჯში" (№ 5) დაისტამბა პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის არისტო ქუთათელაძის „მოგონება აკაკის შესახებ".

ეს იყო 1875 წელს. აკაკი ქუთაისში ცხოვრობდა სასტუმრო „კოლხიდაში". ერთხელ მას შეხვდა რუსეთიდან დაბრუნებული არისტო ქუთათელაძე. აკაკიმ იგი თავისთან დააბინავა ცალკე ოთახში.

7 სექტემბერს, დილით ადრე. რაღაც უჩვეულო ხმამ გამომაღვიძაო, — წერს არისტო, — თვალები გავახილე, დავინახე: აკაკი საცვლების ამარა ოთახის კუთხიდან კუთხეში დადის, რაღაცას ჩურჩულებს, ვიღაცას ედავება, იბრძვის, ბორგავს, არ ეთანხმება. სახე ემანჭება გადავწყვიტე, მუზას რომ ეძახიან, ალბათ, ის ეწვია-მეთქი და თავი მოვიმძინარე. საბანწამოხურული ჭუჭრუტანიდან გაფაციცებით თვალ-ყურს ვადევნებდი. პოეტი კვლავ განაგრძობდა სიარულს, მღეროდა. ღელავდა. აი, თანდათან უკლო ნაბიჯს. სახეზედაც უფრო სიმშვიდე დაეტყო, უკანასკნელი თავისი ბრძოლა-საუბარი დაასრულა და გადმომძახა: არისტო, არისტო, ადექ მალე და დამწერეო. მეც სწრაფად წამოვიჭერი, მოვიმარჯვე ქაღალდი და კალამი. და აკაკი ყოვლად უცვლელად და გაუსწორებლად მიკარნახებდა, და მეც გულის ფანცქალით აჩქარებულად ვწერდი ძვირფას ლექსს— „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა".

არისტო ქუთათელაძის მემუარს იმოწმებენ სპეციალისტები (იხ. ვუკოლ ბერიძე. „შოთას პოეტიკისათვის"; რუსთველოლოგიური ეტიუდები. 1961. გვ. 114; ლევან ასათიანი. „ცხოვრება აკაკი წერეთლისა". 1953. გვ. 278-279).

1912 წელს, რაჭაში (ბარაკონში) ყოფნის დროს, აკაკის ჰკითხეს: „ფასკუნჯიდან" შევიტყვეთ, რომ „აღმართ-აღმართ" სულ ცოტა ხანში დაგიწერიათ. ნუთუ ეს მართალიათ?

აკაკის პასუხი ასეთი იყო: დედა შვილს რამდენიმე წუთში შობს, მაგრამ ცხრა თვე მუცლით ატარებსო (მოგვითხრო პედაგოგმა ლონგინოზ კიკვიძემ. იხ. გაზ. „ქუთაისი". 1966. 16 თებერვალი).

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის რედაქტორი გ. აბზიანიძე თავის „შენიშვნებში" (ტ. I. 1950 წ.) აღნუსხავს ავტოგრაფული და ნაბეჭდი ტექსტის ვარიანტულ სხვაობებს, მაგრამ არ ქუთათელაძის მოგონებასა და ამის იხედვით ცნობილ დათარიღებას კი არ ეხება. ეტყობა, გიორგი ლეონიძე დამყარებია მხოლოდ ამ გამოცემას, რომელშიც ლექსის დაწერის ადგილად სოფელი ახალგორი ითვლება.

უნდა ვიფიქროთ, რომ „აღმართ-აღმართ" არ შექმნილა არც 1871 წელს და არც სოფელ ახალგორში. აკაკი სტუმრად ყოფილა ახალგორში, სადაც ლექსი დაბეჭდვის წინ გადაუწერია მხოლოდ. სადავო არაა. რომ კლასიკური ელეგია „აღმართ-აღმართ" აკაკი წერეთელმა დაწერა ქუთაისში 1875 წლის 7 სექტემბერს.

**მიხეილ ალავიძე**

# პოეტის ტრაგიკული აღსასრული

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ტიციან ტაბიძის პოეზიაში საოცარი ძალით ვლინდება სიკვდილის ავი წინათგრძნობა. ვკითხულობთ პოეტის ლექსებს და შემაძრწუნებლად ვგრძნობთ იმ წინასწარმეტყველებას, რითაც მან გარდაცვალებამდე ჯერ კიდევ ათი-თორმეტი წლით ადრე ივარაუდა თავისი ტრაგიკული აღსასრული. „არ გამოცვლილა ხომ პოეზია — მუზები ცისკრის კარებს აღებენ, მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ“, — წერდა ტიციანი 1926 წელს სერგეი ესენინისადმი მიძღვნილ ლექსში.

1927 წელსაა დაწერილი ეს სტრიქონებიც: „გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახეული მაქვს ლაყუჩები, შემართულია ფეხზე ჩახმახი და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები. ასე კვდებოდა ალბათ ათასი და მოწმედ მყავდა ეს ანანური. ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი და თვითმკვლელობის იავნანური“.

გავიხსენოთ ასეთი სტრიქონებიც: „მაგრამ ლექსებზე მეტი მიმაქვს მაინც ნაღველი, ასე უჩემოდ სასიკვდილოდ რომ გამილესეს“... რამდენი ასეთი სტრიქონის გახსენება შეიძლება პოეტის შემოქმედებიდან.

დაღუპვამდე რამდენიმე თვით ადრე, როგორც თანამედროვენი იგონებენ, საოცრად გულჩათხრობილი გამხდარა. პოეტი თითქოს ყველას ჩამოშორდა, განმარტოვდა, გუმანით გრძნობდა ტრაგიკული აღსასრულის მოახლოებას. თუმცა, ეს შინაგანი ტრაგედია არც ამ დროს დაწერილ ლექსებში გამჟღავნებულა და არც საზოგადოებრივ საქმიანობაში მის აქტიურ მონაწილეობას დასტყობია. იმდროინდელი ლექსები მომეტებული ძალით გამოხატავენ სიცოცხლის ხალისსა და ზეაწეულ პათეტიკურ განწყობილებას. მაგრამ სულ სხვა იყო თურმე თავის თავთან განმარტოებული, მეგობართაგან განაპირებული ტიციანი, რომელსაც რაღაც სევდა უღრღნიდა გულს, რაღაც გაუმხელელი ტკივილი აწუხებდა.

ტიციანის თანამედროვეებმა და მეგობრებმა საგულისხმო ცნობები შემოგვინახეს პოეტის უკანასკნელ დღეებსა და ტრაგიკულ აღსასრულზე. მათში ძუნწად, მაგრამ შემაძრწუნებლად მჟღავნდება ის განწყობილება, რითაც პოეტი ამ ტრაგედიას ელოდა. თითქოს ყველაფერი დაბეჯითებით იცოდა. იცოდა, რომ მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და ამ გადაწყვეტილებას წინ ველარაფერი აღუდგებოდა.

შალვა აფხაიძე იგონებს: „ზაფხული იყო, პაოლომ რომ ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე. მისი სიკვდილი ტიციანს მეხივით დაეცა თავზე და თან გაიტანა. სულიერად დაშალა. ამის შემდეგ მის სახეზე არავის უნახავს წინანდელი, ბავშვური, წმინდა ღიმილი. საკუთარ თავში ჩაიკეტა, ოხრავდა. გრძნობდა, რომ უფსკრულის წინ იდგა. გარეთ იშვიათად გამოვიდოდა.

1937 წლის 12 სექტემბერს დანიშნული იყო ილიას ობელისკის გახსნა წიწამურში. თბილისიდან მრავალი მწერალი წავიდა. ჩვენთან იყო ტიციანიც. ცხელოდა. ცა გამჭვირვალე იყო. ბუჩქების ჩრდილქვეშ დავიცავით თავი მცხუნვარე მზისაგან. ტიციანი იჯდა. ვერ ისვენებდა — თითქოს აღარ იყო ამქვეყნად...

მახსოვს უკანასკნელი შეხვედრა ტიციანთან. ღამე იყო. მივედით მე და სანდრო შანშიაშვილი. ტიციანი წამოწოლილი იყო ლოგინზე. თავს ადგა განუყრელი ნინო. მისი ნუგეშისმცემელი და მფარველი. კარგა ხანს ვისაუბრეთ. გვინდოდა მისი შექცევა. მისი ფიქრების სხვა სფეროში გადატანა. ტიციანი არ იყო საუბრის ხასიათზე. ორი თუ სამი დღის შემდეგ ტიციანი აღარ იყო...“

ასე აღსრულდა ავი წინათგრძნობის შედეგად ჯერ კიდევ თორმეტი წლის წინათ ნაწინასწარმეტყველევი სიტყვები: „მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია. ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენო“. სიამის ტყუპებად მონათლული მეგობრები. მთელი თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით განუყრელი პაოლო და ტიციანი ბედისწერამ თითქოს სიკვდილითაც არ დააშორა ერთმანეთს.

პოეტის ტრაგიკულ აღსასრულზე, მისთვის სიცოცხლის ბოლო დღეებში დამახასიათებელ განწყობილებაზე გვიამბობს ს. ჩიქოვანიც: „ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაც მეგობრული და უჩვეულო იყო. მე იგი მხოლოდ ცხოვრებით ბედნიერი და პოეზიით გახარებული მენახა. შემატყობინეს, რომ ხიფათის მოლოდინში შინ წრიალებდა, ვერ ისვენებდა და სანთელივით ილეოდა. მე მაშინვე წავედი მასთან, რათა ორიოდე საათით მაინც გამომეთიშა იგი ასეთი მდგომარეობიდან, რამდენადმე მაინც შემემსუბუქებინა განსაცდელის მოლოდინით გამოწვეული სასოწარკვეთილება. ტიციანს საოცრად გაეხარდა ჩემი მისვლა, მალე გაერთო საუბარში და რამდენიმე დაუბეჭდავი ლექსი წამიკითხა, პოეზიაზე ვისაუბრეთ და საერთო მეგობრებიც მოვიგონეთ. მისი პოეზიის მუზა, მისი კოლომბინა, მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი — ნინო მაყაშვილი ჩვენს საუბარში მონაწილეობდა... ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. წამოსვლისას ტიციანმა შუა კიბემდე ჩამომაცილა და ნაღვლიანი ღიმილით დამშორდა. მეც მძიმე შთაბეჭდილებით გამოვედი პოეტის ბინიდან და ჭავჭავაძის ქუჩაზე დავეშვი.

თბილისში შემოდგომა უკვე იწყებოდა და რუსთაველის პროსპექტის ჭადრებზე ცვლილი ფოთლები შრიალებდნენ. თურმე ტიციან ტაბიძის სიცოცხლის უკანასკნელი შემოდგომა იყო“.

1937 წლის 11 მაისს გაფართოებულმა მწერალთა კავშირის პლენუმმა, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგე ვ. გორდელაძე, მკაცრად გააკრიტიკა ტ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, პ. იაშვილი და სხვა მწერლები იმის გამო, რომ მათ შემოქმედებაში იგრძნობოდა ტროცკისტული გადახვევები.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ოციანი წლების ჩვენს მწერლობაში არსებულ ლიტერატურულ დაჯგუფებებში გაერთიანებულ მწერლებს. რომელთა დამოკიდებულება ახალ ეპოქასთან ამგვარად შეაფასა: „მოვიდნენ თუ არა საბჭოთა ხელისუფლებასთან აღნიშნულ მიმდინარეობათა წევრები? რასაკვირველია, მოვიდნენ თავიანთი ბოლჩებით (დარბაზში საერთო სიცილი: ნეტავ რა იყო იმ ბოლჩებში? საერთო სიცილი). მართალია, მწერალთა კავშირის კარებთან მათ დაბერტყეს ეს ბოლჩები, მაგრამ წარსულის ნაშთები შიგ მაინც დარჩა და ის დღესაც არ არის სავსებით აღმოფხვრილი“.

ასეთი იყო ოფიციალური ხელისუფლების პოზიცია იმ საბედისწერო წელს ჩვენი მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლების შემოქმედებისადმი, პოზიცია, რომელიც წლების მანძილზე ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა.

გადიოდა დრო და დაუნდობელი მრისხანების საბედისწერო ზვირთები უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ. იმდროინდელი დოკუმენტური მასალები ადასტურებენ, რა გააფთრებით აბობოქრდნენ ეს ტალღები ტიციანის ირგვლივ. მათი შეჩერება უკვე აღარაფერს აღარ შეეძლო.

არსებობს ტიციანის დაღუპვის შესახებ ორიოდე მოარული ცნობა. ძნელი სათქმელია. რომელი მათგანია სწორი. ჯერჯერობით ზუსტად არაა ცნობილი, როგორ და რა ვითარებაში დაიღუპა პოეტი. ერთი გადმოცემის თანახმად, იგი აქვე, თბილისში, დაღუპულა. მეორე ვერსიის მიხედვით, თითქოს ციმბირში გადაუსახლებიათ და დანიშნულების ადგილზე მატარებლით წაუყვანიათ. გზაში კუჭი აშლია. მატარებლის ზედამხედველს, იმის შიშით — დიზენტერია ან სხვა რაიმე ინფექცია არ ჰქონდეს და დანარჩენებს არ გადაედოსო, ბრძანება გაუცია და ავადმყოფი ტაიგაში გაქანებული მატარებლიდან გადაუგდიათ..

ნინო ტაბიძის მოგონებებში ტიციანის დაღუპვის შესახებ ძალიან ძუნწადაა საუბარი. კერძოდ, ბ. პასტერნაკისა და ნინოს მიმოწერებიდან ირკვევა, თითქოს ტიციანი 1937 წელსვე არ დაუხვრეტიათ. ბორის პასტერნაკი ნინოსადმი მიწერილ რამდენიმე წერილში იტყობინება, რომ ტიციანი ჯერაც ცოცხალია, რომ მისი ადგილ-სამყოფელი მიკვლეულია და იგი ცდილობს მის განთავისუფლებას. ძნელი სათქმელია, რამდენად მართალია ბ. პასტერნაკის ბარათებით მოწვდილი ასეთი ცნობები. იქნებ, მან არაფერიც არ იცოდა და, უბრალოდ, უკიდურესი გასაჭირის ჟამს ამშვიდებდა, მორალურად ამხნევებდა და რწმენას მატებდა მეგობრის მეუღლეს.

ნათქვამის დასტურად მოვიყვანოთ ფრაგმენტები პასტერნაკის წერილებიდან: „ძვირფასო ნინო! მაპატიეთ, რომ გწერთ, ალბათ არ უნდა შემეშფოთებინეთ. ახლახანს, სულ ახლახანს, ჩემამდე ხმამ მოაღწია, თითქოს ტიციანი ცოცხალი აღარ იყოს. ალბათ წარმოიდგენთ. რა დამემართებოდა, მაგრამ რამდენიმე საათის წინ მითხრეს, ეს მცდარი ვარაუდია და საწინააღმდეგო საბუთებიც არსებობსო. შინ დავბრუნდი. სიხარულისაგან ვბარბაცებდი. გწერთ წერილს და რწმენა თანდათან მიმტკიცდება. ოღონდ დამიდასტურეთ, მითხარით, რომ ცოცხალია, მიდეპეშეთ ან მომწერეთ“ (1939 წ.).

„ვერ წარმოიდგენთ. როგორ მჭირდება ტიციანი. პირდაპირ ფიზიკურად, ხელები მიწევენ მისკენ და მჯერა, რომ გაამართლებენ“ (1940 წ. 15 მაისი).

„მე ყოველთვის მჯეროდა, რომ ტიციანი ცოცხალია და ჩვენ მას ვნახავთ, მაგრამ მაშინაც კი. თქვენ რომ აქ იყავით, მაშინებდნენ და ჩემს რწმენას ძირს უთხრიდნენ.

ნინო, თუ ჩვენ გვიწერია ეს ბედნიერება, და ტიციანს კირასავით აქ გამოუშვებენ, მაშინ ერთი დიდი თხოვნა მექნება თქვენთან: ჩამოდით აქ მის შესახვედრად და დარჩით ცოტა ხანს ჩვენთან ერთად მოსკოვში ან აქ, პერედელკინოში... უკვე შეგვიძლია და საჭიროც არის, მადლი შევწიროთ უფალს და მეც შემიძლია, მოგილოცოთ და გულში ჩაგიკრათ თქვენ და ნიტა. მაგრამ ნუ ავჩქარდებით. მოვითმინოთ“ (1940 წ.).

„ტიციანი ცოცხალია. სადღაც ახლოს არის და ალბათ სულ მალე დაგვიბრუნდება. იგი ბურჯია ჩემი ცხოვრებისა. ჩემი ღვთაება. ბერძნული და მითოლოგიური გაგებით. ალბათ ასე ბედნიერი არ ვიქნებოდი, ასე არ მეყვარებოდით, ასეთი იმედი არ მექნებოდა მომავლისა. რომ ტიციანს არ მოველოდე“ (1940 წ. 27 დეკემბერი).

„ყველას სწამს. რომ ტიციანი ცოცხალია და ჯანმრთელი. ის კი არა. თითქოს საიდანღაც შევტყოთ. რომ იგი სადღაც მუშაობს“ (1946 წ.).

1937 წლის ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ქვემოთ ლსცსა) დაცული მასალების გაცნობა. აქ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს მწერალთა კავშირის სხდომის ოქმები, რომლებშიც მოკლედ არის აღნუსხული იმ ტრაგიკული დღეების სისხლიანი მოვლენები.

კითხულობ ამ ჩანაწერებს და შეძრწუნებული ხარ გალაღებული ბოროტებით. სამწუხაროდ, ოქმები იმის დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა, რომელმა გამომსვლელმა რა თქვა ხალხის მტრად შერაცხული ამა თუ იმ მწერლის შესახებ, ვისთვისაც განაჩენი გამოაქვთ. ასეთი სხდომები კი თითქმის ყოველ ორ კვირაში ტარდება. სხდომათა მონაწილეებად დასახელებულია იმ პერიოდის თითქმის ყველა მწერალი, რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა. გამომსვლელთა შორის მოხსენიებულნი არიან ისეთებიც, რომელთა სახელებიც ჩვენს წარმოსახვაში ზნეობრივი სიწმინდისა და პატიოსნების სიმბოლურ ხატებად არიან დამკვიდრებულნი... ნეტავ, როგორ გავლეს მათ ბოროტებისა და ჯოჯოხეთის სისხლიანი მორევის ბეწვის ხიდზე? რა თქვეს, როგორი პოზიცია დაიკავეს...

ამაზე ეს ჩანაწერები ვერავითარ პასუხს ვერ იძლევიან... მათ შემდგენელს მოვლენათა ასეთი ზუსტი და კონკრეტული აღწერა საჭიროდ არ ჩაუთვლია.

ერთი რამ კი აშკარა და უეჭველია: ე. წ. პროლეტარულ მწერალთა განსაკუთრებული აქტიურობა ამ სხდომებზე. გამომსვლელთა შორის სწორედ ისინი არიან უმეტესობა. ხშირად ისინი ხსნიან ამ სხდომებს, პირველ სიტყვებსაც ისინი წარმოთქვამენ და განაჩენიც მათეულია. ეს ნათლად ეტყობა ამ ოქმების სულისკვეთებას, მიღებულ დადგენილებათა „უკომპრომისო და იდეურპოლიტიკურად ჯანსაღ“ პათოსს.

ტრაგიკულად ვითარდებოდა მოვლენები. ტიციანის ირგვლივ უფრო და უფრო გროვდებოდა შავი ღრუბელი. პოეტი გრძნობდა საბედისწერო აღსასრულის მოახლოებას, ხედავდა, რომ საშველი, გამოსავალი არსად იყო...

და, აჰა, ეს ტრაგიკული დღეც დადგა. 1937 წლის 8 ოქტომბერი.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა:

„მოისმინეს — ტიციან ტაბიძის შესახებ, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა უკვე გამომჟღავნებულ ხალხის მტრებთან...

დაადგინეს — ვინაიდან ყოველგვარ ეჭვს გარეშეა ტ. ტაბიძის ახლო კავშირი ხალხის მტრებთან, ვინაიდან მას არა ერთხელ მიეცა საშუალება ეღიარებინა თავის დანაშაული, მაგრამ მან ეს არ ისურვა, — ტ. ტაბიძე გაირიცხოს საბჭოთა მწერლების კავშირის რიგებიდან.

დადგენილება მიღებულია ერთხმად“ (ლსცსა. გვ. 26).

„ხალხის მტრებისა“ და „უცხოეთის დივერსანტ-ჯაშუშების“ მხილება-გამოაშკარავების ფაქტების გვერდით მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომათა მონაწილენი მგზნებარე ბოლშევიკურ მადლობას მოახსენებენ შინსახკომის მუშაკებს პარტიული სიფხიზლის გამო და გულისამაჩუყებელი სიტყვებით ასხამენ ხოტბას მათ უდიდეს საქვეყნო დამსახურებებს“.

●

1954 წელი. 30 ივნისი. საღამოს რვა საათზე საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა ქართველ მწერალთა მეოთხე ყრილობა.

კულუარებში წინასწარ ისმის ხმები 1937 წელს რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შესახებ. გვარებსაც ასახელებენ. ამ ხმებში, ამ ბედნიერი დღის მოლოდინში, მთელი ქართველი ხალხის სანუკვარი ნატვრა და ოცნებაა ახმიანებული.

ჩვიდმეტი წლის წინათ ბარბაროსულად განადგურებულ საყვარელ მწერალთა სახელები კვლავ უნდა გამობრწყინდნენ სამზეოზე.

და, აი, ეს წუთიც დგება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე ყრილობის ტრიბუნიდან აცხადებს: „ამხანაგებო, ყველა თქვენგანმა კარგად იცის, თუ რა უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ხალხს კაცისმკვლელთა და ჯაშუშთა ბანდამ... ბევრი მოწინავე, პროგრესული მეცნიერები დაღუპა ამ ბანდამ... კაცისმკვლელთა ამ საზიზღარი ბანდის ინტრიგებისა და ტერორის მსხვერპლნი გახდნენ ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. მე მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით, ეს პირნი რეაბილიტირებულნი არიან (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1954 წ. 16 ივლისი).

მაგრამ ყველანი?

გარეგნულად, ალბათ, ყველანი! ამ საყოველთაო სიხარულისა და ბედნიერების მომენტში სხვაგვარად ვერ მოიქცეოდნენ!

აი, როგორ იგონებს ამ მომენტს მ. ჯავახიშვილის ქალიშვილი: „გამოცხადდა შესვენება და ხალხი დარბაზიდან დერეფანში გამოეფინა. ჩვენც გამოვედით. ფეხზე ძლივს ვიდექი, ვიღაცამ სკამი შემომთავაზა და იქვე კედელთან დამსვა. დაგვინახეს თუ არა, ხალხი განუწყვეტლივ ნაკადად მოდიოდა ჩვენთან და ზოგი აღტაცებული, ზოგი ცრემლნარევი ხმით, რეაბილიტაციის მიღებას გვილოცავდა. ბევრი მწერალი მოვიდა ჩვენთან, მოვიდნენ ისინიც, ვისაც მოესვლებოდა, გვკოცნიდნენ და მამას აღდგენას გვილოცავდნენ. ზოგმა კი მოსვლა ვერ გაბედა, როცა გვერდით გავუარე მათ, თავი ამარიდეს. რეაბილიტაციის გამოცხადება თურმე მათ ლახვარივით მოხვდათ გულზე“ (ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, „მნათობი“, 1989 წ. № 6, გვ. 167).

მაგრამ ზნეობაგაყიდულ ამ ადამიანთა შეკრთომა დროებითი გამოდგა. ისინი ამ ფაქტსაც მალე შეეგუენ, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო, თითქოს ისინი სრულიად უცოდველები იყვნენ იმ სისხლიან ტრაგედიებში, თითქოს მეხსიერება დაჰკარგოდათ ადამიანებს, თითქოს არც ის დასმენებსა და ღვარძლიან დოკუმენტებს თვლიდნენ რაიმედ, რომელთა დიდი ნაწილი სამუდამოდ შემორჩა მაშინდელი პრესის ფურცლებს, ჩვენს არქივებსა და წიგნთსაცავებს, როგორც თავზარდამცემი მოწმენი აღზევებული ბოროტების ზეიმისა.

პრესის ფურცლებზე კვლავ გამოჩნდა მათი წერილები, აღფრთოვანებულები რომ წერდნენ მ. ჯავახიშვილის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის... უდიდეს ლიტერატურულ დამსახურებაზე. წერდნენ სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე, წერდნენ ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და ყველაფერი სიზმარივით გამქრალიყოს. პირიქით, ზოგიერთი მათგანი თავის თავს მათ ერთგულ მეგობრადაც აცხადებდა და მოგონებებიც კი გამოაქვეყნა...

მაგრამ ეს არ არის მთავარი.

მთავარი ის გახლავთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის მკვდრეთით აღდგომითა და მეორედ დაბადებით დასაბამი მიეცა ეროვნული სულის ახალ აღორძინებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა"

საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებასთან არსებობა დაიწყო ლიტერატურულმა თეატრმა. 1990 წლის 5 მაისს გაიმართა პრემიერა. წარმოდგენილი იქნა პლატონ იოსელიანის „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა".

თეატრის შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ქალაქის ცხოვრებაში.

●

## „რად სტირი, სადავითოვ სახლო?"

ეს ის კითხვაა, რომელზეც ბევრი გვიფიქრია, პასუხი კი ვერ გაგვიცია. შემდეგ ფიქრიც მოგვბეზრებია და თაობები წასულან, დღეს კი გაგვახსენდა 1802 წლის 9 აპრილი, გენერალი კნორინგი და ათი ათასი რუსი ჯარისკაცი, საქართველოს ქართველებისაგან რომ იცავდა. მანამდე მეფე ერეკლე ამაოდ ელოდა კრწანისის ველზე მშველელს.

„რად სტირი, სადავითოვ სახლო?"

„დავაკლდით ერნი ქრისტეანენი მემკვიდრესა პატრონსა და საზოგადოსა მამასა" — ამ სალცარი სიტყვებით იგლოვა პატარა კახი ბრძენმა სოლომონ ლიონიძემ.

ქუთაისი. მწერალთა კავშირი.

ჩამოჰკრეს ზარებს და ქართული სულით, სიტყვით, ლოცვით დაიბადა ლიტერატურული თეატრი. პლატონ იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა".

საქართველოს უკანასკნელი მეფის ცხოვრება მისი ქვეყნის დიდებასთან ერთად დამთავრდა. აღსრულდა ხელმწიფე იმპერატორის ნება: მსოფლიო თეატრის სცენაზე კვლავ უძველესი ტრაგედია გათამაშდა. ტრაგედია კეთილისა და ბოროტის ბრძოლის, ადამიანთა შორის დარღვეული კავშირისა და დაკარგული ღირსების.

მეფე გიორგის ფთაში ხუთი პორტრეტი ეკიდა. პაპის — თეიმურაზ მეორის, მამის — ერეკლე მეორის და ტომით უცხო მეფეებისა — პეტრე პირველი, ეკატერინე მეორე, პავლე პირველი, რომელთა ნამდვილი სახე მაშინ გამოჩნდება, როცა გიორგის ტახტზე ველარასოდეს ავა ქართველი მეფე.

პირველი სპექტაკლი და ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე. არჩევანი შემთხვევითი არ არის. საქართველომ 1802 წლის 9 აპრილის შემდეგ კიდევ ერთი 9 აპრილი გაიარა, წრე შეიკრა. მიზეზები კი იქ უნდა ვეძებოთ, სადაც დროთა კავშირი დაირღვა. თეატრმა სიცოცხლე დაიწყო, რათა გვიამბოს ტკივილზე, სიხარულზე, ქართულ სულზე, ჩვენს წარსულსა და დღევანდელ დღეზე.

ნაწარმოების სცენურმა ვარიანტმა (ავტორი თენგიზ წოწონავა) მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. პლ. იოსელიანის ნაშრომიდან ამოღებული და სიუჟეტურად აკინძულია მხოლოდ ის ეპიზოდები, რომელთა საშუალებით წარმოჩნდა გიორგის, როგორც მეფისა და პოლიტიკოსის ცხოვრების რთული გზა. მოვლენათა ეტაპობრივი მონაცვლეობა ქმნის მოდელს, სადაც მათ შორის არსებული კავშირები წინაპირობაა სწორედ ამგვარი დასასრულისა.

სცენის ცენტრში ზარი ჰკიდია, რომლის ორხივე მხარეს მიმართული თოკები აღმოსავლურ კარავს მოგვაგონებს (მხატვარი ოთარ ქანდარია). ჯაჭვი და ჯვარი, მასთან ერთად, ის სამი სიმბოლოა, რომელთა შორის დავა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს ქართლის ტახტის მფლობელმა. შემოდიან გრძელ შავ-წითელ სამოსში გამოწყობილი მსახიობები ევა ხუტუნაშვილი, ერემო სვანაძე, გიზო კაკაურიძე, გიზო ლელეუა, ალეკო ტოროტაძე და იწყებენ თხრობას.

„სიმტკიცე სარწმუნოებისა სიმტკიცეა მეფობისა და ბედნიერება ერისა. ვსასოებდეთ და მივენდოთ ღმერთსა და იგი დაგვიცავს". არჩევანის წინაშე მდგარმა ქართლის მეფემ რჯულის ერთიანობის გამო რუსეთთან შეერთება ამჯობინა. ქრისტეს სახელით ცდილობდა მამულის შენარჩუნებას. გიორგის დედინაცვალი, დარეჯან დედოფალი გამოიტანს განაჩენს პატარა კახის მაგივრად. ქართველთ კი გადამწვარი თბილისი და დამარცხებულის სირცხვილი დარჩათ მხოლოდ.

პარალელიზმის მხატვრული პრინციპი სპექტაკლის „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა" აზრობრივი არსის გამომხატველია. ავტორები დღევანდელი პოზიციიდან ცდილობენ ამოიცნონ იმ მიზეზთა თანამიმდევრობა, რამაც უკვე მერამდენედ, კვლავ არჩევანის წინაშე დააყენა საქართველო. სცენაზე ერთმანეთს ებრძვის ქრისტიანული გულმოწყალება და ძმათა შორის შუღლი, სიბრძნე და გაუტანლობა, შენდობა და ღალატი, ისტორიულად ყოველივემ ლოგიკური დასასრულის სახე 1799 წელს მიიღო, მეფე გიორგიმ ხელი მოაწერა ტრაქტატს, რომლის ძალით რუსეთის იმპერატორი გახდა „მეფე საქართველოისა", ხოლო ძე მეფისა დავით „განმგე საქართველოისა". 1800 წელს „გარდაეცეს რუსეთსა მადნები საქართველოისა სამეფოისა". სიკვდილის წინ კი ბრძანა: „რუსთა ხელმწიფეს ვტოვებ პატრონად ქრისტიანობისა". სცენურ ვარიანტში ეს ხაზი ბოლომდე არ არის დამუშავებული. და რამდენიმე მინიშნება არ იძლევა საშუალებას მთლიანად შევიგრძნოთ საქართველოს უკანასკნელი მეფის ცხოვრების ტრაგიკულობა.

სპექტაკლის რეჟისორი მურმან ფურცხვანიძე და მსახიობები ე. ხუტუნაშვილი, ერ. სვანაძე, გ. კაკაურიძე, გ. ლელეუა, ალ. ტოროტაძე ზუსტად გრძნობენ მოვლენის არსს, ხასიათს, მათთვის სიტყვა მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემის საშუალება არ არის. ისინი დავობენ, კამათობენ...

მთელი სპექტაკლი თითქოს ერთი ადამიანის აღსარებაა — ყველა სახე დასრულებულია, ჩამოყალიბებული და სცენური ცხოვრების გარკვეულ მოდელში ერთიანდება. მსახიობები ჩვეულებრივ არ ელიან თავიანთ რიგს, რათა მოქმედებაში „ჩაერთონ". ისინი არც ერთ ეპიზოდში არ ეთიშებიან შინაგანი მოქმედების დრამატურგიას. მათი ჟესტი, ხმის ინტონაცია მოვლენის მხოლოდ ნათეული შეფასებაა.

თვისება, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია ლიტერატურული თეატრისათვის — პუბლიცისტური ჟღერადობა, მნიშვნელოვანი მომენტია ამ სპექტაკლშიც. სცენაზე წარმოთქმული ყოველი სიტყვა მოქალაქეობრივი მეობის გამოხატულებაა. მაგრამ იგი ქცეულა პათეტიკურ მოწოდებად, ერთადერთ თავსმოხვეულ ჭეშმარიტებად. ავტორები, მაყურებელთან ერთად ფიქრობენ და ეძებენ. ბოროტებას უყვარს პატიოსნების ნიღაბი. სინანულით ნათქვამი „ერთად რომ ვყოფილიყავით, ერთად ვერ გადავეყლაპეთ იქნებ" — დღეს უკვე გაფრთხილებად, თხოვნად, მოშავლის იმედად ელერს.

სპექტაკლში „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა" არის ერთი ეპიზოდი: მართლმადიდებელი იმპერატორის ჯარმა თბილისში შესვლისთანავე საქართველოს გონება — სოლომონ ლიონიძე და დავით რექტორი დილეგში ჩაჰყარა და „უცნაური პატივება აუტყდა ლინიის სარდალს". საონოებით შენიღბულმა ბოროტებამ ნიღაბი ჩამოიცილა: „ამაოება მეტყველია მეტყველთა შორის".

ლიტერატურულმა თეატრმა (სამხატვრო ხელმძღვანელი ერემო სვანაძე) ისტორიული სინამდვილის ღრმა გააზრებით მოქალაქეობრივი და ეროვნული პოზიციით, პირველივე სპექტაკლით განსაზღვრა საკუთარი არსებობის საზრისი და დანიშნულება.

**მადონა ხაზარაძე**





სურათებზე: სცენები სპექტაკლიდან.

ოთარ ბერეჟიკიძის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დავით კვიცარიძე

# ფიქრი დიდების მემორიალთან

მერაბ ბერძენიშვილს

გუგუნებს ზარი —
სიმართლე
(ვით ქნარი მკერდს
მიდებული),
ცრემლია დიდი სინათლე—
ჩანალველ-ჩამშვიდებული,
დადექ, დამუნჯდი, ინატრე,
რა ხმაა, რა დიდებული.

საით? საიდან მოისმის
ხმა ყიჟინის და ძახილის,
ხმა მეციხოვნის, მოისრის,
ხმა ხმლის, თოფის და
მახვილის.
აქ, საქართველოს დროშები,
რა თავმომწონედ
დახრილან.

ოდითგან ასე გვჩვევია,
ვძერწავთ სათქმელს თუ
სადარდოს.
მკერდს წყლულად რაც
დასჩენია,
გულში არ ვტოვებთ
არასდროს,

აქაა ჩვენი ტკივილი,
აქ მათი სული ნავარდობს..,

რა სიმაღლეა,
რა თალი!
ზარი რეკს, ზარი ხმიანებს,
ეს ზღვა ბობოქრობს
თუ ხალხის —
გულისცემაა მთლიანი.
რა შორს წასულა,
რა მაღლა —
გენია ადამიანის.

ვით დროშა წამით დახრილი,
ვით დარდი, ცეცხლი,
ხანძარი,
ვით სიტყვა — ხმალი —
მახვილი,
სულ გუგუნებდეს ხმა
ზარის,
იდგეს, ვით სულთა
ძახილი —
ფიქრის და ლოცვის
ტაძარი.



დიდების მემორიალი    თემურ ჯავახაძის ფოტო

## ზურაბ კუხიანიძე

# და იგი იყო ცისფერი ბავშვი

და მე ვიყავი ცისფერი ბავშვი,
ვისაც გაჩენა ქვეყნად აოცებს.
ხულხან აბდალაძე

1.

რიონის პირას,
ცხელ ქვიშაზე წაწოლილები,
ბალახმოდებულ გაღმა ნაპირს
ვუთვალთვალებდით,
სადაც ბოშათა მოჭიხვინე ცხენების ფაფარს
ქუთაისური ქარიშხალი თავისუფალი
ბედნიერ ქვეყნის დროშებივით აფრიალებდა.
მათ ქარისაგან დაფეთებულ წყლისფერ
კარვებში
ჩვენი სულები დაწრიალებდნენ...

გაღმა ნაპირი გვიხიდავდა ანდამატივით...
და გადავცურეთ...
იქაურობას
თვალი შევავლეთ ხვითოსავით გაჩალებული...
და მან პირველად იქ დაინახა
ქარის ლალ ფრთებზე დახატული
ცისარტყელები.

კალთებჩაზნექილ ბოშათ კარვებს
მივაყურადეთ...
და მან პირველად იქ გაიგონა
ბოშათა ბედზე აქვითინებულ
გულამომჯდარი გიტარის კვნესა...

მერმე ის კვნესა და ის ქვითინი,
საკუთარ დარდის ძაფზე ასხმული,
ლექსებს შეაბა კაკილასავით.

და იგი იყო ცისფერი ბავშვი,
რიონის პირას მხუბუქი ფრთებით,
რომ აიტაცა ქარმა და ციდან
გადმოახედა ამ ყრუ ქვეყანას.

ცა ქვეყნად ცისფერ ბავშვების ჩუმ და
ლურჯ ოცნებათა სამფლობელოა.

და იგი იყო ცისფერი ბავშვი.
. . . . . . . . . .
ჩვენ მაშინ მტკვარი — ცისფერი ბიჭის
მოუფერებლად ჩამხუტებელი,
ვიცოდით ტატოს ლექსის ბუტბუტით.

მაშინ რიონზე და მტკვარზე უფრო
ცა გვიზიდავდა...

ცა — პოეტების მესაიდუმლე.

2

ფაზის-მდინარეს, მარჯვენა მხრიდან,
მწვანე ქუჩასთან მაშინ არხი ჩაუდიოდა,
რომელიც რიონს ყაჩაღივით ხტაცებდა ძუძუს
და აქოჩრილი იმერეთის მწვანე სოფლების
სულმოსათქმელად ფრენით მიჰქონდა.
ძველ კურტანივით არხზე დადგმულ ქვის
სახლის ქვეშე
წყლით მგრგვინავ გვირაბს მივადგებოდით.
სეზამ, გაიღე! — შევძახებდით,—სეზამ, გაიღე!
ალიბაბადან ნასესხები უკვდავ სიტყვებით.
„გაიღებოდა“ და ჩავყვინთავდით
და ალალბედზე მოვუსვამდით წყლის ქვეშ
ბაყაყურს.
როდესაც გვირაბს გავცდებოდი სულშეგუბული,
წყლიდან ფრუტუნით თავს ამოვყოფდი —
ვხედავდი:
იგი მიცურავდა უკვე გულაღმა
და იცინოდა, იცინოდა ცისფერი ბავშვი
გამარჯვებული კაცის იერით:
„მოგასწარიო, —
ამოუყვინთვა მოგასწარიო!“

რიონის პირას ახლაც ფრიალებს,
დედის ნაწამებ წამწამებით ამოკემსილი,
დების ცრემლებით დანამული მისი პერანგი.

ტალღის ბალიშზე ნებივრად ედო
ცისფერ ფიქრებით აწეწილი ქოჩორა თავი

და წყალი იყო საამო და ალერსიანი,
ვით ღინჭილებით გაწყობილი თბილი აკვანი.

იწვა გულაღმა ტალღის მკლავებზე
და ცას ოცნებით შეჰყურებდა ცისფერი ბიჭი...
ცას შეჰყურებდა და საქართველოს
და საქართველოს ეძებდა ცაშიც.

ცა იყო ლურჯი და გამჭვირვალე
და უფალივით ყოვლისმხილველი...
ცა — ცისფერ ბავშვთა
ოცნებების ამყვავებელი.

3

მერე პირველი სტრიქონები, ვით საგანძური,
ჰო, თითქმის ერთად გავამზეურეთ.
ჩვენი ლექსებით მოწიკწიკე გაზეთი, ჰეი,
რიონის პირას ავაფრიალეთ.

რიონი ვთქვი და, ღმერთო, მიშველე,
ნეტავი მტკვარი რად მახსენდება.
. . . . . . . . .
პირველი წიგნის სიხარული მოვიდა, როგორც
აფოფინება სატრფოს ღიმილის.

რა კარგი იყო ის დღეები, ის ღამეები
რა ხიბლი ჰქონდა ჩვენს ქუთაისს, გეგუთს
და ბაგრატს,
სათაფლიას და ღვთისგან ნაფერებ
აალუჩებულ,
ატყემლებულ მწვანეყვავილას
და სტრიქონების გაწვდენამდე აგუმბათებულ
მოწამეთას და უფლის სახლივით
დიდი დავითის და თამარ მეფის
უკვდავ ფრესკებით განათებულ გელათის
კედლებს.
ამგვარ ხიბლს როცა ბავშვობაში შეიგრძნობს
კაცი —
ვეღარასოდეს ვერ დაივიწყებს.

და იგი იყო ცისფერი ბავშვი —
სათაფლიის და მწვანეყვავილის
მწარე ბლების და ია-იების
ტკივილითა და სიხარულით გაბრუებული.

და დაგვყურებდა ცა ქუთაისის,
ცა — პოეტების ბედის ვარსკვლავის
გამგებელი და მომფერებელი.

4.

ეშმას ჯადოთი ხელფეხშეკრული,
ხიდის მოაჯირს გადაევლო, ვით თიხის გუნდა,
ერთ დროს ამქვეყნად ცისფერი ბავშვი.

არც სინანულით შეყვირება და არც ძახილი:
„მოგასწარიო, ამოუყვინთვა მოგასწარიო!“
არც მე და არცა
ტკივილისადმი ყრუ ქვეყანას არ მისწვდომია..

და მღვრიე მტკვარში დაფრთხნენ თევზები,
შიშით მიაწყდნენ მდინარის ნაპირს...
ცისფერი ბავშვის მისაშველებლად
ნაპირს არავინ არ მისდგომია.

თმაგაწეწილი დაქროდა ქარი
და ფერფლს აყრიდა მტკვარს,
რიონივით
რომელიც ბიჭმა ვერ გადაცურა.

და იგი იყო ცისფერი ბავშვი
„ქარების ფერფლით“ შეშინებული.

მტკვარმა ჩაყლაპა რიონის პირას
გაზრდილი ბიჭის უსაშველოდ დამძიმებული
თიხის სხეული...
სული კი, მისი ცისფერი სული,
ქარმა წაიღო პეპელასავით
და საქართველოს ცას მიაბარა,
გაუმხელელი ტკივილების მოსაფერებლ

ბედნიერ სულებს ცა არ ლებულობს,
ცა —
უსახლკარო პოეტების თავშესაფარი.

იბეჭდება მცირე შემოკლებით.

## ნანა გასვიანი

# აღდგომის მოლოდინში

ზურაბ ჭავჭავაძის ხსოვნას

გალმაა თეთრი მოუსავლეთი,
სამოთხის მზით და მთვარის ნამგალით,
გამოღმა — წყევლა უთქვენობის და
აკივლებული ბაცი ცარგვალი.
რა რისხვად მოსკდა სიტყვა — „ცამეტი“,
გზაგასაყართან გველივით მიწვა,
უცებ გაქრა და გადაცისფერდა, გადაიკარგა
შორეთში მიწა...
შიშით ჩაიწვა ანთებული თქვენთვის სანთელი,
ვით ღვინობისთვე — ჩამოთოვლილ-ჩამონაწვიმი...
ეს მე ვარ, მუხლზე დაცემული ძველი წარმართი,
ღვთისმშობლის ხატთან ხელებაწვდილი.
უდაბნოებზე გაშლილ მირაჟებს
აკენკავს ქარი და გადაკარგავს.

ვოი, რა სიმწრით ანთია უნაზისფერ ცაზე ვარსკვლავი.
მე შენ მეზმანე: თოვლისფერი ჩოხა გეცვა,
მოაბიჯებდი მზეჭაბუკი საქართველოსი...
ვის შეეყარა გზაზე ყივჩაღი, გულღრძო და ჯერაც
დაულეწელი,
ვინ აეფარა ივერიის ნახანჯლარ ზეცას
მკერდით და შესვა სიმძიმილი ლურჯი ძეწნების.
გალმაა თეთრი მოუსავლეთი,
ფეერიული ლანდთა საუფლო,
ვიცი, აღდგომის მწველ მოლოდინში
შენი სული რომ ცასთან საუბრობს...
გალმაა თეთრი იდუმალება,
სამოთხის მზით და მთვარით ნათალი,
შენ დაბრუნდები უვნებელი ქართულ ზღაპრიდან,
ყველა ზღაპარზე უფრო მართალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლილი ნუცუბიძე

### მაინც მოვა გაზაფხული

მერაბ კოსტავას

ამნაირი რუსთაველი
ხომ გინდოდა გენახა!
ფეხზე დადგა საქართველო,
მეციხოვნე შენა ხარ.
ბორითს ქარი ამოვარდა,
მერე ფეხქვეშ გაგეგო,
მთაწმინდაზე გუგუნებდა
ლილეო და შავლეგო.
საქართველოს მომავალო,
საქართველოს წარსულო,
ეშმასაგან წამებულო,
ეშმასაგან ჯვარცმულო,
მაინც მოვა გაზაფხული,
შემოგვასევს მზეწვიებს
და საფლავში
ჩამოგძახებს —
რასაც თავი შესწირე.

### შენ ვინა ხარ ამისთანა?!

ცა და მიწა გაიყარა
მზე და მთვარე გაიყარა
დღე და ღამე გაიყარა
შენ ვერაფრით გაგეყარე
შენ ვინა ხარ ამისთანა?!

## ტარიელ ჩარქსელიანი

### მთაო, გული გამიხსენი

მთაო, მთაო,
თეთრო მთაო,
ცნატრობ, შენთან დამაძინა,
შენს უბეში მომცა ბინა
ბნელო ხევო,
ნისლიანო!

დალო, დალო,
ღმერთო-ქალო,
შენი ცრემლი დამადინა,
ან შენამდე მომაფრინა,
ორბო —
ნისკარტსისხლიანო.

ჰეი, მთაო,
თეთრო მთაო,
ვცადე, მაგრამ ვერ
დაგტოვე,
რადგან შენი ლურჯი ნისლი
ნაბადივით მხურებია,
ეს ქვეყანა მოვიარე
და ადგილი ვერ ვიპოვე,
შენთან ყოფნა
ასე ძლიერ,
არასოდეს მწყურებია.
გვედრებ, ნუღარ
მიმატოვებ,
ცივი შუბლი გამიხსენი,
ამ წყვარამში მარტო
ვებრძვი,
დუმილსა და აშარ ღამეს.
ამ ცხოვრების
საიდუმლო,
რადგან ველარ ამოვხსენი
მთაო, მკერდი გამიხსენი,
გულის წყლული დამიამე.

## ბელა უჩაძე

### ბედის მაკეტი ჭავის ნალექში

შენ გადაგედო სამემკვიდრო ყვითელი სნება, შენც ამშვიდებდი გაბრუებულ მზერის ნარჩენებს. წასვლა გსურს? არა! აღარ არის ეს შენი ნება. ახლა სახიერ ტანჯვას არჩევენ.

ყოფნა — მაყორით დაწერილი სიობლის თემა. ფონი — სილაში შეპარული სოსანის შიში. ღამით დასტოვა ნავსადგური ბავშვობის გემმა და სარკეებმა გადაფარა დამფრთხალი ჯიში. კიბეზე იჯდა მთვარესავით მწუხარე ქალი და დამტვრეული საქსაფონი ლანდებს კარგავდა, მაშინ იმედი დადიოდა დღეის და ხვალის, ღამეც ცარიელ თვალებს არ ჰგავდა.

ბულბულებს აბრაში რა უნდათ ნეტავი,
გძერწავენ მეასე მომღერალ სატევარს.
არესის კვარცხლბეკზე დაადე მზეს თავი
და ღამე გაჩუქებს საკუთარ ნახევარს.
იტირე ამ ერთხელ, რა მოხდა, ნამდვილად,
დაეხსენ გაბინდულ მზერათა ნარჩენებს,
ისურვებ ღიმილს და იჩუქებ ადვილად.
აქ მხოლოდ ორ ფერს და ორ ბგერას არჩევენ.

### იავნანა საკუთარ თავს

იწყება მთვარის ავსების ჟამი და მხრებზე ღამე უმიზნოდ გათოვს, ხო, დაიძინე, ვერას გააწყობ, ლიუციფერი სულს აღარ მოგთხოვს. ახლა ქარი თუ შეგიხსნის სარკმელს, თმებზე ქარი თუ მოგეფერება, მშვიდად იფიქრე ბროლის დილაზე, სიშლეგე აღარ შეგეფერება.

დაიძინე, თეთრი ღამე წამწამებზე გეკიდება ნატვრად.
დაიძინე, შე სულელო ბავშვო, დაივიწყე ასფალტებზე
ხატვა.
მერე რა, რომ იგვიანებს იგი. მერე რა, რომ სიმაღლეებს
შერცხვათ,
დაიძინე, აწი არ ღირს დავა. აღარაფრის შეიძლება
შეცვლა.

დაიძინე, ღამეების მუქი გროვა
აწი უფრო დაგილეწავს ჩარჩოებს,
გიორგობა ერთ წელიწადს აღარ მოვა,
ქარი ხვეტავს მუქი სიზმრის ნარჩენებს.
დაიძინე, ყველა ღამე გათენდება,
ყველა მთვარე დაილევა ოდესმე.
დაიძინე, სიმშვიდე თუ დაფეთდება,
იქნებ შიში ჰოტის მღერად მოგესმეს.

## ცირა შალაშვილი

●
ნეტავი წარსულს,
მომავლის რომ
ჰქონდა იმედი.

**ხეები**

როგორ მოვრბივარ
გამუდმებით
მიწიდან ცისკენ
და როგორ ვრჩები
გზაში მუდამ
ტოტებაწვდილი.

●
ილაპარაკე, რამდენიც
გინდა,
ყეფს ძაღლი —
სოფელს ედება ბინდი —
ზის მექარავნე
პირველ აქლემზე
და ქარავანიც
თავის გზით მიდის.

●
სულ ველარ ვუსმენ
ჩემს თავს —
ველარ, —
ისე ხმაურობს
ეს უცხო ხალხი...

**დავბერებულვარ?..**

ჩემთვის
მე თვითონ
ვყიდულობ ყვავილს —
დავბერებულვარ?..



ბაქრის სამრეკლო          ოთარ ბერეჩიკიძის ფოტო

## ახალი თარგმანები

### ალექსანდრ ბლოკი

●
ნუ დამიძახებ, მე ისეც მოვალ
ტაძარში, რადგან ვფიქრობ ამაზე;
და თავს დავუხრი დუმილით მხოლოდ
შენს სილამაზეს.

დაველოდები წყვდიადში, თუკი,
შენს ყოველ სიტყვას, როგორც სინათლეს
განმეფინება შეხვედრის შუქი
და კვლავ ვინატრებ.

ჩემი სისუსტე მაქვს შენახული,
შენთა ვნებათა ქარიშხლის ტოლად.
მე — საყვარელი, ხანაც მსახური,
და მარად — მონა.

### სერგეი ესენინი

●
მე სევდა მავსებს როცა გიცქერი,
რა ტკივილია და სიბრალული.
გახსოვდეს ჩვენთვის ტირიფის ცრემლი
სექტემბრის ფერში გადამალული.

მავანთა ბაგემ წარგტაცა წინათ,
სხეულის თრთოლვა და სიმხურვალე,
თითქოსდა სულში ცრის ნელი წვიმა,
სადაც სიკვდილი მოვა სულ მალე.

არ მეშინია, რა მოხდა მერე,
თვალწინ გამეხსნა სხვა საოცრება.
რა გამოვსტაცე მინავლულ დღეებს,
გარდა ხავსის და ჩამქრალ ოცნების...

ვერ შევუნახე ჩემი იერი
მშვიდ ცხოვრებას და მლიმარ ფერიას,
ო, რა მცირეა, რაც გავიარე,
ხოლო შეცდომა, ო, რამდენია!

რაც იყო, მასზე კამათიც არ ღირს,
მე და წარსული კვლავ ვრჩებით ძმებად.
ვით სასაფლაო, სავსეა ბაღი
არყის ხეების შიშველი ძვლებით.

გავიყვავილებთ, ჩვენც წავალთ მერე,
ვით ფოთოლცვენა ბაღებში დადის,
რადგან თოვლში არ ყვავილობს ველი,
ამიტომ მასზე არა ღირს დარდიც!

თარგმნა ომარ ბვეტაძემ

# ჩვენი შეგნება და ზნეობა ჩამორჩება ჩვენს მიზანს

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა და რამდენიმე კითხვით მიმართა გამოჩენილ ქართველ მწერალს, ჟურნალ „განთიადის" მთავარ რედაქტორს **რეზო შეიშვილს.**

გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

●

**კორესპონდენტი:** ბატონო რეზო, როგორც მოგეხსენებათ, „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია ამ დღეებში ქუთაისს ეწვევა. მას შეხვედრები ექნება ამ ქალაქში მცხოვრებ მწერლებთან, მკითხველ საზოგადოებრიობასთან, ცალკეულ დაწესებულებათა თანამშრომლებთან. ჩვენ გვინდა, რომ ეს შეხვედრები გულთბილი, გულწრფელი და ამასთანავე კრიტიკული და მწვავე იყოს...

თქვენ, პირადად, თანამედროვე „ქართლის ცხოვრების" რა ისეთ პრობლემებს გამოყოფდით, რომელთა გარშემოც შეიძლება სასარგებლო და საინტერესო იყოს საუბარი. რაკი „ქართლის ცხოვრება" ვახსენეთ, ცხადია, აქ მხოლოდ ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების პრობლემები არ გვაინტერესებს... ჩვენი სამშობლო დღეს ხვალინდელი დღის მძაფრი განცდებით ცხოვრობს. თქვენ როგორ გესახებათ ეს ხვალინდელი დღე, როგორ უკავშირდება ერთმანეთს დღევანდელი ქართველის ცნობიერებაში ოცნება და სინამდვილე?

**რეზო შეიშვილი: კრიტიკისა და მწვავის, რა მოგახსენოთ, ამგვარი შეხვედრები, მე მგონი, ამას არც ითვალისწინებს, გულთბილი და გულწრფელი შეხვედრები ნამდვილად იქნება.**

**ხვალინდელი დღე საქართველოს დამოუკიდებლობასთან, თავისუფლებასთანაა გაიგივებული. ოცნება და სინამდვილე კი ასე ახლოს ერთმანეთთან იშვიათად მდგარან ჩვენი ერის ისტორიაში.**

**კორ:** — თქვენ, თანამედროვე საქართველოს მოქალაქეს, მწერალს, ერთ-ერთი პოპულარული ლიტერატურული ჟურნალის მთავარ რედაქტორს, როგორ გესახებათ საერთოდ თანამედროვე საქართველოს მოქალაქის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის კონკრეტული როლი, ვთქვათ პირდაპირ, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს დიდი ბრძოლა ხომ მთელ კომპლექსს შეიცავს ყოველივე იმისაგან გასათავისუფლებლად, რაც ორასწლოვანმა ეროვნულმა მონობამ, იმპერიულმა დაუნდობლობამ, გარუსების „ინტერნაციონალურმა" პოლიტიკამ, ქრისტიანული ზნეობის რღვევამ დააგროვა...

**რ. შ. — ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს თავისუფლებისათვის ბრძოლაშიც. „თავისი საქმე" კი საერთო სახალხო მოძრაობას უნდა დაუქვემდებარდეს.**

**ზნეობრივად ძალიან გვიჭირს.**

**ჩვენი შეგნება, ჩვენი ზნეობა, ჩამორჩება ჩვენს მიზანს. ეს ორასწლოვანი კი არა, მრავალსაუკუნოვანი მონობის პირდაპირი შედეგია და მხოლოდ „გარუსების" და ქრისტიანული რწმენის რღვევის ჭამი არაა. ძალიან გვიჭირს ხოლმე ჩვენს ნაკლზე ლაპარაკი... არადა, ეს აუცილებელია. ილიას მკვლელობის ერთი მიზეზი ჩვენი სიგლახის, ზნედაცემულობის არდაფარვაც იყო, მისი პირდაპირობა და პირშიმთქმელობაც იყო... ეს ყოველთვის გვავიწყდება ხოლმე... „ჩვენს ცუდს არ ფარავს, ეს ხომ ნაღდი სიძულვილია" და სხვა.**

**კორ:** — ქუთაისი, მარტო ჩვენი საყვარელი ქალაქი, თავისებური კოლორიტისა და სახის ქალაქი, თუნდაც „რესპუბლიკის მეორე კულტურული და ინდუსტრიული ცენტრი" და ა. შ. არ არის. ქუთაისი, მე, მთელი დასავლეთ საქართველოს, მთელი რეგიონის კულტურულ „დედაქალაქად" მესახება.

რას იტყოდით დღევანდელი ქუთაისის ამ მისიაზე და როგორ წარმოგიდგენიათ უკეთესი მდგომარეობა?

**რ. შ. — იყო ერთ დროს მართლაც ქუთაისი, მეორე და, შეიძლება, რაღაც მომენტში, პირველი კულტურული ცენტრი. ახლა ეგრე აღარაა. პირველი კულტურული ცენტრი თბილისია, მეორეც ისაა, მესამეც და, სამწუხაროდ, მეათეც.**

**ბაგრატ III, ეგრე ვვარაუდობთ, ბაგრატის ტაძარი საქართველოს ერთიანობისა და სიძლიერის ნიშანსვეტად ააგო და სწორედ ამ ნიშნით მესახება ქუთაისი ამ რთულ ვითარებაში, ეთნოკრიზისების დროში. ბაგრატ III ტაოში მიიცვალა, დაიმარხა ბედიაში, აფხაზეთში, დატოვა დიდი ქვეყანა ორზღვაშუა და დიდებული ტაძარი ქუთაისში; საქართველოს სიდიადე ახევე ვრცლად მესახება. ამიტომ, უნდა აღდგეს ბაგრატის ტაძარი, მისი აგების 1000 წლისთავზე, და ეს მომავალ ათ წელიწადში უნდა გაკეთდეს. ამ საკითხზე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება თქვენი გაზეთის საშუალებით. არაბალია, ძველია ეს იდეა და მას ბევრი კატეგორიული მოწინააღმდეგე ჰყავს. ბაგრატის ტაძარი კი მარტო ისტორიულ-არქიტექტურული ანსამბლი არ არის. იგი, ვიმეორებ, საქართველოს ერთიანობის სიძლიერის სიმბოლოდ არის აგებული და იგი უნდა აღსდგეს ამავე ნიშნის მიხედვით... თუნდაც იმიტომ, რომ იგი უკვე, ეს ჩემი აზრია, ახლა აღარც ტაძარია, აღარც ნანგრევი. ქუთაისი 1995 წელს ერთიანი საქართველოს სატახტო ქალაქად გახდომის 1000 წლისთავს იზეიმებს და არა ქალაქის დაარსების 2500 მითიურ თარიღს, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. სატახტო ქალაქად გამოცხადების 1000 წლისთავისათვის წინასწარი, საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე გახლავართ. ეს კომისია მალე შეუდგება მუშაობას, მრავალ ქმედით ღონისძიებას დასახავს. ამაზე აქ ლაპარაკი აღარ გვექნება.**

**კორ:** — ალბათ, დამეთანხმებით, — არსებობენ პერიფერიაში მცხოვრები მწერლები, მაგრამ არ არსებობს პერიფერიული ლიტერატურა. ლიტერატურას სხვა კრიტერიუმები აქვს: დიდი ლიტერატურა, პროვინციული ლიტერატურა, საშუალო ლიტერატურა და ა. შ. მიუხედავად ამ ელემენტარული ჭეშმარიტებისა, ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში მაინც მყარად ჩამოყალიბდა „დედაქალაქისა" და „პერიფერიების" ლიტერატურის აღმნიშვნელი ცნებები და ამ მდგომარეობას ერთი მცდარი და სამწუხარო ქვეტექსტი აქვს — ნამდვილი ლიტერატურა მხოლოდ დედაქალაქშია — თითქოს მხოლოდ დედაქალაქში მცხოვრები მწერლებისთვის არსებობდეს ყოველწლიური პრემიები, ისინი წარმართავენ ქართული მწერლობის პოლიტიკას, ისინი „ხმაურობენ"...

ორი ერთნაირი ნიჭის მწერლიდან ერთი — დედაქალაქში მცხოვრები, ყოველთვის „მომგებიან" გარეგნულ მდგომარეობაშია... შედეგიც არ აყოვნებს, ორი-სამი ნიჭიერი ლექსის შემქმნელი ახალგაზრდა უკვე თბილისისკენ იყურება, რომ პერიფერიაში არ „ჩაკვდეს".

არ მინდა დაბეჯითებით ვთქვა. მაგრამ, თითქოს აქაც იმპერიული მექანიზმის გადმონერგვა მოხდა. თქვენი ჟურნალი „განთიადი" წარმატებით ებრძვის ამ სტერეოტიპს. კიდევ რა უნდა გაკეთდეს?

**რ. შ. — ეგ წარმოდგენები რეალური და ფსიქოლოგიური. ჩემი ღრმა რწმენით, მალე გაიფანტება. ძირფესვიანად შეიცვალა და იცვლება ყველაფერი. იმსხვრევა კერპები, წარმოდგენები, სტერეოტიპები; ისპობა ცენზურა, პარტიული ზედამხედველობა და თუ ეს პროცესი ასე გაგრძელდა (ღმერთმა არ ქნას სხვანაირად), პერიფერიების კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრებაც გამოცოცხლდება... დაარსდება ახალი პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალები, ჭეშმარიტი ნიჭი და უნარიც გამჟღავნდება დედაქალაქგარეთაც. პირველი ნაბიჯები გადადგმულია. ქუთაისს შეემატა ორი გაზეთი „უქიმერიონი" და „მოწამეთა"; ჟურნალი „განთიადი" (უკვე ჟურნალი), როგორც თქვენ ბრძანეთ, ამის წინამორბედია... ამისათვის მადლობას მოგახსენებთ... აქვე მინდა განვაცხადო: ზოგჯერ, განსაკუთრებით რაიონებში, ხელს უშლიან ხელისმოწერას. საამისო სიგნალები ტელეფონით, პირადი საუბრებით, წერილებით პერიოდულად მოგვდის. მინდა, მკითხველს ვაუწყო: „განთიადზე" ხელისმოწერა ჯერჯერობით შეუზღუდავია და სოიუზპეჩატის ყველა განყოფილება ვალდებულია ამა წლის მეორე ნახევრისა და მომავალი წლის ჟურნალი „განთიადი" შეუფერხებლად გამოგიწეროთ.**

**კორ:** — ამასწინათ, ერთმა ძველმა მეგობარმა შემომჩივლა, — ოთარაანთ ქვრივი მოკვდა ჩვენს ყოფაშიო. საერთო ძალები დავრაზმეთ და არნახული სისასტიკით მოვკალით მართლის მთქმელიო. თქვენს „განთიადში" რამდენჯერმე გაიელვა ოთარაანთ ქვრივის ალმასივით მჭრელმა და მართალმა სიტყვამ. ხომ არ აპირებთ სერიოზულად შეებრძოლოთ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ავისმომასწავებლად შემოჭრილ უზნეობას, შემოქმედებითი პრინციპების ელვისებურ ცვლილებებს, სიტყვა „მწერლის" საერთო, ტოტალურ გაუფასურებას?

**რ. შ. — ოთარაანთ ქვრივი მაინც ლიტერატურული პერსონაჟია...**

**სიმართლის თქმა ზოგჯერ, რაც და დავმალო, ახლა უფრო ჭირს, ვიდრე ადრე. ადრე ვამბობდით (ამას არავინ გვიკრძალავდა), ვერ ვაცხადებდით და ვერ ვბეჭდავდით მხოლოდ. ახლა კი პირიქითაა: ვბეჭდავთ, ვაცხადებთ, ვაგინებთ მთავრობას, პარტიას და შინაგან ტკივილებს ვერ ვამხელთ; მწერალზე, მოაზროვნეზე ერთგვაროვანი მასა მოქმედებს ხშირად, მეამბოხენი ჰარბობენ ხალად მოაზროვნეებს და ესეც ბუნებრივია ამ ეტაპზე.**

**ყველა გზა გამარჯვებისაკენ მიდის. ბევრი წინ უსწრებს პროცესს, მეწინავეობას ჩემულობს, ბევრი შედეგს ელოდება. ზოგიერთები მიყვებიან მოვლენებს, კორექტირებას უკეთებენ მსვლელობას უჩინრად. ამას ვერავინ ხედავს.**



ახლა 70 წლის შესრულდებოდა... მივულოცავდით, მოვეფერებოდით, მის შემოქმედებაზე ვილაპარაკებდით... მაგრამ არ დასცალდა.

მკითხველთან პოეტის საიუბილეო შეხვედრა კი მაინც შედგა — ახლახან გამომცემლობა „საქართველოს" ქუთაისის ფილიალმა გამოსცა დომენტი აზობაძის წიგნი „უკანასკნელი ბარათი". კრებულში პოეტის რჩეული ლექსები და პოემები იბეჭდება.

წიგნის წინასიტყვაობა ლადო სულაბერიძეს ეკუთვნის, იგი წერს — „პატიოსნება მისი სარწმუნოება იყო". მისი სული, მისი სულიერი ცხოვრება ქრისტიანულ სიკეთესა და პატიოსნებას ემყარებოდა. ამ სულიერ წიაღში იქმნებოდა ეს ახლადგამოსული წიგნიც და იგი დარჩა, როგორც ავტორის სიცოცხლის გაგრძელება, როგორც მისი მაჯისცემა.

სასიამოვნოა, რომ წიგნი პოეტის ვაჟს, ვახტანგ აზობაძეს შეუდგენია. კარგია, როცა გარდაცვლილი მწერლის ხელნაწერებს პირდაპირი მემკვიდრე პატრონობს.

მკითხველს ვთავაზობთ ორ ლექსს დომენტი აზობაძის კრებულიდან.

## დომენტი აზობაძე

### წუთისოფელი

ამ წუთისოფლის უკუღმართობა
დასაბამიდან არის ცნობილი:
ცრემლი, ღალატი, სევდა,
გართობა —
ერთმანეთზეა გადაჭდობილი.

წუთია — გულზე ვარდებს მოგაშლის,
წუთია — ფეხქვეშ გინგრევს
ნიადაგს.
მზეს შემოგახლის, უცებ, თოვაში,
აბრიალებულ ატამს მიაგავს.

წუთია — ტრფობის ბადეს მოგახვევს
და სიყვარულით აგაყვავილებს.
წუთია — მკერდზე ხალათს მოგახევს,
წუთია — ბალად გიქცევს ყამირებს.

წუთია — ისე მოგეფერება,
დადნები, როგორც ალზე სანთელი,
და შეიკვრები უტკბეს ბგერებად,
ბედნიერებას დაენათლები.

ვერ გამოტყუებ რამეს მუდარით,
ვერას გახდები მასთან ცრემლებით!
ვერ შეაშინებ თუნდაც მუქარით,
აცახცახებულ შიშველ ხელებით.

ჯობს სიკეთისთვის უთხრა მადლობა,
ავს ელოდე და ნუ ატირდები!
ველად ზამთარი რომ დანავარდობს,
განა არ თვლემენ რტოზე კვირტები?!

●

რამდენი ხანია, მთვრალს არ გამივლია,
ჩემო ქალაქო, მე შენს ქუჩებში.
მტკიოდა, მტკიოდა, მტკიოდა
ძალიან,
ტკივილმა ხელები შემახო უხეში...
რამდენი ხანია, მთვრალს
არ გამივლია,
ჩემო ქალაქო, მე შენს ქუჩებში!



აჭარელი და ქუთაისელი მწერლების ერთი ჯგუფი ქუთაისში.

ოთარ ბერეჩიკიძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაგრატის ტაძარი უნდა აღდგეს

„ლიტერატურულ საქართველოში" (23. III. 1990 წ.) დაბეჭდილი რ. ჭეიშვილის წერილი „უნდა გადაწყდეს", შეეხება საკითხს, რომელიც დიდი ხანია დგას არა მარტო ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით, არამედ, სხვა ძეგლებთანაც. კერძოდ, საქმე ეხება ტაძრის დანგრეული გუმბათის აღდგენას.

ამ საკითხის გართულების ძირითად მიზეზად, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ითვლება ის, რომ არ არის შემორჩენილი გუმბათის ნაწილები. ჩვენი აზრით, საკითხის ასე დაყენება არ არის მთლად გამართლებული. საქმე ისაა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, შემორჩენილი რომ იყოს-რაიმე ნაწილები, ისინი მაინც ვერ მოგვცემენ გუმბათის იმ ძირითად დახასიათებას — სიმაღლის და დიამეტრის თანაზომიერებას, რაც უნდა გახდეს ამოსავალი მისი აღდგენისას. ამის ნათელი მაგალითია წრომის ტაძრის გუმბათის რეკონსტრუქცია. როგორც ცნობილია, ამ ძეგლზე შემორჩენილია გუმბათის ყელის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი აღდგენის პირველ ვარიანტში, უხეში შეცდომები იყო დაშვებული. (სიტყვამ მოიტანა და, არ ვარ დარწმუნებული, რომ მეორე ვარიანტიც სწორადაა გადაწყვეტილი).

როგორც ვხედავთ, ცალკეული ნაწილების არსებობა ჯერ კიდევ არ წყვეტს საქმეს. აქ მთავარია, ვიცოდეთ ქართველ ხუროთმოძღვართა ის შემოქმედებითი მეთოდები და კანონზომიერებანი, რაც საუკუნეების მანძილზე გადაეცემოდა თაობიდან თაობას და მათზე დაყრდნობით, იქმნებოდა ერთიანი შემოქმედებითი მიმართულების ქართული არქიტექტურა.

ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია ის, რომ ძველად, ტაძრის დანგრეულ ნაწილებს, მათ შორის, გუმბათს, მრავალი წლების შემდეგაც კი, თამამად აღადგენდნენ თავისი დროის თანაზომიერებებში. ეს იმიტომ, რომ იცოდნენ ქართულ ხუროთმოძღვრებაში მოქმედი კომპოზიციის აგების წესები და კანონზომიერებანი. ასე იყო აღდგენილი თავისი გუმბათებით სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავისი და სხვ.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ძეგლის და, განსაკუთრებით, მისი გუმბათის აღდგენისას მთავარი ის კი არ არის, შემოგვრჩა თუ არა მისი ნაწილები (თუმცა ესეც მნიშვნელოვანია), არამედ ის, შემოგვრჩა თუ არა ქართველ ხუროთმოძღვართა შემოქმედებითი აზროვნების გზები და მიმართულებები, თავის ახახვას რომ პოულობდნენ პროფესიულ მეთოდებსა და წესებში.

როგორც მრავალი გამოკვლევა გვიჩვენებს, (ვიტრუვიუსი, შუაზი და სხვ.), ასეთი წესები და კანონზომიერებანი, დაფუძნებული თავის ეროვნულ ტრადიციებზე, ახასიათებდა მრავალ ხალხს და, მათ შორის, ქართველ ხუროთმოძღვრებსაც. ამაზე მიუთითებდნენ ჯერ კიდევ ი. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი და სხვ.

ბოლო დროის გამოკვლევებმა, ვფიქრობთ, დაადასტურეს ეს მოსაზრება. გამოვლინდა, რომ შუასაუკუნეების ქართველ ხუროთმოძღვართა შემოქმედებით მეთოდებში ყოველთვის არსებობდა ძეგლის კომპოზიციური სტრუქტურის აგების გარკვეული მეთოდები და კანონზომიერებანი, რომლებიც ვითარდებოდა ისტორიულ ეპოქათა განვითარებასთან ერთად.

ქრისტიანული არქიტექტურის ჩასახვასთან ერთად ჩაისახა, აგრეთვე, ქრისტიანული ეკლესიის ფორმათა წყობის წესები და კანონზომიერებანი. ისინი ვითარდებოდნენ და იხვეწებოდნენ ხუროთმოძღვრების განვითარებასთან ერთად, მათი თაობიდან თაობაში გადაცემის გზით. ასე ჩამოყალიბდა ერთიანი შემოქმედებითი მიმართულება ქართული ხუროთმოძღვრებისა, რისგანაც ხუროთმოძღვრებს თითქმის თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში არ გადაუხვევიათ.

ბაგრატის ტაძრის შესწავლამ („ძეგლის მეგობარი", № 52, 1979 წ.), გამოავლინა, რომ ხუროთმოძღვარი მისი კომპოზიციური სტრუქტურის ფორმირებისას, ეყრდნობოდა ძირითადად გუმბათური ხუროთმოძღვრების ფორმათა წყობის საერთო კანონზომიერებებს; ამავე დროს, მან მაღალოსტატურად გააგრძელა გენეტიკურად და ევოლუციურად მონათესავე და წინამორბედ ოშკში დასახული ახალი ტენდენციები. ამასთან, ყოველივე ეს გაატარა მის წინ მდგარი კონკრეტული ამოცანის პრიზმაში, რომელიც გულისხმობდა ერთიანი საქართველოს ღირსეული საკათედრალო ტაძრის შექმნას.

ამ კონცეფციების გათვალისწინებით, და ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების კომპოზიციური სტრუქტურის ფორმირების საერთო კანონზომიერებებზე დაყრდნობით, გაკეთდა ბაგრატის ტაძრის ღრმა ანალიზი და მის საფუძველზე, გუმბათის რეკონსტრუქცია. ანალიზისა და რეკონსტრუქციის სისწორეზე უნდა მიუთითებდეს მთლიანი კომპოზიციის ორგანული ჩაწერა საერთო კანონზომიერებაში და მისი მრავალმხრივი ჯვარედინი შემოწმება.

ამრიგად, დღეს, როდესაც უკვე არსებობს რამდენადმე გარკვეული თეორიული საფუძვლები, ჩვენი აზრით, დიდ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ძეგლთა, როგორც საერთო, ასევე, მათი გუმბათების აღდგენა. ამისათვის, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა ყოველი სარესტავრაციო ძეგლისათვის, პირველყოვლისა, მოიძებნოს მისი შესაბამისი ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების კანონზომიერებათა საერთო ჯაჭვში, შემდეგ კი ამ საფუძველზე გამოვლინდეს მისი ფორმათა წყობის კონკრეტული თანაზომიერებანი, რაც იქნება ობიექტური საფუძველი მისი რესტავრაციისა. ამ გზით ჩვენს მიერ რეკონსტრუირებული იქნა, თეორიულ დონეზე (მთლიანად ან გუმბათის ნაწილში) ნინოწმინდა, წრომი, ბაგრატის ტაძარი, კუმურდო და სხვა.

ბაგრატის ტაძრის გუმბათის აღდგენა, ასეთ თეორიულ კვლევებზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით, სრულიად შესაძლებელია. ვეთანხმები ბატონ რეზო ჭეიშვილის აზრს, რომ ეს უნდა გადაწყდეს დღესვე და მალე აღსრულდეს. ამ ტაძრის დიდებული სახე გვირგვინივით დაადგება საქართველოს საამაყო ქალაქ ქუთაისს.

**ჰამლეტ მოსულიშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის დოცენტი.

## ჩვენი მილოცვა

# ზაალ ებანოიძე — 50



დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ პოეტს ზაალ ებანოიძეს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ზაალ!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან და გილოცავენ დაბადების 50 წლისთავს.

1962 წელს შედგა თქვენი პოეტური დებიუტი, როდესაც გაზეთ „კომუნისტში" პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ ნაყოფიერად მოღვაწეობთ სამწერლო სარბიელზე. თქვენი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება სალიტერატურო პერიოდიკაში. გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენს პოეტურ კრებულებს, ისეთებს, როგორიცაა „ლექსები", „მთვარის კელაპტარი", „წვიმის შვილი", „იწყება აღმართი", „ვის გამოიხმობ სიზმრის სახლიდან", „ხატი მამული", „ციდან დასარეკი ზარები" და სხვა, სადაც დახვეწილი პოეტური ფორმებითაა გაცხადებული თანამედროვე ადამიანის სულიერი მოძრაობა, მისი ცნობიერი თუ ქვეცნობიერი დამოკიდებულება სამყაროსთან, ინტერესით შეხვდა ქართველი მკითხველი. თქვენს საუკეთესო ლექსებში ჩანაფიქრისა და მისი გამოხატვის ხერხების ბუნებრივი თანხვდენა ლექსის შინაარსისა და ფორმის სტრუქტურულ ერთიანობას იძლევა და ესეც აძლიერებს თქვენი პოეზიის მომხიბვლელობას.

თქვენს ლექსებზე არაერთი სიმღერაა შექმნილი. ეწევით მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. შექმნილი გაქვთ საყმაწვილო ნაწარმოებებიც.

წლების მანძილზე მუშაობდით ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის მეცნიერ-მუშაკად, ხოლო ალმანახ „განთიადის" დაარსების დღიდან მისი პოეზიის განყოფილებას განაგებთ. არჩეული ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პოეზიის სექციის ხელმძღვანელად.

სულითა და გულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

— საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

# ზაალ ებანოიძე

### ლელთ ღუნიას ნასოფლარი

თერგს გაღმა გაიბოტენია.
ბიჭები ნახირს მოდენიან

ფუტკრის ფიჭასავით სახლებია.
რომ ყეფენ, მეცხვარის ძაღლებია.

სოფელი გაუქმებულია
დუმილის უღელში შებმულია.

მოხევის საუბარი გენატრება.
დღემდე რომ გვინათებს
კელაპტრებად.

და გჯერა, დღევანდელი ლელთ
ღუნიაც.
იმავე საფიქრალის ერთგულია.

### ლაშურა

არც მტრობაა და არც შური.
ხალისია და ხარება,
ამ პაწაწინა ლაშურას
მუხლებზე მოხვარხვარება.

მესურვილება აყვანა
ხელში და ისე ფერება;
ო, ჩემი თაყვან-თაყვანა
და ცოტა ბედნიერება.

●

ჰიამარია ჭრელი,
მიმგვანებული აპრილთან,
დიდხანს ატარე ხელით
და როგორც იქნა, აფრინდა.

პეპელა ფრთახატულა —
მშვენიერების განცდა,
ჰაერის ნაკადულმა —
ნიავმა გაიტაცა.

ჭრიჭინობელის ჭრიალს —
შემონათებულს გულზე —
მკათათვის ჰანგი ჰქვია
და განაბული უსმენ.

ლურჯი კალია კერავს
მინდორს უხილავ ძაფით.
ნახტომი — ცისარტყელა
თუ აზიდული წარბი.

ჰიამარია, პეპელა,
ჭრიჭინა, ლურჯი კალია, —
ოცნების დამბადებელად
გაჩენილები არიან.

### მესაზანდრე უსრულებს დაკვეთას

ზარნაშოთა ხმა-მტირალი ღამეს
გადაჭკვეთავს და სხვათაგან გაირჩევა,
ვიდრე გული ყელში ბურთად
გაიჩრება.
დაამღერე საზანდარზე რამე!

მომავალი — ბედქარი.
ბევრს არაფერს მპირდება,
რა ფოლადის ბექთარი —
სიყვარული მჭირდება.

რა ფოლადის ბექთარი —
სიყვარული მჭირდება...

მარებელი გოდებით,
ბნელს დავარქმევ სინათლეს
თუ შენც მოგაგონდები
და ერთხელ მომინატრებ.

თუ შენც მოგაგონდები
და ერთხელ მომინატრებ...

ზარნაშოთა ხმა-მტირალი ღამეს
გადაჭკვეთავს და სხვათაგან გაირჩევა,
ვიდრე გული ყელში ბურთად
გაიჩრება,
დაამღერე საზანდარზე რამე!

●

შეღამება — მყუდრო, მყუდრო.
გათენება — ასევე,
დღეს რომ ყური უნდა უგდო.
ხვალ-ზეგ რას გაგახსენებს?!

ხვალ, ზეგ რა ცრემლს შეატბორებს,
ან რა ტკივილს მოიტანს?
რომელ ფოთოლს შეათრთოლებს,
შინდის რომელ ტოტიდან?

რომელ სხივზე ამოიყვანს
ბალახს — ცვარით გაბანილს?
რომელ ხეზე გამოისხამს
ნაყოფს ყრმობის ზღაპარი?

რომელ? ...რომელ გზას გაჩვენებს —
სინათლის თუ წყვდიადის? —
კითხვა კითხვას დააშენე
და ცას კიბედ მიადგი.

უფლის ნებით გაიცემა,
ალბათ, როსმე პასუხი,
გრძნობ სამყაროს მაჯისცემას
და მორჩილად თავს უხრი.

# ღია წერილი პროფესორ ნიკო ქორთუას

ბატონო ნიკო!

ვინც თქვენს სამეცნიერო მოღვაწეობას თვალს ადევნებს, კარგად მოეხსენება, რომ ძირითადად იკვლევთ XVIII–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხებს, განსაკუთრებით კი ჩვენი სამშობლოს როლსა და მნიშვნელობას რუსეთის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში, მის მიერ მაჰმადიანურ სამყაროსთან წარმოებულ ომებში.

არა, თქვენი მეცნიერული დამსახურების ჩამოთვლას როდი ვაპირებ. ამჯერად სხვა რამ მაქვს მიზნად.

თქვენი მონოგრაფიების გაცნობისას არასოდეს მომსვლია აზრად, რომ ნ. ქორთუა ის ისტორიკოსია, ვინც ჭარბად უხდის ხარკს კონიუნქტურას. ამას იმიტომ როდი ვწერ, თითქოს თქვენი წიგნები ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა. ცხადია, არც მათშია სანთლით საძებარი რუტინული ისტორიოგრაფიის დროინდელი „მარგალიტები", მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, ამ თვალსაზრისით სხვაზე უარესად სულაც არ გამოიყურებოდით.

ძველ შეცდომებზე როცა უთითებენ, დღეს ბევრს აქვს მომარჯვებული თავის გასამართლებლად უნივერსალური მიზეზი — „დრო იყო ასეთი!"...

ის დრო უკვე წარსულს ჩაბარდა. ასე თუ ისე, გუშინდელთან შედარებით მეტი სიმართლის თქმის საშუალება მოგვეცა. ამდენად, ორმაგად მოუთმენელია, როცა დღეს კვლავ იბეჭდება ყავლგასული, სტერეოტიპული მეთოდებით შექმნილი მონოგრაფიები და გასაგები მიზეზების გამო ეს მოსაზრება ყველაზე მეტად ისტორიულ მეცნიერებას ეხება.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორედ რუსეთთან ურთიერთობა აისახა ყველაზე უფრო გაუკუღმართებულად.

ამ თვალსაზრისით თავისი სიტყვა თქვა 1989 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში რუსულ ენაზე, 4000-იანი ტირაჟით დაბეჭდილმა თქვენმა მონოგრაფიამ «Русско-грузинские взаимоотношения во второй половине XVIII века».

ამ წიგნის მეცნიერული ღირსების შესახებ არ ვაპირებ მსჯელობას. იმედი მაქვს, ამას ჩემზე უფრო კომპეტენტური ადამიანები გააკეთებენ. მე კი არ შემიძლია დუმილით ავუარო გვერდი იმ ფაქტს, რომ თქვენს მიერ გამოტანილი ზოგიერთი დასკვნა კატეგორიულად მიუღებელია ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების დღევანდელი დონისთვის. უფრო მეტიც, ისინი შეურაცხყოფენ ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას...

ყველამ იცის, როგორ გაამრუდა ქართულ-რუსული (და არა „Русско-грузинские", როგორც თქვენი წიგნის სათაურშია აღნიშნული) ურთიერთობის კვლევის მაგისტრალური ხაზი ყბადაღებულმა „ნაკლები ბოროტების თეორიამ", რომლის მიხედვითაც საქართველოს რუსეთთან შეერთება (სინამდვილეში დაპყრობა) წარმოადგენდა ბოროტებას, ოღონდ ნაკლებ ბოროტებას იმასთან შედარებით, რაც მოელოდა ქართველ ხალხს, დამოუკიდებლად რომ გაეგრძელებინა ბრძოლა ირანელი და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ეს თეორია იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ ოფიციალურ დონეზე უარყოფის მიუხედავად (არავითარი ბოროტება, ეს შეერთება პროგრესულ აქტს წარმოადგენდაო, ამტკიცებდნენ ჯერ კიდევ გუშინ) დღესაც იჩენს თავს ზოგიერთი მკვლევარის ნააზრევში.

აი, თუნდაც თქვენ, ერთგან წერთ:

«Россия выставляла себя «освободительницей» всех народов Закавказья», მაგრამ ამ მართებულ აზრს იქვე, ერთი აბზაცის შემდეგ აბათილებთ Георгиевский трактат... заложил фундамент делу освобождения этих народов (საუბარია ამიერკავკასიის ხალხებზე. ზ. დ.) от турецкого и иранско ига".

გაუგებარია, როგორ ახერხებთ ამ ორი, პრინციპულად განსხვავებული პოზიციის მორიგებას.

გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ მსჯელობისას („200-летие заключения которого недавно праздновал весь Советский народ» — თქვენი სიტყვებია, ბატონო ნიკო, ნუთუ მართლა გჯერათ, რომ ეს ასეა?), თქვენ ამოსავალ წერტილად გაიხადეთ ლენინის ცნობილი ფორმულა ისტორიული მოვლენების შეფასების შესახებ.

«Самое важное, чтобы подойти к этому вопросу с точки зрения научной, это — не забывать основной исторической связи, смотреть на каждый вопрос с точки зрения того, как известное явление в истории возникло, какие главные этапы в своем развитии это явление проходило, и сточки зрения этого его развития смотреть, чем данная вещь стала теперь».

როგორც ვხედავთ, ლენინი მოითხოვდა ისტორიული მოვლენა განეხილათ დინამიკაში, რაც სავსებით სამართლიანია. ჩემი აზრით, სწორედ ლენინის ამ დებულების მიხედვით შეიძლება გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობის შეფასება, ისე, რომ აუცილებლად გავითვალისწინოთ, რად იქცა ეს ტრაქტატი ამჟამად.

თქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ, ბატონო ნიკო, რომ 1783 წლის ტრაქტატი გახდა ის თეორიული ბაზისი, რომელზეც შემდეგ დაეშენა 1801 და 1921 წლები (დანარჩენი ქართული სამეფო-სამთავროების ანალოგიურ, ღირს-„შესანიშნავ" თარიღებზე არას ვამბობ).

ლენინის მოთხოვნის თანახმად, გეორგიევსკის ტრაქტატი დინამიკაში რომ განგეხილათ, არ უნდა მიგეღოთ დასკვნა, თითქოს მან ჩაუყარა საფუძველი ქართველი ხალხის განთავისუფლებას და რომ

«Грузинский народ нашел в лице русского народа верного друга, с помощью которого он смог добиться полного освобождения от социального и национального гнета. Путь, проложенный нашими предками, оказался верным для освобождения не только Грузии, но и остальных народов Закавказья».

თქვენ მონოგრაფიის შესავლიდან აღებული ეს სიტყვები მით უფროა საკვირველი, რომ მე-13 თავში თავადვე აღნიშნავთ რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების უკანონობას. იქვე აცხადებთ, რომ

«Потеря национальной государственности, безусловно, являлась большой неудачей грузинского народа» მაგრამ, ამის შემდეგ, რატომღაც მოერიდეთ ლოგიკური მსჯელობის დაგვირგვინებას და ტრადიციული დასკვნა წარმოადგინეთ:

«Многовековая борьба грузинского народа против турецких и иранских захватчиков, выигранная с помощью России отныне сменялась широкомасштабным национально-освободительным движением против русского самодержавия, длившегося более века и завершившегося победой Великого Октября; освобождением грузинского народа от социального и национального гнета».

როგორ ფიქრობთ, ნუთუ აღარ დადგა დრო, ყოველგვარი „თუმცას" გარეშე ვისაუბროთ 1801 წლის აქტის შესახებ. რუსეთს საქართველო ირან-ოსმალეთის ხელიდან არ გაუთავისუფლებია. მან იგი დაიპყრო საერთაშორისო ნორმების დარღვევით და იგივე გაიმეორა 1921 წელს.

ქვეყნის გამოგლეჯა ერთი დამპყრობლის ხელიდან (როდესაც მას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა აქვს) და მისი თავიდან დაპყრობა (ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გაუქმებით) პოლიტიკურ-ისტორიული უხამსობა და არა გათავისუფლება. ვგონებ, საკამათო აღარ უნდა იყოს, რომ ისტორიული განვითარების ლოგიკამ უკვე დაგვარწმუნა ქართველ პოლიტიკოსთა რუსეთზე ორიენტაციის მცდარობაში.

მათ დაავიწყდათ, რომ ვერც ირანმა, ვერც ოსმალეთმა ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, მრავალგზის შემოსევის მიუხედავად, სამცხის გარდა, ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლა ვერ მოახერხეს. ქართულ სამეფო-სამთავროებს მუდამ მართავდნენ ქრისტიანი, ან იძულებით გამაჰმადიანებული ბაგრატიონები.

რუსეთს კი მხოლოდ 18 წელი დასჭირდა ტრაქტატის გაფორმებიდან ჩვენი სახელმწიფოებრიობის მოსასპობად.

თქვენ, ბატონო ნიკო, 1989 წელს გამოცემულ წიგნშიც ვერ შელევიხართ ამ ყბადაღებულ „თუმცას" და წერთ:

«Однако, присоединение Грузии к России имело также огремное объективно-прогрессивное, жизненно важное для грузинского народа значение».

ნება მომეცით, გკითხოთ, როგორ ავხსნათ სოლომონ მეორის მისამართით, მისი ანტირუსული პოლიტიკის გამო თქვენს მიერ გაკეთებული შემდეგი განცხადება:

«Позиция царя и народа в этом вопросе расходилась, народ не поддерживал царя в борьбе против России».

ვფიქრობ თქვენ აუცილებლად გექნებათ წაკითხული მიხეილ გონიკაშვილის მონოგრაფია „იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე". იქ სულ სხვაგვარადაა გაშუქებული სოლომონის და მისი ხალხის ურთიერთობისა და რუსეთთან დამოკიდებულების საკითხები.

ამას გარდა, ქართლ-კახეთის სამეფოს ანტირუსულად განწყობილი თავადაზნაურობის შეფასება რეაქციონერებად რაღას მივაწეროთ? არ ვდაობ, იქნებ მათი გარკვეული ნაწილის პრომაჰმადიანური ორიენტაცია პირადი ამბიციებითაც იყო განპირობებული, მაგრამ ასეთი შეფასება არამც და არამც არ უნდა გავავრცელოთ დიდებულთა ძირითად მასაზე, რომლებიც სხვაზე ადრე მიხვდნენ რუსეთთან დაახლოების მოსალოდნელი სავალალო შედეგებს.

თქვენს მონოგრაფიაში კიდევ ერთი უცნაური აზრი წავიკითხე, რუსეთთან საქართველოს შეერთების უდიდეს მნიშვნელობაზე რომ წერთ, იქვე აღნიშნავთ, რომ ამას მოჰყვა სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ხალხების შესვლა რუსეთის შემადგენლობაში, რომელთა მდგომარეობა თურმე ნუ იტყვით, და «было весьма сходным с положением Грузии».

თქვენზე უკეთ ვის მოეხსენება, ბატონო ნიკო, რომ რუსეთთან ტრაქტატის გაფორმების დროს ქართლ-კახეთის სამეფო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკით და რომ იმ ხალხთაგან ზოგიერთი, რომელთა მდგომარეობა ქართველთა მსგავსად გესახებათ, სწორედ ქართლ-კახეთის სამეფოსადმი დამორჩილებული განჯისა და ერევნის სახანოებში ცხოვრობდა. საინტერესოა, რა ნიშნით გაათანაბრეთ ქართველი და სომეხი ხალხი, როცა ამ უკანასკნელმა მე-11-ე საუკუნის შუა ხანებში საბოლოოდ დაკარგა სახელმწიფოებრიობა (თუ კილიკიის სომეხთა სამთავროსა და მე-18 საუკუნის დასაწყისში აღმოცენებულ სიუნიქის სათავადოს არ ჩავთვლით) და მუდამ იმედის თვალით უცქერდა აღორძინებულ ქართლ-კახეთს.

1961 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „საქართველო 1806-12 წლების რუსეთ-თურქეთის ომში" თქვენ წერდით: საქართველოს ეკონომიკურმა კონსოლიდაციამ შექმნა ყველა პირობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ერის ჩამოყალიბებისათვის".

როცა თქვენი მონოგრაფია იბეჭდებოდა, მაშინ დოგმატური მარქსიზმის ქოთანში ნახარში ეს ახირებული აზრი უცვლელად გადადიოდა წიგნიდან წიგნში. მაგრამ მას შემდეგ ხომ კარგა ხანი გავიდა. დავინტერესდი, იქნებ ამ თვალსაზრისით მაინც შეიცვალეთ პოზიცია, მაგრამ ამაოდ. მეოთხედი საუკუნის შემდეგ გამოცემულ წიგნშიც ჯიუტად იმეორებთ აზრს იმის შესახებ, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში

«Экономическая консолидация Грузии создала условия для формирования грузинского народа в нацию».

ბრავო!

და ბოლოს, კიდევ ერთი „მარგალიტი" თქვენი მონოგრაფიის ბოლოსიტყვაობიდან:

«Грузинский народ, равноправный в братской семье Советского Союза, навсегда избавившийся от порабощения и истребления и внешними и внутренними врагами, связал свою судьбу с русским народом, которые, руководствуясь решениями XXVII съезда КПСС, идут вперед к совершенствованию социалистического общества».

რა ხვითოც დაიჭირა საქართველომ ამ ძმურ ოჯახში, კარგად გამოჩნდა 9 აპრილს...

რომელ მოძმე ხალხს დაუკავშირა თავისი ბედი საქართველომ, ესეც კარგად გამოჩნდა აფხაზეთში... შიდა და ქვემო ქართლში, ფერეიდანში...

რაც შეეხება წინსვლას, საქართველო მართლაც მიდის წინ ბატონო ნიკო, მხოლოდ არა სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის, არამედ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ ნარ-ეკლიან გზაზე, თანაც ისეთი სწრაფი ტემპით, რომ თქვენი წიგნის უკანასკნელი ეგზემპლარის გაყიდვამდე, გამორიცხული არაა, ტაძრამდეც მიაღწიოს.

პატივისცემით

**ზურაბ დათუაშვილი**

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ 9 აპრილის ფონდში.

# „საირხე"




**„საირხე" — საქართველოს უძველესი ქალაქი"**

გამოვიდა ცნობილი არქეოლოგის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორ **ჯურხა ნადირაძის** მონოგრაფიის „საირხე—საქართველოს უძველესი ქალაქი", I წიგნი.

ნაშრომში განხილულია საჩხერის რაიონის სოფელ საირხეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის უნიკალური არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას იძლევა ჩვენი ქვეყნის უძველეს ისტორიაზე, მის კულტურაზე, მიკვლეული მასალები სრულიად ახალ გვერდს შლის საქართველოს უძველესი ხანის ისტორიაში.

წიგნში ფუნდამენტურადაა განხილულ-გაანალიზებული შემდეგი საკითხები: ნამოსახლარი და ლითონის საწარმოო უბნები, ნეკროპოლი და საკულტო ძეგლები, სატაძრო ნაგებობა და კულტი, საირხის ნაქალაქარის სინქრონული ძეგლები ყვირილის ხეობაში, საირხე-ყვირილის ხეობის პოლიტიკურ-რელიგიური და სამეურნეო-სავაჭრო ცენტრი. მონოგრაფიას ახლავს რეზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ნაშრომი მდიდრულადაა ილუსტრირებული.

„საირხე" გამოსცა გამომცემლობა „საქართველომ", რედაქტორი — **პროფ. ოთარ ჯაფარიძე**, გამომცემლობის რედაქტორი — **მზია ერისთავი**, მხატვარი **თამაზ შარიფაშვილი.**



ბორის გაპონოვი

# ერთი თარგმანის ისტორია

## იაკობ კაკიაშვილი

უბრალო, უპრეტენზიო, მაგრამ პირდაპირი და პირუთვნელი კაცი იყო პოეტი დომენტი ახობაძე. ზოგიერთები გაურბოდნენ კიდეც, ვერ იტანდნენ მის მწარე, უშელავათო სიტყვებს. მახსოვს, ერთმა ცნობილმა მწერალმა თავისი ნაწარმოები წაუკითხა და თან დაბეჯითებით უმეორებდა, — ხომ კარგია, დომენტი, ხომ კარგიაო. დომენტიმ კი ჩაილაპარაკა, ისე, თავისთვის ჩაილაპარაკა, მაგრამ ყველამ გავიგონეთ: კარგია, ეს ოხერი, მარა, რად გინდა, ხასიათი არ ჩანს, ხასიათი...

მოურიდებელი და უკომპრომისო ბრძანდებოდა ბატონი დომენტი, ამის გამო მტერ-მოყვარეც ბევრი გაიჩინა, თუმცა მრავალი ახალგაზრდა შემოქმედი ჰყავს გზაზე დაყენებული. სიცოცხლის ბოლო წლებში მეც დავუახლოვდი ბატონ დომენტის.

შაბათობით, დილით, შინ ვესტუმრებოდი ხოლმე. იგი ავტომშენებლის ქუჩაზე, ერთ-ერთ მაღლივ შენობაში ცხოვრობდა მეხამე სართულზე, უფრო ხშირად ლოჯში ვისხედით. შემინული სათავსოდან კარგად მოჩანდა იმერეთის მთა-გორები; იქ იდგა მაგიდა, რამდენიმე სკამი და ძველი ქართული დივანი; პოეტი ყოველთვის ამ ძველებურ სკამლოგინზე ჯდებოდა და კედელზე გაკრულ ნოხს ზურგით მიყრდნობილი ხვამლს გასცქეროდა.

ერთხელ ბატონმა დომენტიმ, ფიქრებში რომ იყო წასული და ხვამლს გაჰყურებდა, სხვათაშორის მკითხა:

— იაკობ, ბორის გაპონოვს თუ იცნობდი?

— კი, ბატონო დომენტი, ნათესავად მეკუთვნოდა;

— თუ იცოდი, „ვეფხისტყაოსანს" რომ თარგმნიდა ებრაულ ენაზე?

— არა. როცა გახმაურდა, მერე გავიგე ეგ ამბავი.

ვთქვი თუ არა, პოეტი თავის სამუშაო ოთახში გავიდა. რაღაცას განახებო, ჩაილაპარაკა; რომ დაბრუნდა, ხელში მოსწავლის რვეულიდან ამოღებული (რამდენიმე ფურცელი ეჭირა, ლურჯი მელნით ნაწერი.

ეს იყო ზუსტად ექვსი წლის წინ, მაშინ პოეტი თავს კარგად გრძნობდა და მხნედ გამოიყურებოდა.

შემოსვლისთანავე კვლავ თავის სკამლოგინზე მოეწყო მოხერხებულად და ფურცლები გამომიწოდა.

—ბორია გაპონოვის მოთხრობაა, წაიკითხე.

ჩამოვართვი. რუსულად იყო ნაწერი. ორჯერ გულდასმით ჩავიკითხე.

— მე და ბორია გაპონოვი ახლო მეგობრები ვიყავით, — გააგრძელა მან, როცა ნაწარმოები დავუბრუნე, — დღე არ გავიდოდა, რომ არ ვენახე. მაშინ ის ავტოქარხანაში მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორად მუშაობდა. უაღრესად პატიოსანი პიროვნება იყო, ჩუმი, მოკრძალებული, ამასთან ქართული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე. მიხაროდა მისი დანახვა, კულტურული, მრავალმხრივ ერუდირებული კაცი ბრძანდებოდა, მაგრამ „ვეფხისტყაოსანს" თუ თარგმნიდა ებრაულ ენაზე, ნამდვილად არ ვიცოდი.

და, აი, ერთ წვიმიან საღამოს, ვზივარ კავშირში და, ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის იცოდა, მოკრძალებულად შემოაღო ბორიამ კარები. მახსოვს, შავი კოსტუმის საყელო აწეული ჰქონდა, მივესალმეთ ერთმანეთს და ჩამოჯექი-მეთქი, ვუთხარი. რატომღაც არ დაჯდა, მეტი არც არაფერი უთქვამს, უხმოდ მივიდა ფანჯარასთან და იქ გაჩერდა, გარეთ იცქირებოდა.

გამიკვირდა მისი საქციელი. მისთვის ერთადერთი გულის მესაიდუმლე ვიყავი, ოჯახური მდგომარეობის წვრილმანებსაც კი მიყვებოდა, არცთუ დალხინებული ცხოვრება ჰქონდა. და ახლა, ასე რომ მოიქცა, დავეჭვდი, რაიმეზე ხომ არ გამინაწყენდა-მეთქი.

— შინ ხომ მშვიდობით ხართ, ბიჭო?

კიო, უხმოდ მანიშნა. რაღა მეთქმოდა, მხრები ავიწურე და უხერხულობის დასაფარავად საწერი მაგიდიდან ახალბედა პოეტის ლექსების რვეული ამოვიღე. არა, კითხვას არ ვაპირებდი. ისე, ყასიდად გადავფურცლე, სინამდვილეში გაპონოვს შუბლსქვემოდან, მალულად ვუცქეროდი. საშუალო ტანისა იყო, მხარბეჭიანი, ნათელი სახე ჰქონდა. რამდენჯერმე გამომხედა. ნაღდად დავინახე, რომ თვალები ცრემლით ავსებოდა, ტიროდა კაცი. ერიჰაა... ისეთი ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანისაგან, როგორიც ბორია გაპონოვი იყო, ამას ნამდვილად არ მოველოდი. უეცრად იგი შემობრუნდა, ფანჯარას მოსცილდა, გასასვლელთან მივიდა და კარი სწრაფად გამოაღო, მაგრამ წამით შეყოვნდა. და, ამან გადაწყვიტა ყველაფერი, გარეთ აღარ გავიდა; ისევ ნელა მიხურა კარები და იქვე თავჩაქინდრული, ხელებჩამოყრილი დადგა. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, წამოვდექი, მივუახლოვდი, ორივე ხელი მხრებში მძლავრად ჩავავლე, შევანჯღრიე.

— რა მოგივიდა, ბიჭო, ხმა ამოიღე.

— დომენტი, — აღელვებული, ცრემლნარევი, ყელიდან ძლივს რომ გადმოდის სიტყვა, აი, ასეთი ხმით მეუბნება: — დომენტი, „ვეფხისტყაოსანი" ვთარგმნე ებრაულად.

— ჰა... — თითქოს სადღაც ზარბაზანმა დაიქუხა. ხელები ჩამომცვივდა. ახლა სიბრალულით ვუყურებ, ცოტა შეჭანებული მგონია; საწერ მაგიდასთან დავბრუნდი, დავჯექი. მაინც არ მინდა ყურებს დავუჯერო. ვეკითხები:

— გაიმეორე, რა თქვი?

— ებრაულ ენაზე ვთარგმნე „ვეფხისტყაოსანი", დომენტი.

— მერე, შე კაცო, რა გატირებს, უნდა გიხაროდეს. აქ მოდი, დაჯექი.

— ეს სიხარულის ცრემლია, დომენტი. — თქვა ბორიამ და ჩემს პირდაპირ ჩამოჯდა:

— არაფერია მაგი, დამშვიდდი, მოითოკე გრძნობები და ცრემლი შეიკავე.

როცა ეს სიტყვები წარმოვთქვი, უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ გაპონოვი არ ტყუოდა; არა, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი; როგორი იქნებოდა ეს თარგმანი, ამის წარმოდგენაც კი მიჭირდა. მაგრამ, იმ წუთში ამას არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან მთავარი ის იყო, რომ ჩემს წინ იჯდა სალ ჰკუაზე მყოფი კაცი და ამბობდა სიმართლეს, ხოლო დანარჩენი მერე გაირკვეოდა.

— მთლიანად თარგმნე?

— ბოლო ორი თავი მაქვს დარჩენილი: „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა" და „დასასრული." ორიოდ კვირაში დავამთავრებ.

— აქამდე სად იყავი, რატომ არ მითხარი?

— სხვაგვარად ნუ გამიგებ, დომენტი, უნდობლობით არ მომსვლია, უბრალოდ არ მეგონა თუ შევიძლებდი.

— რა ხანია, რაც თარგმნას შეუდექი?

— სკოლის მერხიდან მოყოლებული ყველაფერი ამ საქმეს შევწირე.

— დარწმუნებული ხარ, რომ შეიძლო და ნაღდია?

— არ ვიცი.

— ვინ იცის კიდევ, „ვეფხისტყაოსანი" რომ თარგმნე?

— დღეს პირველად გავთქვი საიდუმლო, არავისთვის, თვით შინაურებისთვისაც არ გამიმხელია; რა ვიცი, აბა, ხომ ხედავ. შენც კინაღამ გიჟად ჩამთვალე?

ხელები გავშალე.

— საოცარი კაცი ხარ, ღმერთმანი, აბა, რა უნდა მეფიქრა, როცა თოფივით დამახალე, „ვეფხისტყაოსანი" ვთარგმნეო.

— უკვე ვეღარ ვითმენდი, დომენტი, ზედმეტი სიხარულისაგან ისე ვიყავი დაძაბული, მეგონა, საცაა საფეთქლები გაირღვევა-მეთქი.

— თარგმანი სადა გაქვს?

— შინ გადავმალე.

— წადი, მოიტანე, აქ დაგელოდები.

გაპონოვი ტყვიასავით გავარდა გარეთ; ორმოციოდე წუთში დაბრუნდა, ხელში საგულდაგულოდ შეკრულ-შეფუთული სქელი საქაღალდე ეჭირა. რომელიც შემოსვლისთანავე გამომიწოდა.

საქაღალდე ჩამოვართვი, გავხსენი, ვფურცლავ და ვფურცლავ გაპონოვისეულ ხელნაწერ „ვეფხისტყაოსნის" პირველ ებრაულ თარგმანს, მაგრამ რად გინდა, ებრაულის ანა-ბანა არ გამეგება; არც თარგმანის ავ-კარგიანობაში ვიყავი გარკვეული, მაგრამ მაინც მიხაროდა, მაინც გულდაგულ ვფურცლავდი, მეამაყებოდა, რომ ებრაულ ენაზე პირველად აჟღერებულ „ვეფხისტყაოსანს" პირველმა ხელი მე შევავლე. გული რომ ვიჯერე, თარგმანი ავტორს დავუბრუნე და ვუბრძანე:

— აბა, საქმეს შევუდგეთ, დაჯექი და წაიკითხე!

გაპონოვი გაოცებისაგან წამოხტა.

— როგორ, დომენტი, ებრაული იცი?

—ეგ უკვე შენი საქმე არაა, დაჯექი და წაიკითხე. მე გისმენ!

— რომელი თავი წაგიკითხო?

— პირველი თავიდან დაიწყე, და ვიდრე არ გეტყვი, კითხვის შეწყვეტა არ გაბედო!

ბორია გაპონოვს მშვენიერი, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა: ის კითხულობდა, მე ვისმენდი. არა, ერთი სიტყვა არ გამეგებოდა, მაგრამ რითმა, რიტმი და მუსიკა როგორ გამომეპარებოდა; ეგ კი არადა, იმდენად სიამოვნებდა ყურთასმენას ებრაული ჰანგის ჟღერადობა, რომ ზოგიერთ სტროფს ხელმეორედ ვაკითხებდი. ამასობაში შემოგვათენდა კიდეც. შინ წასვლას აზრი აღარ ჰქონდა და კავშირში დავრჩი.

— თარგმანი ჩემთან დარჩება, შენ კი სამსახურში წადი, არ დაიგვიანო; საღამოს აუცილებლად მოდი აქ; ერთი მეგობარი პოეტი მყავს, ცოტაოდენი ებრაული იცის, ამაღამ კიდევ ერთხელ მოგიწევს წაკითხვა.

ის ღამეც გავათენეთ, ოღონდ უკვე სამნი ვიყავით. განთიადს არაჩვეულებრივად ამოწურულები შევხვდით; განსაკუთრებით ბორია გადაღლილიყო. ხმა ჩახლეჩოდა და ბოლოს თითქმის ჩურჩულით კითხულობდა; ეს არც გვიკვირდა, რადგან ორი ღამე, ზედიზედ ორჯერ, თითქმის თავიდან ბოლომდე წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის" საკუთარი ებრაული თარგმანი. ერთხელაც დავძენ, მიუხედავად გადაღლილობისა, სამივენი შესანიშნავ გუნებაზე ვიყავით, ვინაიდან ეჭვი აღარ გვეპარებოდა თარგმანის კეთილხმოვანებაში. სხვა დანარჩენი უკვე სპეციალისტის საქმე გახლდათ, რომელიც არა მხოლოდ ქუთაისში, არამედ საქართველოშიც კი არ გვეგულებოდა.

ამასობაში ჩემი მეგობარი პოეტი წავიდა და ოთახში ორნი დავრჩით: მე და გაპონოვი.

— რას მირჩევ, დომენტი?

— ორი აზრი არ არსებობს, თარგმანი მოსკოვში უნდა გავგზავნოთ!

— მეშინია, დომენტი.

გამეცინა.

— „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა"...

— მესმის!

შევეცადე დამემშვიდებინა:

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, საღამომდე მოვიფიქრებ, როგორ უნდა მოვიქცეთ.

დავრჩი ისევ მარტო „ვეფხისტყაოსნის" გაპონოვისეულ თარგმანის ხელნაწერთან და საკუთარ ფიქრებთან; თავს ვიტეხდი, ვინ იცის, რამდენგზის ავწონ-დავწონე, თუ რა გამეკეთებინა, რომ ამ ალალი, გაჭირვებაში გაზრდილი, მამით ობოლი ბიჭის, ეს ტიტანისებური შრომა ან წყალს არ წაეღო, ან — ქარს; ყოველი ნაბიჯი დიდ სიფრთხილესა და დაკვირვებას საჭიროებდა, მით უმეტეს, რომ ბორია გაპონოვი... თითქმის უსახელო ავტორი იყო. თუ არ ვცდები, არც არაფერი ჰქონდა გამოქვეყნებული; მოთხრობა, წეღან რომ წაგაკითხე, გაცილებით გვიან მომიტანა, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის" თარგმანის საქმეს გამანდობდა და მთხოვა, ეგებ დამეხმარო, რომ „კუტაისკაია პრავდაში" მაინც დამიბეჭდონო; მცდელობა არ დამიკლია, მაგრამ რა მექნა, როცა მხატვრულად სუსტი ნაწარმოები გამოდგა; დღეს ამიტომაც წაგაკითხე, უბრალოდ, დავრწმუნდი რედაქტორისეულ შეფასებაში. ერთი სიმართლეც უნდა გაგიმხილო, მეც გვარიანად ვშიშობდი, ვეჭვობდი, ვაითუ, თარგმანმა არ გაგვიმართლოს-მეთქი. მხედველობიდან არ მრჩებოდა ის გარემოებაც, რომ შეიძლებოდა თარგმანი თავდაპირველად სისუსტის გამო დაეწუნებინათ, მაგრამ კარგი სპეციალისტის სათანადო შენიშვნებისა და მუშაობა-ჩასწორების შემდგომ გამომდგარიყო. ამიტომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტორს, თუ როგორი პიროვნების ხელში მოხვდებოდა „ვეფხისტყაოსნის" პირველი ებრაული თარგმანი. აგრეთვე ვშიშობდი, რომ ისეთი უცნობი ავტორი, როგორიც მაშინ ბორია გაპონოვი იყო, ყურადღების ღირსადაც არ ჩაეთვალათ და ნაშრომს დავიწყების სქელი მტვერი არ დაჰყროდა. მოკლედ რომ ვთქვა, ყველაფერი გავითვალისწინე და გადავწყვიტე ალალბედს მივნდობოდი. აღარ დამიყოვნებია. სასწრაფოდ შევადგინე წერილი სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის სახელზე, სადაც აღვნიშნე ბორია გაპონოვის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის" ებრაული თარგმანის ფრიად სასიამოვნო მუსიკალური ჟღერადობის შესახებ, თან უმორჩილესად ვთხოვდი გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება თარგმანის ავ-კარგზე.

საღამოს, ბორია რომ მოვიდა, წერილი უკვე მზად მქონდა. გავაცანი ჩემი მოსაზრებები და განვუმარტე ის გარემოებანი, რომელიც არ გამორიცხავდა გართულებებს; ამასთან ვუთხარი:

— მოდი და ასე მოვიქცეთ, შეარჩიე თარგმანიდან რამდენიმე თავი, რომელიც საუკეთესოდ მიგაჩნია და ამ წერილთან ერთად ხვალვე მოსკოვს ვაფრინოთ.

გაპონოვი უყოყმანოდ დამთანხმდა; ჩემს მიერ შედგენილ წერილზე, რომელიც მან რუსულად გადათარგმნა და დაბეჭდა, მე მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების შტამპი დავუსვი, ხელიც მოვაწერე, დავნომრე და „ვეფხისტყაოსნის" ებრაული თარგმანის გაპონოვისეული ხელნაწერის რამდენიმე თავთან ერთად, საგულდაგულოდ დალუქული მოსკოვში გავგზავნეთ.

პასუხს ოთხი თვე და, მგონი, ცოტა მეტი, შეაგვიანდა. ამ ხნის განმავლობაში მე და ბორია თითქოსდა ნემსებზე ვისხედით. მართალია, ჩვეულებრივ ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ თარგმანზე ხმას ვერ ვიღებდით.

ერთ მშვენიერ დღეს, თითქოსდა საუკუნოვანი ლოდინის შემდეგ, მოსკოვიდან პასუხიც მოვიდა; პასუხი, მაგრამ, არ იკითხავ რა პასუხი? გვწერდნენ, თარგმანი ბრწყინვალეა, სასწრაფოდ გამოაგზავნეთ პოემის ებრაული თარგმანის დანარჩენი ხელნაწერიო. ბარათს ხელს აწერდა ცნობილი ებრაელი პოეტი აბრამ შლიონსკი. როგორც შემდეგ გაირკვა, პასუხს იმიტომ შეაგვიანდა, რომ ჩვენს მიერ გაგზავნილი ხელნაწერი, დასკვნისათვის მოსკოვიდან თელავივში გადაუგზავნიათ.

# საქმიანი ურთიერთობის საფუძველი

აპრილის თვეში, ქუთაისში, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოწვევით იმყოფებოდნენ. სტუმრები დიდი ბრიტანეთის დაძმობილებულ ქალაქ ნიუპორტიდან. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ბ-ნი მელ ჰარისი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მხატვრები: ჯონ სელვეი, რიჩარდ კოქსი, რონ მაკკორმიკი. სტუმრები შეხვდნენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, ქუთაისის ინტელიგენციას. მათი მასპინძელი გახლდათ საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია. ორი ქვეყნის კულტურული ურთიერთობის განვითარებისათვის ბევრ რამეს განსაზღვრავდა პირველი საქმიანი ვიზიტის შედეგად აქ მიღებული შთაბეჭდილებები.

პირველად **ჯონ სელვეის** ვესაუბრეთ, რომელიც თავისი ნახატებით წარდგა დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეაში ქუთაისელი მნახველის წინაშე.

●

— თქვენ ჩამოიტანეთ თქვენი ნახატების მცირე გამოფენა, რამდენად შეესაბამება თქვენი შემოქმედების სტილი თანამედროვე ინგლისური მხატვრობის ტრადიციებს?

**— ჩემი აქ წარმოდგენილი ნამუშევრები არა მარტო ინგლისური, არამედ თანამედროვე ევროპული მხატვრობის ნიმუშებია.**

— თუ ეს ასეა, რა განსხვავება დაინახეთ თქვენი და ქართველი მხატვრების შემოქმედებაში?

**— იცით, პირველი შთაბეჭდილება, რამაც ჩემზე გარკვეული ეფექტი მოახდინა, გახლავთ თითოეული მხატვრის თავისებური ხელწერა, ინდივიდუალური მხატვრული ბუნება, სტილისა და მანერის სხვადასხვაობა. ევროპული კულტურა ჩვენ თავისი ტრადიციებით ერთგვარად გვზღუდავს, თქვენი მხატვრების ნამუშევრებში ეს არ იგრძნობა.**

— რას გვეტყვით ქუთაისელი ბავშვების ნახატებზე, თქვენ ისინი გ. მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლაში ნახეთ.

**— ბევრი ისეთი ნახატი ვნახე, რომლებიც თავისი თემატიკით ნაციონალურის ფარგლებს სცილდება და ზოგადი ხასიათი აქვს. ამავე ასაკის ჩვენი ბავშვები ასეთივე გრძნობებს გადმოსცემენ. განსხვავება ინდივიდუალობაშია. გარდა ამისა, ჩვენთან სწავლების სისტემა სხვაგვარია. ხატვას უფრო ინდივიდუალურად სწავლობენ.**

— ზოგადის გარდა, რაიმე თავისებურებას ხომ არ გამოჰყოფდით?

**— ქართულ მხატვრობას, ეტყობა, ევროპულ კულტურულ ტრადიციებთან ძალიან ბევრი რამ აქვს საერთო. საინტერესოა როგორ შეინარჩუნა მან ევროპული და აღმოსავლური ტრადიციები. მე მგონი, იგრძნობა თურქულ-სპარსული გავლენაც და ევროპული მოდერნიზმიც და არა მარტო ბავშვების ნახატებში. ასეთი რამ დასავლეთშიც ხდება. ხშირად ერთი მხატვრის ნამუშევარში შეინიშნება სხვადასხვა მიმდინარეობის თავმოყრა, ამას ჩვენთან პოსტმოდერნიზმი ჰქვია.**

— თქვენ იყავით ქუთაისელ მხატვართა სახელოსნოებში, ოჯახებში, გაისეირნეთ ქალაქში, შეხვდით თქვენთვის უცნობ ადამიანებს, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

**— მაინცდამაინც არ ვიცნობდი თქვენი ცხოვრების წესს, საბჭოეთის გავლენა აქ იგრძნობა, ვფიქრობ, ამ სისტემას დიდი მომავალი უნდა ჰქონდეს და ერთგვარი უპირატესობაც, თუმცა, დადებითი და უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. დადებითად ის მხარდაჭერა მიმაჩნია, რასაც თქვენ ერთმანეთის მიმართ იჩენთ, უარყოფითი ისაა, რომ მომეჩვენა, მხატვარს თქვენთან სრული თავისუფლება არ უნდა ჰქონდეს იერარქიულად დაწყობილი ბიუროკრატული აპარატის გამო. ასეა რუსეთში.**

— საქართველოშიც ასეა?

**— არ ვიცი, მხატვრები ერთმანეთს მხარს უჭერენ და მეგობრულად არიან, შესაძლებელია, ეროვნული ხასიათის გამო, რადგან რუსეთში მე ვერ დავინახე მხატვრებს შორის ასეთი მეგობრობა, ქუთაისში ყველა საკითხში ბოლომდე ვერ ჩავიხედე და ამის გამო, შეიძლება ყველაფერი ვერ ვთქვა. დასავლეთში, კერძოდ, ბრიტანეთში, მხატვართა დასახმარებლად მრავალგვარი ფორმა არსებობს, სახელმწიფო დახმარება მხოლოდ ერთი ამ ფორმათაგანია, ძირითადად კი თავისუფალი ბაზარი დომინირებს, ეს ფორმები ერთმანეთშია გადახლართული და კარგ შედეგს იძლევა.**

— რამდენადაც ვიცი, იცოდით, რომ თქვენი ნახატების მცირე გამოფენით ჩვენთან ჩამოსვლა 9 აპრილის წლისთავს ემთხვეოდა, როგორც გამოირკვა, ჯვარცმის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები შეგირჩევიათ, ეს უკვე გარკვეულწილად გამოხატავს თქვენს დამოკიდებულებას 9 აპრილისადმი...

**— ახლა უკვე ჩვენ გარკვეული ვართ სიტუაციაში, მას შემდეგ, რაც ინგლისელთა მიერ გადაღებული ამ ტრაგედიის ამსახველი ფილმები ჩვენი თვალით ვნახეთ, მათ ნახვამდე, ფაქტობრივად არავითარი ინფორმაცია არ გაგვაჩნდა. პრესის და ჟურნალისტების არ გვჯეროდა, ინგლისში დემოკრატიის დიდი ხნის ისტორია გვაქვს და ყველაფრის როდი გვჯერა, ხელმძღვანელებისგანაც კი უყოყმანოდ მოვითხოვთ უტყუარ ფაქტებს.**

— მას შემდეგ, რაც, ქუთაისელებმა დაათვალიერეს თქვენი გამოფენა, იგი მთლიანად შეისყიდეს. თქვენ კუთვნილი თანხის მიღებაზე უარი განაცხადეთ, და გამოთქვით სურვილი ქუთაისის ბანკში ანგარიშის გახსნისა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ კიდევ აპირებთ ჩამოსვლას...

**— რა თქმა უნდა. დიდი სურვილი მაქვს მეუღლესთან ერთად ჩამოვიდე და თავისუფალი დღეები ქუთაისში გავატარო, ძალიან მაინტერესებს საეკლესიო მხატვრობა, გულდასმით მინდა გელათის ფრესკების შესწავლა.**

— და ბოლოს, რას უსურვებდით ჩვენს ქვეყანას?

**— თქვენი ქვეყანა ულხივით ძველია და მდიდარია ტრადიციებით. ნუ მიწყენთ, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით გირჩევთ, რაც შეიძლება მეტად ისწავლოთ დასავლეთისგან კომერციული საქმე, ოღონდ, თქვენს ქართულ ხასიათს ნუ დაკარგავთ, ბევრი ფული და სიმდიდრე ყველაფერს არ ნიშნავს.**

●

რამდენიმე კითხვით მივმართეთ **რიჩარდ კოქსს**. იგი თავის სამშობლოში ე. წ. ხელოვნების ადმინისტრატორია, ამავე დროს, ხატავს კიდეც და, როგორც თვითონ გვამცნო, მისი ნამუშევრები უელსში წარმატებით სარგებლობენ.

— ბატონო რიჩარდ, ქუთაისში თქვენ ნახეთ ფერწერა, გრაფიკა და ქანდაკება, როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ნანახმა?

**— ჩემი მთავარი საქმიანობაა, გამოფენების ორგანიზაცია. ამის გამო, ხელოვნების უამრავ ნიმუშს ვნახულობ, ეს შესაძლებლობას მაძლევს, ერთმანეთს შევადარო სხვადასხვა მხატვრის ნამუშევარი. ამჟამად თქვენთან კონტაქტია ჩვენთვის ყველაზე საინტერესო, რაც მხატვრობისადმი სხვაგვარ დამოკიდებულებას გულისხმობს. ჩვენსა და თქვენს მხატვრობაში ბევრი რამ საერთოა. მომავალში, როცა ნიუპორტში, თქვენი მხატვრების გამოფენას მოვაწყობთ, გამოფენის ნახვის შემდეგ, შესაძლებლობა გვექნება, უფრო მეტი ქუთაისელი მხატვარი მოვიწვიოთ ჩვენთან.**

— გამოფენამ, რომელშიც სელვეი მონაწილეობდა, არა მგონია, სრულყოფილი წარმოდგენა შეგიქმნათ ჩვენი ქალაქის მხატვრულ ცხოვრებაზე, მაგრამ...

**— არ იფიქროთ, ზრდილობის გამო გეუბნებოდეთ, გამოფენა ნამდვილად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, გულწრფელად ვამბობ.**

— ძირითადად, რით განსხვავებთ ჩვენი ქვეყნებისთვის დამახასიათებელ სტილს, თუ კი ასეთი რამ საერთოდ იგრძნობა?

**— პირველ რიგში, განსხვავება ალბათ, საგანთა სწავლებაში უნდა ვეძებოთ, ეს თქვენს სამხატვრო სკოლაშიც შევნიშნეთ. თქვენთან აქცენტი უფრო კომპოზიციის წარმოდგენაზე გადააქვთ, თქვენ ასევე დიდ ყურადღებას უთმობთ მიზნის ობიექტურად ასახვას. ჩვენთან ხატვა საშუალო სკოლაში ისწავლება და ორგანულადაა დაკავშირებული განათლების ზოგად პროგრამასთან. ოღონდ შეზღუდული არ არის; ასე მაგალითად, სკოლებში გვაქვს კერამიკის კლასები, ლითონის და ძვირფასი მეტალების დამუშავების, ავეჯის დამზადების, კომპიუტერული გრაფიკის, ფოტოგრაფიის და ა. შ. ბავშვები ფართო განათლებას იღებენ. მხატვარი ჩვენთან ჩვეულებრივი სამყაროდან არ არის გამოცალკევებული. აკადემიურ განათლებას ხელოვნების დარგებში უელსის სპეციალურ სასწავლებლებში, მაღალ კურსებზე ეუფლებიან, როდესაც სტუდენტები ხატვას იწყებენ.**

— რას იტყოდით ქართული ტრადიციების შესახებ?

**— მე მგონი, ზოგი რამ გადაჭარბებულია. იმდენად მაღალ დონეზეა თქვენთან სტუმარ-მასპინძლობის მომქანცველი ეტიკეტი, რომ ხშირად იღლები. მე წელიწადში ორჯერაც ვერ შევძლებდი ასეთი სადილების გამართვას.**

— ქუთაისში ყოფნისას, ხომ არ გაგიჩნდათ ხატვის სურვილი?

**— არ ვიცოდი, როგორ სტუმართმოყვარე ხალხთან მოვდიოდი. გელათში მონეტა გადავაგდე, ტრადიციის თანახმად, როცა ჩამოვალ, მშვიდ ატმოსფეროში, დაწყნარებული, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ. ეს ჩემი მეორე მოგზაურობაა სსრ კავშირში ორი კვირის განმავლობაში. ვოროშილოვგრადში ვიყავი, იგი კარდიფის დაძმობილებული ქალაქია, იქ მაღალი, ბლოკით ნაგები სახლებია, აქ კი, ძალიან ლამაზია ყველაფერი, იქ კარგი ხალხია, მაგრამ მათ არა აქვთ გელათი, ბაგრატი...**

— ქუთაისში თქვენი პირველი ჩამოსვლის შემდეგ, შეიძლება ვთქვათ, რომ შეგვიძლია ერთმანეთისაგან რაიმე ვისწავლოთ?

**— რასაც მოველოდი, იმაზე მეტი ვნახე, თუმცა, რაც ვნახე, ყველაფერი არ იყო საინტერესო. თუმცა, ყველაფრის ნახვაც ვერ მოვასწარი, მხოლოდ მხატვრობა არ მაქვს მხედველობაში. ერთმანეთისგან, რა თქმა უნდა, ბევრ რამეს ვისწავლით.**

●

რამდენიმე კითხვით მივმართეთ **რონ მაკკორმიკს**, რონი ფოტოხელოვანია, იგი ათამდე სქელტანიანი ფოტო-ალბომის ავტორია.

— ბატონო რონ, როცა სახლში დაბრუნდებით, რას იტყვით ქუთაისზე?

**— ქუთაისი უფრო ხალხით დამამახსოვრდა, სტუმართმოყვარეობით, ქუთაისელებს აქვთ ერთმანეთის მიღების, პატივისცემის გრძნობა, რაც ევროპულია თავისი ხასიათით, ამავე დროს, ძალიან გავს იტალიელთა და ბერძენთა, შეიძლება უფრო ესპანელთა ბუნებას.**

— თქვენ ძირითადად ფერწერა და გრაფიკა ნახეთ ქუთაისში...

**— ჩვენ საფუძვლიანად ექვსი ავტორის სახელოსნოში ვიყავით, ყველა ძალიან მოგვეწონა, მაგრამ გვინდოდა, უფრო მეტი გვენახა, რაც თქვენთან ვიხილე, ყველაფერი ჩინებული იყო. შენარჩუნებული გაქვთ ეროვნული ტრადიციები, თქვენი მხატვრული სამყარო ძალიან განსხვავდება ევროპული და ამერიკული მხატვრობისაგან. იქ ფერწერა უკანა პლანზეა გადახული. თქვენთან შეიმჩნევა ფერწერისაკენ მობრუნების ტენდენცია. ნიუპორტელი მნახველისთვის საინტერესო იქნება მათი ნახვა. ჩვენთან თანამედროვე ხელოვნებას უფრო მეტი არეალი გააჩნია. გამოცდილების გაზიარება ორივე მხარეს გამოადგება. ისე კი, მაინტერესებდა, ფოტოს საქმე როგორაა ქუთაისში.**

— უელსში თქვენთვის საინტერესო, მდიდარი ფოტომასალა მიგაქვთ ქუთაისიდან, კარგი იქნება, თუ ქუთაისელი დამთვალიერებელი თქვენი თვალით დანახულ თავის მშობლიურ ქალაქს იხილავს.

**— მე ამის დიდი სურვილი მაქვს, იმედია, მეორედ ჩემი გამოფენით ჩამოვალ.**

— როგორ ფიქრობთ, პირველი ეტაპის შემდეგ, რამდენად შეიძლება მომავალ პერსპექტივებზე ლაპარაკი?

**— ყველაფერი დიდი იმედის მომცემია, ვფიქრობ, მომავალ ურთიერთობათა საფუძველი გარკვეულწილად უკვე შეიქმნა.**

●

როგორც ხედავთ, სტუმრები თავიანთ შეფასებებში, ხშირად ფრთხილობდნენ, აღტაცება და მოწონებაც მეტად თავშეკავებულად გამოხატეს. ვფიქრობთ, ეს ასეც უნდა იყოს, საქმიანი კონტაქტების დამყარება, სიდინჯეს მოითხოვს, რადგან ის მნიშვნელოვანწილად ეხება პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს, რომელთა გადაჭრა, ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. ჩვენი მხრივ, ალბათ, გეზი პროფესიონალიზმზე უნდა ავიღოთ, რადგან, იგი ყოველგვარი საქმის. წარმატების საწინდარია; ამასთან დაკავშირებით, მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციამ შეიმუშავა და ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს წარუდგინა ქუთაისელი და ნიუპორტელი მხატვრების კონტაქტების ვაღრმავების პერსპექტივები, რაც მხატვრული გამოფენების გაცვლას, ნიუპორტელი მხატვრების ქუთაისის საერთაშორისო ტრადიციულ პლენერში მონაწილეობას, ქუთაისის სამხატვრო სალონში ნიუპორტელი ოსტატების სხვადასხვა ნაქეთობების გამოფენა-გაყიდვებს, ქუთაისელი და ნიუპორტელი მხატვრების ოჯახებით ურთიერთობას და შემოქმედებითი თანამშრომლობის სხვა მრავალ ფორმას ითვალისწინებს. ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ პერსპექტივაა, თუმცა, პირველი ნაბიჯი, მეტად მრავლისმეტყველი და იმედისმომცემი, უკვე გადაიდგა, ბევრი რამ, ალბათ, საპასუხო ვიზიტის შემდეგ გაირკვევა, როცა ქუთაისელ მხატვართა დელეგაცია ნიუპორტს ეწვევა.

**ჩვენი საკუთ. კორ.**



ბაგრატის ტაძარი.

ოთარ ბერეჟიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფერში ამეტყველებული ქუთაისი



თანამედროვე სახვით ხელოვნებაში ვერავინ ისე ვერ ჩაწვდა ქუთაისის, ამ უძველესი ქალაქის სევდასა და ტკივილს, ვერავინ ისე ვერ გაითავისა ქუთაისის რომანტიკული ბუნება და ადამიანთა სევდანარევი ხასიათი, როგორც საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა ჯავა ქეიშვილმა. როცა თანამედროვე მხატვრობაში სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით უფრო მკაცრი რეალისტური მოტივები იკვეთება, საერთო ფონზე განსაკუთრებული ელფერით ბრწყინავს ჯავა ქეიშვილის ლირიზმით სავსე ფერწერა. დღევანდელი ცივილიზაციის, გაუცხოების, კომპიუტერიზაციის ეპოქაში კვლავ აჟღერდა ხელოვნებაში მივიწყებული, საოცრად თბილი და ადამიანური, რომანტიკულ-ლირიკული ნოტა. მხატვარი ფერწერაში, თეატრალურ დეკორაციულ ესკიზებში, გრაფიკაში, სახვითი ხელოვნების ნებისმიერ ჟანრში ბოლომდე რჩება ერთხელ არჩეული შემოქმედებითი პრინციპის ერთგული.



შემოქმედის მხატვრულ აზროვნებაში პეიზაჟი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს და მეტად მდიდარია განსხვავებული თვალთახედვით, გადმოსაცემი ობიექტის სიღრმეში წვდომით, იგი არასდროს არ ისაზღვრება პეიზაჟის მხოლოდ ფერადოვანი ასახვით. ჯ. ქეიშვილის პეიზაჟში მუდამ ის შუქია ჩადებული, რასაც უშუალოდ იძლევა ქუთაისის განუმეორებელი კოლორიტი. „სახლი წითელ ხიდთან" — ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სახლი-პორტრეტი, სადაც ისევე იხსნება რიონის პირზე გადმომდგარი სახლის ხასიათი, როგორც ადამიანის შინაგანი ბუნება. ხაზების რიტმული მონაცვლეობა, მსუბუქი ინტიმური დეკორი, კომპოზიცია სივრცეში, საგნების განლაგება, ყველაფერი ემსახურება აზრობრივი დატვირთვის ცოცხლად ხორცშესხმას. ქუთაისისათვის დამახასიათებელ სიმყუდროვეში ჩაძირულა ზაქარია ფალიაშვილის სახლი ნახატში „ქუთაისის ძველი უბანი". მხატვარი პეიზაჟში ირჩევს მნახველისთვის შეუმჩნეველ ობიექტს, რომელსაც შეიძლება „საკვანძო მომენტი" ვუწოდოთ. ის არასდროს არ გვხვდება თვალში, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ნაწარმოებში ჩადებული იდეის გასაღებად გვევლინება, ქმნის განწყობილებას და საგნის არსის მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობის ამოხსნას ესწრაფვის. მხატვარს აინტერესებს პირველი ცხოველმყოფელი იმპულსი, რომელიც ბიძგს აძლევს აზროვნებას და საიდანაც დიდი იდეა ამოიზრდება ხოლმე. ამ იმპულსთან მისვლა, დაფიქსირება და ასახვა თავისთავად გულისხმობს ჯ. ქეიშვილის ესთეტიკური სამყაროს მშვენიერებას. ნახატში „გელათი. მონასტერი" — ცენტრალური ნაწილი გელათის მონასტერს უჭირავს, ხოლო მარცხენა ნაწილში პატარა საყდარი მოჩანს, სწორედ იგი გვევლინება დიდი იდეის, დიდი მონასტრის წარმოსახვის იმპულსად. მხატვრის აზროვნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლაქობრივი სიბრტყის დეკორატიულად გაწყობა, რადგან იგი სრულიად შეესატყვისება სიუჟეტურ-თემატური პრობლემის გადაწყვეტას, აქედან გამომდინარე, მხატვარი მიმართავს ფერის სხვადასხვა ტონალობად დაშლას და შემდეგ მისი სასურველი გრადაციით გამოყენებას; მონასმი უაღრესად სუფთა, ზუსტი და ზომიერია, ამავე დროს სადა და წინასწარ გამიზნული. ამის გამო დიდი დატვირთვა აქვს ხაზს, რომელიც საგანს აცოცხლებს და მოძრაობაში მოჰყავს. მხატვრული მიზნის გადაწყვეტას ემსახურება აგრეთვე შუქ-ჩრდილთა ეფექტების გამოყენების შეუმცდარი შეგრძნება. როგორც პეიზაჟში, ასევე ნატურმორტში ავტორი არ ისაზღვრება ჟანრობრივი ერთფეროვნებით. შემოქმედის განცდებით სავსე ცხოვრება სუბიექტურია და მისთვის მთავარია თავისი სულიერი მდგომარეობის საინტერესო, თუნდაც უჩვეულო ფორმით გადმოცემა. ნატურმორტში ნაჩვენები სიმბოლოები შინაგანი განცდებითა და ემოციებითაა დატვირთული. სურათში „სახელოსნო" — ნატურმორტი აგებულია მოლბერტზე დამაგრებული ტილოთი, რომელზეც შიშველი ფიგურაა გამოხატული, ძველი თუნგით და სხვა ატრიბუტებით, ერთ მთავარ მომენტს კი ფონზე გამოსახული მაცხოვრის ხატი და ავტორის ნახატი — „მოლოდინი" შეადგენენ. ასეთი ეკლექტიკაა ნატურმორტში — „ნოსტალგია", სათაურში გამხელილი გრძნობა თავისებური კოლაჟითაა გამოხატული, — სკამზე პატარა ორფიგურიანი ქანდაკებით და ნიჟარით გაწყობილ ნატურმორტს განსაზღვრავს თვალწარმტაცი ფონი რუსული ეკლესიით, უკიდეგანო სივრცითა და ველებით. ვინაიდან მხატვრის შინაგანი ბუნება მიმართულია საგნის განჭვრეტისაკენ, მისი იდუმალებისა და დანიშნულების გარკვევისაკენ, ამიტომ მის შემოქმედებაში არ არის ნახატი, რომელშიც ერთგვარი ოპუსი არ იყოს წარმოდგენილი. „ნატურმორტი ვიოლინოთი" — ქალის ანტიკური ტორსი და სიმებდაწყვეტილი ვიოლინო, შესრულების უაღრესად დახვეწილი კულტურის მიუხედავად მნახველს უთუოდ აღუძრავს კითხვებს. მოგონებით გამოწვეული სევდა, „იმერულ ნატურმორტში" რომ იკითხება, დ. კაკაბაძის იმერული პეიზაჟებითაა ნასაზრდოები.

ფრესკული მოტივები ჯ. ქეიშვილის შემოქმედებაში, მისი მხატვრული შემეცნების ძირითად მხარეს წარმოაჩენენ და ხშირ შემთხვევაში ავტორის მოდერნისტული აზროვნების საფუძველს ქმნიან. არსის ლირიკულ წარმოდგენას უპირისპირდება იდუმალებით მოსილი ეროვნულ-ქრისტიანული სიმბოლიკის თანამედროვე ყოფაში გადმოტანა, ისე რომ მხატვარი ზუსტად იცავს ხატწერის ძირითად პრინციპებს. ეს ნამუშევრები უფრო ამაღლებულია თავისი განწყობილებით, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავთათვის შესაფერი მშვენიერებითა და სილამაზით. ფაქტობრივად ჯ. ქეიშვილის საშემსრულებლო მანერა საუკეთესო პირობას ქმნის ხატწერული ნიმუშების შესაქმნელად — ტილოს სუფთა, ფაქიზი ზედაპირი, ფრთხილი მონასმი. ზომიერი დეკორატიულობა, ნახევარტონების და შუქ-ჩრდილის ლირიკული ეფექტი, მოძრავი ხაზი, გრაფიკული ელემენტების შემოტანა, სათქმელის ლაკონურობას რომ უწყობს ხელს, — ეს ყველაფერი ქართული ფრესკისათვის ბუნებრივია. მაგრამ მოდერნიზმი, რომლის ჩვენებასაც დიდი ოსტატობით აღწევს მხატვარი, ტექნიკურ საშუალებათა, სიახლის გამოყენებით კი არ აიხსნება, არამედ სპეციალური სინთეზის სახით სრულდება. მხატვარი არ ცდილობს შეალამაზოს კონკრეტული ფაქტი თუ მოვლენა, იგი მათი შეპირისპირებით და ერთიანობით აჩვენებს მათ ბუნებას, ისინი შემოქმედისთვის შემეცნების მასალას წარმოადგენენ და გარკვეულ ფორმას იძენენ მხატვრის ინტუიციის და აზროვნების შინაგანი წყაროდან. ამდენად, ჯ. ქეიშვილი სპეციალურად არჩევს ისეთ ატრიბუტებს, რომლებიც თავისთავად არიან ესთეტიკური მნიშვნელობის მატარებელნი. ერთ-ერთი ასეთი ფერწერული ტილოს — „ბაგრატი" — მხატვარი ტაძარს დღემდე შემორჩენილი სახით აჩვენებს. ჩამონგრეული ნაწილი შევსებულია გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე მეთექვსმეტე საუკუნეში გამოსახული ქტიტორთა ჯგუფური პორტრეტის ფრაგმენტით — ბაგრატის ტაძრის მარცხენა ფრთაზე ალმართულან მეფე ბაგრატ III, დედოფალი ელენე და მათი ვაჟი გიორგი II. ასეთი წარმოსახვა ორიენტირებულია არა ცვალებადობაზე და ახლის შექმნაზე, არამედ განმეორებაზე, კვლავ განახლებაზე. ამგვარი მხატვრული შერწყმა თავად ქმნის ახალ მხატვრულ სინამდვილეს, მხატვრულ რეალობას და ფერწერულ ტილოს ხატის მოდერნისტული მნიშვნელობა ენიჭება. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქუთაისსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლები, ჯ. ქეიშვილის შემოქმედებითი ინტერპრეტაციის წყალობით, სინთეზური შერევის სახით მხატვრის პოსტმოდერნისტული აზროვნების ძირითად წყაროს შეადგენენ. ასეთი პოზიცია ჯ. ქეიშვილის სხვა ნამუშევრებშიც გრძელდება: „გელათი", „23 სექტემბერი, 1985 წელი". აქაც არქიტექტურული კომპლექსის ფასადი დაფარულია გელათის ღვთისმშობლის ხატითა და მთავარანგელოზით. თუ სხვა ნამუშევრებში მხატვარი ზუსტად იცავს ყინწვისის ანგელოზის ან გელათის ღვთისმშობლის კანონიკურ ფორმას, სურათში „9 აპრილი" იგი ღვთისმშობლის საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხატვარი თანამედროვეობაში ფრესკის შემოტანით ქმნის ერთიან ჰარმონიას, პორტრეტში კი პირიქით, ამ თვალსაზრისის შებრუნება ხდება. ამ მხრივ მეტად საინტერესოა რენესანსთან „შერწყმა", „მეუღლისა და შვილის პორტრეტი", სადაც უაღრესად მახვილგონივრულადაა გამოყენებული XVI საუკუნის იტალიელი მხატვრის ანჯელო ბრონზინოს ნახატის — „მეუღლე შვილით", ფორმა. საკმარისია სურათის ფონად ბაგრატის ტაძარი და ღვთისმშობლის ხარების ეკლესია, რომ სრულიად დაირღვეს დროის დინება, რენესანსთან „შერწყმა" დროის უკუსვლას ამართლებს; აზრობრივ მიახლოვებას მხატვრისათვის დამახასიათებელი ემოცია ავსებს. ღრმა ადამიანური სიკეთითაა გამთბარი მხატვრის პორტრეტები („ნინო ქავჟავაძე", „ნინო ქავჟავაძე და გრიბოედოვი").

მხატვრის თეატრალური აზროვნება კარგად გამოჩნდა სცენოგრაფიაში. ჯ. ქეიშვილის ესკიზებს დამოუკიდებელი მხატვრული რაობა გააჩნიათ. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრსა და აგრეთვე თოჯინების სახ. თეატრში მის მიერ მხატვრულად გაფორმებულ პიესებში გამოჩნდა დაუოკებელი ფანტაზია, ჟანრობრივი მრავალფეროვნება, არტისტული რომანტიკისადმი ერთგულება, ლაკონური სამეტყველო ენა, სიმბოლიკა და პირობითობა; ქრისტიანული ესთეტიკური წარმოდგენები და მოდერნისტული აზროვნება ერთმანეთს შეეთვისა სცენოგრაფიაში, ხოლო მხატვრისთვის დამახასიათებელმა დეკორატიულობამ შეკრა და შეადუღაბა სათქმელი გ. ბათიაშვილის პიესისათვის — „ვალი" — შექმნილ ესკიზში, თავი იჩინა ფრესკულმა მოტივებმა, ქართულ ჩუქურთმათა ორნამენტების გრაფიკულმა მოხაზულობებმა. — ლ. როსების — „პრემიერაში" კი ნატურმორტისთვის დამახასიათებელი ეკლექტიზმი, სივრცეში გაფენილი საგნების ურთიერთკავშირი, მოგონებებით გამოწვეული სევდა წარმოჩნდა. სრულიად განსხვავებული აზროვნება შეინიშნება ვაჟა-ფშაველას „ორი პოემის" მიხედვით შესრულებულ ესკიზში, სადაც წარმართული სიმბოლოების მხატვრული გადაწყვეტაა ნაჩვენები. ნახუცრიშვილის — „ნაცარქექია" ორიგინალური კოსტიუმებით გამოირჩევა, სადაც დახვეწილი გემოვნებითაა აღდგენილი ეროვნული ტანსაცმლის ტრადიციები. სცენური პირობითობა კულმინაციას აღწევს ს. მარშაკის „წელიწადის თორმეტ თვეში", — სადაც კომპოზიციის ცენტრში მდგარი სავარძელი ცალკეულ სურათში ჩადებული მოძრაობის გასაღებია, სხვადასხვა შემთხვევაში სავარძელიცაა, მარხილიც, მაგიდაც და ბუხარიც.

მნიშვნელოვანია მისი მოღვაწეობა წიგნის მხატვრულად გაფორმებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ჯ. ქეიშვილისათვის სახასიათო ხაზმა, ძველი ქართული ჩუქურთმის გეომეტრიზებული ფორმების დამუშავებამ, ქართული ორნამენტისთვის ნიშანდობლივი მომრგვალებული სპირალისებური მოძრაობის ინტერპრეტაციამ (პ. იოსელიანის — „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა"). ილუსტრაციები, წიგნის ყდა, ტიტული თუ თავსართი, ჩვეულებრივ მაღალი გემოვნებითაა შესრულებული. მსუბუქი კონტური, ჰაეროვანი სილუეტი — გადმოცემისთვის ხელსაყრელი სამეტყველო ენა კარგად ჩანს ჯ. ქეიშვილის გრაფიკაში. კოლაჟის ეფექტები, თავისუფალი აზროვნება, ქართული შრიფტის შემოქმედებითი მოხაზულობა მხატვრის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებენ.

ჯავა ქეიშვილის 30-წლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობა დღევანდელი ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია.

მერაბ ამაღლობელი





სურათებზე: „ბაგრატი", „ნატურმორტი ხატით". „ოჯახი".



გელათი.

თემურ ჯაბახაძის ფოტო.

## პრემიები გამარჯვებულებს

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის ჟიურიმ შეაჯამა საქალაქო და სარაიონო სახელმწიფო დრამატული თეატრების მესამე რესპუბლიკური ფესტივალის შედეგები.

პრემია ახალი საუკეთესო სპექტაკლისათვის მიენიჭა თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრის სპექტაკლს—თამაზ ჭილაძის „ნახვის დღეს“. დადგმა გოგი ჩაკვეტაძისა.

რეჟისორული ნამუშევრისთვის — ალექსანდრე ჭაჟელს გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში განხორციელებული ოთარ ჩხეიძის პიესისათვის „სოლომონ, მხაჯული მეფისა“ და მერაბ ხვირავას — ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრში ლეო ქიაჩელის „თავადის ქალი მაიას“ დადგმისათვის.

პრემია საუკეთესო ქართული დრამატურგიული ნაწარმოებისათვის მიენიჭა თამაზ ჭილაძეს პიესისათვის „ნახვის დღე“.

ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობს — ნანა ფაჩუაშვილს თავადის ქალი მაიას განსახიერებისათვის — ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის — მერაბ ყოლბაიას „კუკუს“ როლისათვის სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრში განხორციელებულ სპექტაკლში— გოგი გამსახურდიას „მუნჯის სიზმრები“.

საინტერესო დებიუტისათვის— ბექა ქავთარაძეს „მუნჯის სიზმრების“ დადგმისათვის.

სცენოგრაფიული ნამუშევრისათვის — აივენგო ჭელიძეს რუსთავის სახელმწიფო თეატრში ფრიდრიხ დიურენმატის „მოხუცი მანდილოსნის ვიზიტის“ განხორციელებისათვის.

მუსიკალური გაფორმებისათვის — ნანა გაბაშვილს „მოხუცი მანდილოსნის ვიზიტის“ გაფორმებისათვის.

ოთხშაბათს, 4 ივლისს, მწერალთა კავშირის სახლში გიორგი გაჩეჩილაძე წაიკითხავს სამეცნიერო ანგარიშს „72 დღე აშშ-ს სამეცნიერო ცენტრებსა და 2 საათი კონგრესში“.

დასაწყისი 15 საათზე.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა თანაუგრძნობს მწერალ ნინო ალნიაშვილს შვილის

**სოსო მაჭარაძის**

გარდაცვალების გამო.





## „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას

მიმდინარე წლის 2 მარტს, „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 9) გამოქვეყნდა ქ-ნ მერი სულაკაურის წერილი „აკაკი წერეთლის მემორიალური დაფის შესახებ“, რომელშიც ავტორმა დასვა საკითხი დიდი პოეტის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით, აკაკი წერეთლის თბილისში გატარებული წლების აღმნიშვნელი დაფის დადგმის თაობაზე. ერთ-ერთ ასეთ ადგილსამყოფლად მან მიიჩნია „ყოფილი სასტუმრო „კავკაზი“, თუმცა, მისი შენიშვნით, „დღეს ის შენობა აღარ არსებობს და მის მაგიერ სხვა შენობაა აღმართული, მაგრამ სწორედ აქედან გამოეთხოვა აკაკი წერეთელი ილია ჭავჭავაძის ცხედარს. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ ადგილას იდგა სასტუმრო „კავკაზის“ შენობა (ანალოგიურად ალ. ჭავჭავაძის მემორიალური დაფისა; იმ ადგილას ჭავჭავაძისეული სახლის ნაცვლად დღეს ხომ სხვა შენობა დგას)“.

ამ წინადადებას გამოეხმაურა ბ-ნი ბორის კანდელაკი, რომელმაც მთლიანად გაიზიარა იგი: „მართალია ეს შენობა დღეს აღარ არის, მაგრამ ვიცით ადგილი, სად იდგა იგი. მემორიალური დაფა გაკეთდეს ასეთი წარწერით: „ამ ადგილას იდგა სასტუმრო „კავკაზის“ შენობა, რომლის აივნიდან 1907 წლის 9 სექტემბერს, აკაკი წერეთელი გამოეთხოვა ილია ჭავჭავაძის ცხედარს“ (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 18.5.90, №20).

ქ-ნი მერი სულაკაური მეტ სიფრთხილეს იჩენდა და წერდა: „თუ ვინმეს ამ საკითხის შესახებ სხვა მოსაზრება აქვს ანდა უფრო ზუსტი ცნობები მოეპოვება, მისასალმებელი იქნება მათი გამომზეურება“.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, უნდა მოგახსენოთ, რომ სასტუმრო „კავკაზის“ შენობა დღესაც არსებობს (იგი დგას ლენინის მოედანზე საჩუქრების მაღაზიასა და ყოფილი სამხედრო შტაბის შენობას შორის) და მემორიალური დაფა სწორედ მას უნდა გაუკეთდეს (უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის წერილს ვურთავთ სასტუმრო „კავკაზისა“ და მის წინ გავლილ ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის პროცესიის ამსახველ ფოტოსურათებს).

უფრო მეტიც, გარდა დაფისა, აქ შეიძლება მოეწყოს აკაკის მემორიალური ცენტრი, როგორც ამას ბატონი თამაზ ჭილაძეც აღნიშნავდა აკაკის საიუბილეო კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე.

**ზურამ შარაძე**

**სურათებზე:** ილიას დაკრძალვის პროცესია ერევნის მოედანზე; სასტუმრო „კავკაზი“.

## ნახევარი საუკუნე პოეზიის სამსახურში

მწერალთა კავშირის სასახლეში გაიმართა პოეტისა და მთარგმნელის ნანა (ნადიდე) გვარიშვილის შემოქმედებითი საღამო.

საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა. მან ისაუბრა ნანა გვარიშვილის ღვაწლზე ქართული ლიტერატურის განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში. აღნიშნა, რომ ეს შემოქმედებითი საღამო ერთგვარი დასაწყისია მწერალთა კავშირისა და მის რეგიონალურ განყოფილებებს შორის მჭიდრო კონტაქტებისა;

ნანა გვარიშვილს მიესალმნენ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ენვერ ნიჟარაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფრიდონ ხალვაში, რომელმაც ვრცლად დაახასიათა პოეტის შემოქმედება, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ნანა გვარიშვილი ცნობილია, აგრეთვე, თურქულიდან და ბერძნულიდან მაღალმხატვრული თარგმანებით.

პოეტ ქალს შემოქმედებითი წინსვლა უსურვეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნათელა დუმბაძემ, მწერლებმა: ცისანა ანთაძემ, რამაზ სურმანიძემ, აზიზ ახვლედიანმა, ილია რურუამ, ნანა კანდელაკმა.

ნანა გვარიშვილმა მადლობა გადაუხადა საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას, დამსწრე საზოგადოებას. იუბილარმა პასუხი გასცა მრავალ შეკითხვას და წაიკითხა თავისი ადრინდელი ლექსები და რამდენიმე ახალი ლექსი.


**რედაქტორთა საბჭო**

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე, ელიზბარ ჯაველიძე (მთავარი რედაქტორი).

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ნინო ქაჯაია.





რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:

მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 95-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით

ИНДЕКС 06436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. უე 00334